საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლელო

№271 (12 341) 20 ნოემბერი სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ ბალავაძე 80 წლისაა

ბატონო ვახტანგ,

დღეს თქვენ დაბადებიდან 80 წელი შეგისრულდათ. სულითა და გულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს და გიხდით უღრმეს მადლობას იმ უდიდესი ღვაწლისა და დამსახურებისთვის, რაც თქვენ მიგიძღვით ქართული სპორტის წინაშე. განსაკუთრებულია თქვენი წვლილი ქართული საჭიდაო სკოლის ჩამოყალიბებასა და გამტკიცებაში. თქვენ ბრძანდებით აგრეთვე საქართველოში სამბოს ერთ-ერთი მესაძირკვლე და სსრკ პირველი ჩემპიონთაგანი. თქვენ დაუდეთ სათავე თავისუფალი ჭიდაობის უნიკალურ სტილს, გაამდიდრეთ მისი ტექნიკურ-ტაქტიკური არსენალი, რისთვისაც სამართლიანად დაიმსახურეთ მადლიერი გულშემატკივრებისგან და სპეციალისტებისგან „ჭიდაობის პროფესორის“ სახელი. თაობები გაჰყვნენ თქვენს მიერ გაკვალულ გზას, რომლებმაც საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე უფრო განამტკიცეს და გაამდიდრეს ქართული სპორტის მიღწევები. საამაყოა, რომ მათ შორის იყვნენ პირადად თქვენი აღზრდილებიც. დიდია, აგრეთვე, თქვენი, როგორც ქართული სპორტის ერთ-ერთი ყოფილი ხელმძღვანელის დამსახურება.

კიდევ ერთხელ გილოცავთ საიუბილეო თარიღს, გისურვებთ ხანგრძლივ ჯანმრთელ სიცოცხლეს და ყოველივე სიკეთე. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, არასდროს მოაკლდება ელვარება ლეგენდას, რომელსაც ვახტანგ ბალავაძე ჰქვია.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი,
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი,
საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია,
საქართველოს ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი.

ევრო 2008. საქართველო-ლიტვა

გოგუა თითქმის გამოირიცხა, ჯაკობიაც საეჭვოა

ნაკრების გუშინდელი დღე 2

ცქიტიშვილი დაფრინავს

გაბრაზებული სკიტას რეკორდი 11

ქლაუსის მძღვერავი

ჰაინცი ლიტვას ლოჟიდან უმზერდა

ლიუგინსკასი

კი, მაგრამ, ასეთ მოედანზე უნდა ვითამაშოთ?

ლიტვის ნაკრების ვარჯიში 3

გოგიტა გოგუა

ყველაფერი კარგადაა, უსიამოვნება ალარ არის 3

დღეს, რუსეთი...

ემოციური მზადება პრინციპული მეტოქისთვის

ვაკეში, 19:00 4

www.kazbegi.com

გაცხადება...

ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ევრო 2008. B ჯგუფი. ხვალ. თბილისი. ეროვნული. 19:30. საქართველო-ლიტვა

გოგუა თითქმის გამორიცხულია

საქართველოს ნაკრების გუშინდელი ვარჯიში

შუგზარ სუარიძის ფოტოები

ეროვნული ნაკრების ვარჯიში რამდენიმე წუთის დაწყებული იყო, როცა **გოგიტა გოგუა** თანაგუნდელთან შეჯახების შედეგად, ფეხმა შეაწუხა და მოედანი კოჭლობით დატოვა. ამის შემდეგ ქართველი ნახევარმცველი მინდორზე აღარც დაბრუნებულა. ის სწორედ იმ ადგილმა შეაწუხა, რომლის დაზიანებამაც საკმაო ხანი გამოატოვებინა.

კლაუს ტოპმიოლერმა და **რალფ მინგემ** გუნდი ეროვნულ სტადიონზე საღამოს 6 საათზე გაიყვანეს. მათ განკარგულებაში 22 ფეხბურთელი იყო. გოგუას ლიტველებთან თამაში ფაქტობრივად, გამორიცხულია, ამის შესახებ თავად გოგიტამ თქვა. ასე რომ, ნაკრების შემადგენლობაში მისი დაბრუნება კიდევ გადაიდო. სამწვრთნელო შტაბს ეიმედებოდა, რომ ყატარული შეხვედრის გამოტოვების შემდეგ, გოგუა ოთხშაბათისთვის მაინც იქნებოდა მწყობრში, მაგრამ... შესაბამისად, ლიტველებთან მატჩისთვის მზადებას 21 მოთამაშე განაგრძობს.

გოგუას ადგილი ორმხრივ თამაშში ტოპმიოლერის ასისტენტმა **ზაურ სვანაძემ** დაიკავა და არცთუ ურიგოდ გამოიყურებოდა. ორმხრივი თამაში ნახევარ მოედანზე გაიმართა და სულ ცოტა ხანს გასტანა, მაგრამ მაინც გეტყვით, როგორ გაჰყო გუნდი ჰერ კლაუსმა.

"ყვითლები": **მაკარიძე – სალუქვაძე, ასათიანი, კალაძე, კვირკველია – მენთეშაშვილი, კანკავა, ყენია, ცქიტიშვილი – მჭედლიძე, სირაძე.**

"ლურჯები": **რ. კვასხვაძე – შაშიაშვილი, ხიზანიშვილი, ა. კვახაძე, სვანაძე – მარცვალაძე, გრიგალაშვილი, დეკანოსიძე, სანაია – გელაშვილი, ჯაკობია.**

შეიძლება, პირველ თერთმეტეულში რაიმე ცვლილებები მოხდეს, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ნაკრების მთავარი მწვრთნელი ლიტველთა წინააღმდეგ ძირითად შემადგენლობაში "ყვითლებს" დააყენებს.

ამავე შემადგენლობებით ნაკრების წევრები კუთხურების დამუშავებას შეუდგნენ. კუთხურის მომწოდებლები მწვრთნელთა დავალებით, ბურთის კარში ჩახვევას ცდილობდნენ, რაც ურიგოდ სულაც არ გამოსდიოდათ. ამ მხრივ განსაკუთრებით **ლაშა სალუქვაძე** გამოირჩეოდა. ბუნებრივია, კუთხურები უფრო "სტანდარტულადაც" სრულდებოდა, ჩვენი ნაკრების თითქმის ყველა ნევრი თავით ნორმალურად თამაშობდა.

წვრთნა კი წრეზე სირბილით დაიწყო და "კვადრატით" გაგრძელდა, როდესაც გუნდი 11/11-ზე თამაშობდა (გოგუა სწორედ ამ დროს დაიმტვრა).

იმის მიუხედავად, რომ ადრეც გვინახავს, საინტერესო იყო ვარჯიში ფლნგური გარღვევების დასახვეწად. **მაკარიძე** და **კვასხვაძე** კარში მორიგეობით იდგნენ, ფეხბურთელები კი პარალელურად მარჯვენა და მარცხენა ფლანგებიდან კედელს ათამაშებდნენ და ბურთს საჯარიმოში შეჭრილ პარტნიორების მიმართულებით ანგდიდნენ. მწვრთნელები თავიდან ამ კომპონენტის შესრულების ხარისხითა და სისწრაფით უკმაყოფილონი იყვნენ, მაგრამ ბიჭებმა მათი დავალებები მალე უკეთ გაითავისეს და ყველაფერს უფრო გააზრებულად აკეთებდნენ. ტოპმიოლერი და მინგე ამან უკეთეს ხასიათზე დააყენა და გერმანელებს შეგირდთა მისამართით ქება არ დაუშურებიათ. გამოსარჩევი კიდევ ის იყო, რომ ამ დროს ტოპმიოლერ-მინგეს წყვილი ყველაზე მეტად **ლევან ცქიტიშვილთან** კონტაქტობდა, რომელიც გარკვეულწილად, ვარჯიშის ამ ნაწილის ხელმძღვანელიც იყო და **ბესიკ ფრიდონაშვილთან** ერთად, თანაგუნდელებს მწვრთნელთა მითითებებს უთარგმნიდა.

ამის შემდეგ კარში დარტყმების ჯერი დადგა, ორმხრივ თამაშზე კი უკვე მოგახსენეთ. ვარჯიშმა, რომელიც გულშემატკივართათვის დახურული იყო, დაახლოებით საათნახევარს გასტანა, განწყობა და ოპტიმიზმი კი ჩვენი ქვეყნის უპირველეს გუნდში გუშინაც იდეალური იყო. დასანანი მხოლოდ გოგუას ტრავმაა, საბედნიეროდ, ნაკრების სხვა წევრები თავს კარგად გრძნობენ.

2007 წლის ბოლო ვარჯიშს საქართველოს ეროვნული ნაკრები დღეს, საღამოს 5 საათზე ჩაატარებს. მანამდე კი, 5-ის ნახევარზე, ეროვნული სტადიონის საკონფერენციო დარბაზში კლაუს ტოპმიოლერის პრეს-კონფერენციაა დანიშნული.

ლევან ჯანეზაშვილი

ჯაკობიას კუნთი გაეჭიმა

საქართველოს ნაკრებს ლიტვასთან გოგიტა გოგუა დანამდვილებით გამოაკლდება. შესაძლოა, **კლაუს ტოპმიოლერის** გუნდის დანაკლისი ამით არ შემოიფარგლოს. გუშინდელი ვარჯიში მთავრდებოდა, როდესაც თავდამსხმელმა **ლაშა ჯაკობიამაც** ფეხი იტკინა.

„უნებლიედ ფეხი დამისრიალდა და კუნთი გამეჭიმა. ეფიქრობ, საშიში არაფერია, მაგრამ ჯერ ზუსტად არ ვიცი, რამდენად მძიმეა ტრავმა. თამაშამდე ორი დღეა დარჩენილი და იმედია, მანამდე მოემჯობინდები“ - გვითხრა ჯაკობიამ.

მერაბ მამულაშვილი

www.kazbegi.com

გასხენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2008. B ჯგუფი. ხვალ. თბილისი. ეროვნული. 19:30. საქართველო-ლიტვა

ყველაფერი კარგადაა, უსიამოვნება ალარ არის

გოგიტა გოგუა ლიტვასთან მატჩისთვის ტოპმიოლერმა ნაკრებში გამოიძახა, მაგრამ ყატარში ის გუნდს არ გაჰყოლია. ლიტვასთან შეხვედრისთვის რამენსკოეს „სატურნის“ ნახევარმცველი ნაკრებთან ერთად ემზადება, ვაზიანშიც იყო, სადაც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ნაკრებთან და ჯარისკაცებთან ერთად ივარჯიშა.

- გოგიტა, ყატარში ტრავმის გამო არ გითამაშია, მერე კი ივარჯიშე. ეტყობა, ტრავმა სერიოზული არაა.

- ძალიან სერიოზული არაა, მაგრამ ყატართან თამაშს ნაღდად ვერ მოვახერხებდი. კოჭი მქონდა გასიებული. რუსეთში, ბოლო ტურში ვიტკინე.

- ლიტვასთან ითამაშებ თუ ესეც საკითხავია?

- ვერ გეტყვით. ჯერ ერთი, ეს ვარჯიშზე გამოჩნდება, თუ ფეხი არ შემაწუხებს, ხომ კარგი. მერე კი მწვრთნელის გადასაწყვეტი იქნება, მათამაშოს თუ არა.

- რადგან ნაკრებში მიგიწვია და რადგან ვარჯიშს აგრძელებ, გამოდის დიდი შერიგებაც მომხდარა.

- დიახ, ასეა. ყველაფერი კარგადაა.

- ორი კვირის წინათ რუსულმა სააგენტოებმა ინფორმაცია გაავრცელეს, თითქოს „სატურნი“ „ხიმკის“ შენი საფასურის დარჩენილ ნაწილს, ნახევარ მილიონ დოლარს აღარ უხდის და შესაძლოა, ამის გამო „სატურნი“ დატოვო.

- რა ვიცი, ჯერჯერობით, ჩემთვის არავის უთქვამს, რომ გუნდიდან უნდა ნავიდე. მწვრთნელიც მენდობა და მათამაშებს. ასე რომ, დღემდე „სატურნის“ ფეხბურთელი ვარ. რა იქნება მომავალში, ვერაფერს გეტყვით.

- გაურკვევლობაში ხარ?

- რა გითხრათ, „სატურნს“ ჩემი დატოვება რომ არ სურდეს, არც მათამაშებდნენ. ჯერ ვისვენებ, ლიტვასთან მატჩის შემდეგ ერთ თვეში ყველაფერი გაირკვევა.

ერთი კი შემიძლია გითხრათ, რამენსკოელებს პირველ შეკრებაზე გავყვები.

- ისე, საკმაოდ ალოგიკურიც იქნებოდა შენი გაშვება. რამდენადაც ცნობილია, „სატურნმა“ ანდრეი ჩერვიჩენკოს შენს ტრანსფერში 2 მილიონი დოლარი გადაუხადა და ნახევარი მილიონის გამო შეთანხმებას რატომ გააბათილებდა?

- მეც ასე მგონია.

- მაგრამ კითხვა მაინც რჩება, ანდრეი ჩერვიჩენკოს შენს ტრანსფერზე უფლება დღემდე გააჩნია?

- არა, მე მთლიანად „სატურნს“ ვეკუთვნი.

მერაბ მამულაშვილი

P.S. ინტერვიუ საქართველოს ნაკრების გუშინდელ ვარჯიშამდე ჩავიწერეთ. სამწუხაროდ, ვარჯიშის დროს გოგუამ მტკივანი კოჭი კიდევ უფრო იტკინა, მოედანზე დაეცა და ვარჯიში ვეღარ გააგრძელა. ტრავმა სერიოზული აღმოჩნდა და გოგიტას ფეხი შეუხვიეს. როგორც გვითხრა, ტრავმის თამაშამდე მორჩენა, ფაქტობრივად, გამორიცხულია და სავარაუდოდ, ლიტვასთან ის საქართველოს ნაკრებს ვერ დაეხმარება.

გოგიტა გოგუა



გუშინ რუსთავში ლიტველების ვარჯიშს ჰაინც ტოპმიოლერი ზვერავდა

ნუგზარ სუარიძის ფოტოები

გინდათ გვნახოთ? დაგვენახეთ

ალგიმანტას ლიუბინსკასი

გუშინ ნაშუადღევს ჩამოსულმა ლიტველებმა, საღამოს რუსთავში ივარჯიშეს. გასულ კვირას გამოქვეყნებულ შემადგენლობაში ბალტიისპირელთა მწვრთნელ **ალგიმანტას ლიუბინსკასს** იძულებითი ცვლილებების შეტანა მოუხდა. სხვადასხვა მიზეზთა გამო მან მოისაკლისა **ტომას დანილევიჩიუსი, არუნას კლიმავიჩიუსი, ტადას პაპეშკუსი** და **გედიმინას ბუტრიმავიჩიუსი.** მანამდე ლიტველებს **შემბერასიც** გამოაკლდათ და ადვილი მისახვედრია ლიუბინსკასი ჩვენთან საუბარში რატომაც იყო გულგატეხილი: *„ოპტიმალური შემადგენლობით ვართ ჩამოსული. ოღონდ გაითვალისწინეთ, რომ საუკეთესობი მათგან შევარჩიე, ვინც ჯანმრთელი იყო სადღეისოდ. ბევრი ფეხბურთელი გამოგვაკლდა, რაც ძალიან სამწუხაროა.“* წინასწარ გამოცხადებულ შემადგენლობაში მწვრთნელმა 26 ფეხბურთელი შეიყვანა, რომელთაგან 4 შინ უნდა დეტოვებინა. ისე გამოვიდა, რომ ლიუბინსკასს არჩევანის გაკეთების საშუალება ბედმა არ მისცა. ლიტველები თბილისში ამ შემადგენლობით ჩამოვიდნენ:

მეკარეები: ჟიდრუნას კარჩემარსკასი (დინამო, რუსეთი), პაულიუს გრიბაუსკასი (ოცელული, რუმინეთი), მარიუს რაპალისი (ჟალგირისი”)

მცველები: ანდრიუს სკერლა (კორონა, პოლონეთი), მარიუს სტანკევიჩიუსი (ბრეშა, იტალია), ტომას ჟვირგჟდაუსკასი (ჰალმშტადი, შვედეთი), იგნას დედურა (სპარტაკი, რუსეთი), ვიდას ალუნდერისი (ზაგლებიე, პოლონეთი), გედიმინას პაულაუსკასი (ეკრანასი).

ნახევარმცველები: აუდრიუს კშანავიჩიუსი (ჰართსი, შოტლანდია), მინდაუგას კალონასი (ყუბანი, რუსეთი), იგორის მორინასი (ჟალგირისი), აურიმას კუშუსი (დაუგავა, ლატვია), მანტას სავენასი (ეკრანასი), საულიუს მიკოლიუნასი (ჰართსი, შოტლანდია), ვიტაუტას ლუკშა (ვილნიუსი), ტადას ლაბუკასი (ოცელული, რუმინეთი), დარიუს მიჩეიკა (მეტალურგსი, ლატვია), არვიდას შერნასი (ვეტრა)

თავდამსხმელები: ანდრიუს ველიჩკა (ჰართსი, შოტლანდია), ედგარას იანკაუსკასი (აიკ, კვიპროსი), ტომას რაძინევიჩიუსი (ბუდეიოვიცე, ჩეხეთი)

მოედნის ცენტრში მოთელვას და ბურთთან ვარჯიშს ლიტველებმა დაახლოებით საათი მოანდომეს. მოკლე მანძილზე ერთი შეხებით თამაშს ცდილობდნენ, მერე კი ერთი მეორეს ხელით აწვდიდა ბურთს, ეს უკანასკნელი კი ცდილობდა ფეხით დაებრუნებინა თანაგუნდელისთვის. ლიუბინსკასი ამ დროს მოედნის კიდეზე იდგა გვესაუბრებოდა: *„საქართველოს ნაკრებთან თამაში ადვილი არასდროს არაა, მით უმეტეს საქართველოში. საფეხბურთო ქვეყანა გაქვთ და კარგი ნაკრებიც გყავთ. ყოველ შემთხვევაში ჩვენ თქვენთან უარყოფითი ბალანსი გვაქვს. ისე კი ძალიან მაინტერესებს იმ სტადიონზე, სადაც უნდა ვითამაშოთ, ისეთივე მინდორია, როგორიც აქ? ასეთ ტალახში ძნელია თამაში. ჩვენთან თამაშის მერე საქართველოს ნაკრების რამდენიმე თამაში ვნახე. ყატართან მატჩიც მაინტერესებს და ვიმედოვნებ თქვენები ამ მატჩის ფირს მომიტანენ. ჩვენ გვთხოვეს უკრაინასთან მატჩის ფირი, ჩამოვიტანეთ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში მივცემთ, თუკი ყატარის მატჩის ხილვის საშუალება გვექნება.“*

ამის მერე მწვრთნელმა მინდორზე გადაინაცვლა. მოედნის ცენტრში ვარჯიშის გაგრძელება იყო მოთელვა, ამჯერად ათწუთიანი და ორმხრივი თამაში, რომელშიც მონაწილეობა ერთი ფეხბურთელის გარდა ყველამ მიიღო. **ალუნდერისი** ფეხის ტკივილმა შეაწუხა და მისი ადგილი მოედანზე ლიუბინსკასის თანაშემწემ დაიკავა. შემადგენლობათა დაკონკრეტება ამ შემთხვევაში არანაირ საჭიროებას არ წარმოადგენს, რაკილა მწვრთნელმა ფეხბურთელები ხშირად ცვალა. ვარჯიშის ბოლოს კი ლიტველებმა ფლანგურ ჩაწოდებებსა და შეტევის თავური დარტყმით დაგვირგვინებაში წაივარჯიშეს. ძმაო ძმისთვისაო და სტუმართა ვარჯიშს თვალს **ჰაინც ტოპმიოლერი** ადევნებდა, კლაუსისთვის საჭირო ინფორმაციას აგროვებდა. მზვერავი არც ლიუბინსკასს გამოჰპარვია, მაგრამ მის ნათქვამს თუ ვენდობით, დაფარვა არაფრის უცდია: *„ჩვენ ახალი არაფერი გვაქვს, სავარაუდოდ, არც თქვენ. მთავარია, გამართული ფეხბურთი ვითამაშოთ, რასაც დავგეგმავთ შევასრულოთ და ყველაფერი კარგად იქნება.“* მოგების შემთხვევაში ლიტველები უკრაინელებსაც კი ასწრებენ, მაგრამ ჩვენ ჩვენი ამოცანა გვაქვს გადასაჭრელი - მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის წილისყრისას მეოთხე კალათში უნდა ვიყოთ ანუ ლიტვასთან საჭირო ანგარიშით უნდა მოვიგოთ.

პაატა თოთაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲦᲔᲡ. ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲛᲔᲡᲮᲘ. 19:00. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲠᲣᲡᲔᲗᲘ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲔᲑᲘ

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲛᲔ ᲛᲝᲛᲗᲮᲝᲕᲔᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲡ

ᲞᲔᲢᲐᲠ ᲡᲔᲒᲠᲢᲘ — ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲙᲝᲢᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ᲒᲣᲨᲘᲜ საღამოს ფეხბურთის ფედერაციაში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი **პეტარ სეგრტი**, თანაშემწე **გელა შეყილაძესთან** ერთად მასმედიის წინაშე წარდგა.

- რუსეთთან მატჩისთვის რამდენიმე დღის განმავლობაში ტრაბზონში ვემზადებოდით. მართალი გითხრათ, არაერთი პრობლემა შეგვექმნა. ყაზახეთში 1:4 წაგების შემდეგ გადავწყვიტეთ ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელი სხვა მოთამაშეებით შეგვეცვალა. ამის გარდა, ჩვენი ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელი ეროვნულ ნაკრებშია მიწვეული. ერთი სიტყვით, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ხვალინდელ მატჩში 21-წლამდელთა ასაკის 14 ფეხბურთელი ვერ დაგვეხმარება. ერთი მხრივ მიხარია კიდეც, რომ რამდენიმე ფეხბურთელი ეროვნულ ნაკრებშია მიწვეული და ამიტომ ვერ გვეხმარება. მოკლედ, ხვალ ჩვენი ნაკრები გადახალისებული შემადგენლობით ითამაშებს. არაერთი ნაკლებადგამოცდილი ფეხბურთელი გვყავს, მაგრამ გადაჭრით შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენი გუნდი მაქსიმუმს გაიღებს მეტოქის დასამარცხებლად...

- ის ფეხბურთელები, რომლებიც დღეს ჩემს განკარგულებაში არიან, ევროპის მომდევნო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის ბევრად უფრო გამოცდილები იქნებიან. ბეგლარიშვილი და თარგამაძე ჯერ მხოლოდ 17 წლისანი არიან, მაგრამ მათ შანსი აუცილებლად მიეცემათ. საქმისადმი ასეთი მიდგომა უახლოეს მომავალში მოიტანს დადებით შედეგს. ყველა ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელს უნდა მიეცეს თავის წარმოჩენის შანსი – სწორედ ესაა ჩვენი მუშაობის კრედო. შესაძლოა ვინმემ იფიქროს რომ ახალგაზრდა ფეხბურთელების თამაში ასაკით უფრო დიდ ნაკრებებში სარისკოა. თუმცა მე ასე არ ვფიქრობ. 16-17 წლის ბიჭები აქედანვე უნდა შეეჩვიონ უფროსებთან პაექრობას. სხვანაირად წინ ვერ წავიწევთ...

- ხვალინდელ მატჩსა და შედეგზე მხოლოდ მე ვარ პასუხისმგებელი. ვთვლი რომ გუნდში საჭიროა რადიკალური ცვლილებები და პასუხისმგებლობასაც არ გავურბივარ. მერწმუნეთ, ის ბიჭები, რომლებიც ხვალ საქართველოს ნაკრების მაისურას მოირგებენ, მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებენ...

- მატჩის მოსაგებად ბევრი გულშემატკივარი აუცილებლად გვჭირდება. ივნისში ესპანეთის წინააღმდეგ ჩვენმა გუნდმა კარგად რომ ითამაშა, იმ ათასობით ქომაგის დამსახურება იყო, რომლებიც სტადიონზე შეიკრიბნენ. ყველას ვთხოვ, ხვალ სტადიონზე მობრძანდნენ და მხარი დაუჭირონ ჩვენს ბიჭებს. მოდით ხვალ, ორი საათით და ყველანი ერთი გუნდი, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გავხდეთ!

- ჩვენი ნაკრების ის ფეხბურთელები, რომლებიც ეროვნულ გუნდთან ერთად ემზადებიან, 21-წლამდელთა ნაკრებს არ დაემატებიან. კლაუს ტოპმიოლერს ჩინებულად ეხერხება ეროვნულ ნაკრებში ახალგაზრდების ნაბიჯ-ნაბიჯ მიწვევა და მათი დაოსტატება. ეს ბიჭები ტალანტები არიან და ტოპმიოლერის ხელში ისინი თავიანთ ნიჭს აუცილებლად გამოიყენებენ...

- რუსეთის ახალგაზრდული ნაკრები ძალიან კარგი გუნდია. მათ არაერთი კარგი ფეხბურთელი ჰყავთ. განსაკუთრებით ძმებ კომბაროვებს გამოვარჩევდი. ამ გუნდს ჯერ გოლი არ აქვს გაშვებული და ოთხიდან ოთხივე თამაში მოიგო. ჩვენ, მწვრთნელები, ფეხბურთელები, გულშემატკივრები, ერთმანეთს გვერდით უნდა დავუდგეთ. თუ ასე იქნება, მაშინ მჯერა რომ რუსეთის ნაკრები ამ შესარჩევში პირველ გოლს სწორედ თბილისში გაუშვებს და პირველ თამაშსაც აქ წააგებს.

დავით ᲪᲐᲑᲐᲫᲔ

ᲔᲛᲝᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲛᲐᲢᲩᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲒᲣᲨᲘᲜ საქართველოსა და რუსეთის ახალგაზრდულმა ნაკრებებმა მატჩისწინა ვარჯიში გამართეს. ვაკის არენის მოედანზე ჩვენი ახალგაზრდები საღამოს 7 საათისთვის გამოჩნდნენ. წვრთნას, რომელსაც **პეტარ სეგრტი, გელა შეყილაძე, ოთარ გაბელია** და **სერგო კოტრიკაძე** უძღვებოდნენ, საათზე ოდნავ მეტხანს გაგრძელდა. მოედნის გარშემო სირბილი, მოკლე პასები, კომბინაციები ფლანგების მონაწილეობით, კოლექტიურ ართმეევაზე ვარჯიში, შეტევები სხვადასხვა კომბინაციებით, ბოლოს კი ორკარა ნახევარ მოედანზე. წვრთნა საინტერესო და ემოციური გახლდათ.

"რუსეთთან პრინციპული და რთული მატჩი გველის. Aამ თამაშისთვის კარგად მოვემზადეთ და ყველაფერს გავაკეთებთ გამარჯვებისთვის. იმედია, მაქსიმალური მონდომებისა და ბოლომდე ბრძოლის ხარჯზე მოვიგებთ", - აღნიშნა ნახევარმცველმა **ირაკლი კლიმიაშვილმა**.

თბილისის "დინამოს" მარცხენაფლანგელმა **სანდრო კობახიძემ** კი შემდეგი განაცხადა: *"რუსეთთან მატჩისთვის თურქეთში მოვემზადეთ. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით ხვალინდელი მატჩის მნიშვნელობა. მჯერა ტრიბუნიდან ქომაგობა არ მოგვაკლდება და ჩვენც ყველაფერს გავიღებთ გულშემატკივრის გასახარებლად"*.

დაბოლოს, დღეს საქართველო-რუსეთის 21-წლამდელთა ნაკრებების მატჩს ბერძენი მსაჯები გაუძღვებიან. **არბიტრი მიხალის გარმანაკოსია**, თანამსაჯები - **დიმიტრიოს პაპადოპულოსი და ხრისტოს აკრივოსი**. მეოთხე მსაჯი **ვასილიოს პამპორიდისია**.

დავით ᲪᲐᲑᲐᲫᲔ



საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების გუშინდელ ვარჯიში ვაკეში

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲙᲝᲢᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბორის სტუკალოვი

ᲛᲔᲢᲠᲝᲥᲔ. ᲞᲠᲔᲡᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲪ...

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი **ბორის სტუკალოვი** გუშინ მედიის წარმომადგენლებს შეხვდა კინოს სახლში.

- მოხარული ვარ, რომ დღეს თბილისში ვიმყოფები. საქართველო სხვათაგან გამოირჩეოდა სტუმართმოყვარეობით. თქვენ ყოველთვის გყავდათ კარგი ფეხბურთელები და დღესაც, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე კაცი ეროვნულში ჰყავს, საკმაოდ კარგი გუნდია. გვიან მოგვიწია ჩამოსვლა, რის გამოც ფეხბურთელებმა დასვენება ვერ მოასწრეს. ეს ეტყობოდათ კიდეც მათ გუშინდელ ვარჯიშზე...

- ჩვენ საქართველოში ჯგუფის ლიდერების როლში ჩამოვედით და წაფორხილების უფლება არ გვაქვს. მომდევნო ეტაპზე პირდაპირ მხოლოდ ერთი გუნდი გადის, პლეი-ოფში მოხვედრა კი სასურველი არაა. ასე რომ ხვალ უნდა მოვიგოთ თუ რამის პრეტენზია გვაქვს. თუმცა საქართველოსთან ეს ძალიან ძნელი იქნება. ბევრის განმსაზღვრელია გულშემატკივრის ფაქტორი, შინაურ კედლებში საქართველოს მხარს აქტიურად დაუჭერენ ქომაგები...

- რუსეთის ჩემპიონატი ცოტა ხნის წინათ დასრულდა, რაც ასევე ცუდად მოქმედებს ჩვენზე, თუმცა ეს სანუწუნო არაა. შემადგენლობაც თითქმის ოპტიმალური გვყავს...

- თბილისში შექმნილი მდგომარეობის გამო ჩვენი ფედერაციის წარმომადგენელები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს ესაუბრნენ და დარწმუნდნენ, რომ საშიში არაფერია. ჩვენ პოლიტიკაში არ ვერევით, მისგან შორს ვართ...

- საქართველოსთან მატჩს რუსეთში დიდი ინტერესით ელიან. ჩვენხ ყველა მატჩს პირდაპირი ეთერით გადასცემენ, ასე იქნება ხვალაც...

- პროგნოზებისგან თავს შევიკავებ, რადგან შესაძლოა, გუნდმა ერთი კარგი თამაში აჩვენოს, მეორე - ცუდი. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ჩვენ გვინდა ლამაზი ფეხბურთის თამაში და მოგება...

- მშვიდობას გისურვებთ და ვისურვებ, რომ ურთიერთობები ჩვენს შორის მომავალში იყოს ისეთივე, როგორიც ადრე.

ᲞᲐᲐᲢᲐ ᲗᲝᲗᲐᲫᲔ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ალექსანდრე იაშვილთან

თავს მშვენივრად ვგრძნობ

პრინციპი ყველასთვის ერთი უნდა იყოს

შემოდგომიდან კლაუს ტოპმიოლერი ეროვნულ გუნდში აღარ ინ-ვევს ალექსანდრე იაშვილს. ტოპი ვინძლო ახალ გუნდს აკეთებს მომ-დევნო შესარჩევი ციკლისთვის და ნაკრების გაახალგაზრდავებაზე ზრუნავს, თუმცა მან უკრაინა-იტა-ლია-შოტლანდიისთვს ეროვნულ გუნდში უხმო იაშვილზე ერთი წლით უფროს გიორგი დემეტრაძეს და ლევან ცქიტიშვილს, ყატარი-ლიტვასთვის კი მათგან მხოლოდ ცქიტიშვილს დაუძახა.

როცა ტოპმიოლერმა უკრაინასთან მატჩისთვის არ გამოიძახა იაშ-ვილი, „კარლსრუეს" შემტევს მა-შინვე კი ჩამოვართვით ინტერვიუ, თუმცა მას შემდეგ არც თუ ცოტა დრო გავიდა და ალბათ ახლა უფ-როა შესაძლებელი ცივი გონებით მსჯელობა.

იაშვილს გუშინ შევეხმიანეთ გერმანიაში და მეტწილად სწორედ მისი ნაკრებში არგამოძახებაზე ვე-საუბრეთ.

- ახლა ალბათ ყველაფერი უფრო კარგად გააანალიზე. როგორ ფიქ-რობ, რატომ აღარ გინვევს ტოპმიო-ლერი ნაკრებში?

- დრო კი გავიდა, მაგრამ ახლაც არ ვიცი ამის ზუსტი მიზეზი. ბუნდეს-ლიგის ბოლო სამ ტურში მოედანზე ერც თუ ბევრი წუთი დავყავი და შე-საძლოა, ესეც იყოს მიზეზი. იმის მომ-ხრე ვარ, რომ თუ ფეხბურთელი თა-ვის კლუბში არ თამაშობს, მას ნაკ-რებში მოხვედრის დიდი შანსი არ უნ-და ჰქონდეს. მაგრამ თუ მწვრთნელი ამ პრინციპს ირჩევს, მაშინ ეს პრინ-ციპი ყველა ფეხბურთელზე უნდა მოქმედებდეს.

- შესაძლოა, ტოპი გამოცდილი ფეხბურთელების მიმართ უფრო მომთხოვნია...

- თერთმეტი წელინადია, გერმანია-ში ვთამაშობ და პირველად ხდება, რომ მწირი სათამაშო პრაქტიკა მაქვს. დრო უნდა ყველაფერს და მეც გარკ-ვეული პერიოდი მჭირდება ახალ კლუბთან, ახალ სიტუაციასთან შესა-გუებლად. დარწმუნებული ვარ, „კარ-ლსრუეს" ძირითადში ადგილს დავიმკ-ვიდრებ. ისე, ლუკაშ პოდოლსკი თითქ-მის არ თამაშობს მიუნხენის „ბაიერ-ნის" სასტარტოში, მაგრამ გერმანიის ეროვნულ ნაკრებში მაინც იწვევენ.

- „კარლსრუეს" მწვრთნელი ედ-მუნდ ბეკერი როგორი პიროვნებაა? შენთან თუ უსაუბრია იმაზე, რომ დიდ დროს არ გაძლევს თავის გამო-საჩენად?

- ბეკერი „კარლსრუეს" ფეხბურ-თელი იყო და სამწელინადნახევარია, რაც ამ გუნდს წვრთნის. ის ძლიერი მწვრთნელია და ვფიქრობ, კიდევ უფ-რო ბევრს მიაღწევს. ის სულ საუბ-რობს ფეხბურთელებთან, იმათთა-ნაც, ძირითადში ხშირად რომ ვერ ხვდებიან. მწვრთნელი არ არის ვალ-დებული, ფეხბურთელს ახსნა-გან-მარტება მისცეს, მაგრამ ბეკერი ფეხ-ბურთელებთან საუბარს არ ერიდება. მან იცის ჩემი ამბიციის შესახებ. შე-მეძლო, „ფრაიბურგიდან" „შტუტგარ-ტში" გადავსულიყავი, მაგრამ „კარ-ლსრუე" იმიტომ ვარჩიე, რომ ამ გუნდ-ში სისტემატურად თამაშის უფრო მეტი შანსი მექნებოდა. მალე მოვა ის დრო, „კარლსრუეს" ძირითადში ად-გილს რომ დავიმკვიდრებ.

- დავუშვათ, რომ შენი ნაკრებში არგამოძახების მიზეზი ასაკია. რო-გორ ატყობ, რა განსხვავებაა 30 და 25 წლის ალექსანდრე იაშვილს შორის?

- განსხვავება ის არის, რომ ახლა უფრო მეტი გამოცდილება მაქვს, ვიდრე 25 წლისას მქონდა. სისწრაფე, რეაქცია, ჯანი - 36-37 წლის ჯერ არ ვარ, ამ კომპონენტებში რომ მოვი-სუსტო. მოკლედ, თავს მშვენივრად ვგრძნობ.

- როგორ ფიქრობ, რაც არ უნდა მოხდეს, ტოპმიოლერი მაინც აღარ გა-მოგიძახებს ნაკრებში? მასთან ნამუ-შევარი გაქვს და ალბათ გარკვეული წარმოდგენაც შეგექმნა მის პრინცი-პებზე, ხასიათზე და მოთხოვნებზე...

- ყოველივე ამაზე ნაკლებად ვფიქ-რობ, ახლა ჩემთვის უმთავრესია, „კარლსრუეს" ძირითადში ადგილი დავიმკვიდრო. ორი-სამი თამაში გა-დაბმულად რომ ვითამაშო, ამას რო-დი ვუმიზნებ, „კარლსრუეში" სისტე-მატურად უნდა ვითამაშო.

- „კარლსრუეში" ვინ არის შენი მთავარი კონკურენტი? ასეთი ალ-ბათ კრისტიან ტიმი უნდა იყოს.

- არა მხოლოდ ის. მე ხან მარცხენა გარემარბად მათამაშებენ, ხან მარჯ-ვენად, ერთხელ ფორვარდების უკა-ნაც მომიწია თამაშშა. ერთი სიტყვით, ვინც კი „კარლსრუეში" შემტევია, ყვე-ლა ჩემი კონკურენტია. მეტწილად სა-მი ფორვარდით ვთამაშობთ, გამოკვე-თილი თავდამსხმელი ედმონდ კაპლა-ნია. „კარლსრუეს" გარემარბებს ძა-ლიან დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულება უწევთ. შემტევთაგან ამ დროისთვის ძირითადში ადგილი მხო-ლოდ კაპლანის აქვს დამკვიდრებული.

- „კარლსრუე" ახლა მე-4 ადგილ-ზეა. გუნდის მიზანი უეფას თასის საგზურის მოპოვებაა?

- სეზონის წინ გუნდის მიზანი ათე-ულში მოხვედრა იყო და ეს მიზანი უცვლელია, არა მგონია, ამ მხრივ რა-მე შეიცვალოს.

- „კარლსრუეს" კოზირი რა არის?

- რა მეტოქესაც არ უნდა ვეთამა-შოთ, ფსიქოლოგიური წნეხი მოხსნი-ლი გვაქვს - ეს ფაქტორი ცოტას არ ნიშნავს. კარლსრუეში ახლა დიდი ეიფორიაა, ამ სეზონში გუნდის საში-ნაო მატჩებზე ბილეთები უკვე გაყი-დულია.

- უგუნდოდ მყოფ ლევან ცქიტიშ-ვილზეც გკითხავ. მისი „კაიზერს-ლაუტერნში" შესაძლო გადასვლა-ზე გერმანიაში რა ისმის?

- ცქიტიშვილს „კაიზერსლაუტერნ-ში" გადასვლაზე მართლაც არის ლაპა-რაკი. ის ჯანმრთელადაა, ისევ შეუძ-ლია მაღალ დონეზე თამაში, არანაირი პრობლემა არ აწუხებს და უნდა ითამა-შოს - იმედია, ზამთრიდან ის „კაიზერს-ლაუტერნის" ფეხბურთელი გახდება.

დავით თავართქილაძე



გიგიაძე ლუგანსკში

ზაფხულში ვასილ გიგიაძეს ლუგანსკის „ზარიაში" იწვევდნენ და თავადაც არ იყო გუნდის შეცვლის წინააღმდეგი. „ზარიაში" **ალექსანდრ კოსევიჩი** იწ-ვევდა, კრივოი როგში მისი ყოფილი მწვრთნელი.

„კრივბასმა" ფეხბურთელი ლუგანსკში არ გაუშვა და ახტირკის „ნეფტია-ნიკში" გაანათხოვრა, რაც ფეხბურთელს დიდად არ სურდა. უკრაინის ჩემპიო-ნატის პირველი წრე დასრულდა, გიგიაძე კი დღემდე თავის გუნდს ერთი ბურ-თითაც ვერ შეეშველა, ბოლო ორი ტური კი მოედანზე არ გამოჩენილა.

ადრე იყო ვარაუდები, ახლა კი უკრაინული „სპორტ-ექსპრესი" ამტკიცებს, რომ ლუგანსკის „ზარიამ" ახლაღა მოახერხა ქართველი ლეგიონერის გადასაყ-ვანად საჭირო ყველა მოლაპარაკება წარმატებით დაესრულებინა.

მერაბ მამულაშვილი

სოტკილავა იგლესიასივით არ დარდობდა

ცნობილმა მომღერალმა **ზურაბ სოტკილავამ** რუსეთის პატარა ქალაქ კუზნეცკში კონცერტი გამართა. ამის შემდეგ მას ადგილობრივმა გაზეთმა ინტერვიუ ჩამოართვა და საკმაოდ დი-დი ნაწილი ფეხბურთს მიუძღვნა.

სოტკილავა თბილისის „დინამოს" წევ-რი გახლდათ, მაგრამ ტრავმებმა დაალ-ლატა და ოდესლაც საქართველოს ახალ-გაზრდული ნაკრების კაპიტანმა საოპერო მომღერლის კარიერა ამჯობინა.

თავის დროზე თბილისის პოლიტექ-ნიკური ინსტიტუტი სამთო ინჟინერ-მარკშეიდერის პროფესიით დაასრულა.

სამთო ინჟინერი, უდიდესი ტენო-რი, პერსპექტიული ფეხბურთელი, ერ-თმა ადამიანმა საკუთარ თავში ბევრი რამ გააერთიანა. ეტყობა, ნიჭიერი ადამიანი ყველაფერში ნიჭიერია.

ერთ-ერთ ძველ ინტერვიუში ზუ-რაბ სოტკილავამ განაცხადა, რომ სა-ოპერო კარიერისთვის მოსკოვის „დი-ნამოს" თავდამსხმელ **ურინის** მადლი-ერია, რომელმაც დაამტვრია ქართვე-ლი ფეხბურთელი:

„სხვათა შორის, 12 მარტს 70 წლის გავ-ხდი და ჩემდა გასაკვირად, ურინმა დამი-რეკა და მომილოცა. ეს ჩემთვის სასიამოვ-ნო სიუპრიზი აღმოჩნდა... როდესაც გუნ-დში მივედი, იქ ავთანდილ ღოღობერიძე დამხვდა. ის ბრნყინვალე ფეხბურთელი და ადამიანი გახლდათ. გასვლითი შეხვედრე-ბის დროს ჩვენ ერთ ნომერში გვაბინავებ-დნენ... ფეხბურთიდან ესტრადაზე მადრი-დის „რეალის" მეკარე ხულიო იგლესიასიც მივიდა. ის ყოველთვის განიცდიდა, ფეხ-ბურთიდან ნაადრევად წასვლას. მე ასე არ ვყოფილვარ. მე „დინამოს" კაპიტანი ვიყა-ვი, მაგრამ ფეხბურთიდან წასვლა არასდ-როს მინანია... „დინამოს" გარდა, მოსკო-ვის „სპარტაკს" გულშემატკივრობდი. ეს ნიკოლაი ოზეროვთან მეგობრობის შედე-გია. მოსკოველი მსახიობების უმრავლე-სობაც „სპარტაკს" გულშემატკივრობს. მეც სხვა რა დამრჩენოდა? სპორტს და მუ-სიკას, ეტყობა, ბევრი რამ აკავშირებს და აერთიანებს. მაგალითად, ნიკოლაი ოზე-როვის მამაც საოპერო მომღერალი და დი-დი თეატრის სოლისტი გახლდათ".

მერაბ მამულაშვილი

CDN კავკასიის სიფხიერი ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
ბოამაზოგი სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 855 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA LAN ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უსაფრთხო მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადაიდგა ხანლიდან გაუჭვლულად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



მაკლიშს დარჩენა უნდა

ალექს მაკლიშს შოტლანდიის ნაკრებში დარჩენა სურს. გასულ უქმეებზე მისი გუნდი იტალიასთან დამარცხდა (1:2). შოტლანდიელები ევროპის ჩემპიონატის მიღმა დარჩნენ. ამის მიუხედავად, მაყურებელმა ფეხბურთელები ტაშით გააცილა. მამაცი გულები მიზანთან ახლოს იყვნენ. მსოფლიოს ჩემპიონებთან მატჩში მათ ფრეც კი ჰყოფნიდათ. თამაშის შემდეგ შოტლანდიაში იმედგაცრუებამ დაისადგურა. მიმომხილველებმა მაკლიშის გადადგომა იწინასწარმეტყველეს. სპეკულაციების თანახმად, ის "ვიგანის" ან "ბოლტონის" მწვრთნელად უნდა დანიშნულიყო. "რეინჯერსის" ყოფილი დამრიგებელი სამსახურის შეცვლას არ აპირებს. ის ამბობს, რომ ეროვნულ გუნდში თავს შესანიშნავად გრძნობს. ამიტომ საფეხბურთო ასოციაციასთან თანამშრომლობის გაგრძელების იმედი აქვთ: *"ფეხბურთი ისეთი რამაა, რომ დარწმუნებით ვერაფერს იტყვი. რას ვიზამ, კლუბიდან სარფიანი წინადადება რომ მივიღო? არა მგონია, დღეს ამაზე საუბარი ღირდეს."* ბოლო ორ წელიწადში შოტლანდიის ნაკრებმა საუცხოო შედეგები არჩვენა და მსოფლიო რეიტინგში მე-13 ადგილზე აინაცვლა. მსოფლიოს ჩემპიონატის კენჭისყრისას მას მეორე კალათში გაამწესებენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მიმდინარე საკვალიფიკაციო ტურნირისაგან განსხვავებით, ორ გრანდთან დაპირისპირება აღარ მოუწევს.

ვან ბასტენის ოთხი დანაკლისი

ჰოლანდიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საგზურს დაეუფლა. ხვალ ის ბელარუსთან არაფრისმომცემ მატჩს გამართავს. **მარკო ვან ბასტენს** საკადრო პრობლემები შეექმნა. **რუუდ ვან ნისტელროი, კლარენს ზეედორფი** და **ედვინ ვან დერ სარი** ვერ ითამაშებენ. "რეალის" თავდამსხმელს ბარძაყის კუნთი აწუხებს. "მანჩესტერ იუნაიტედის" მეკარეს - ტერფი. მილანელმა ვეტერანმა კი მწვრთნელს თავად სთხოვა გათავისუფლება. ზეედორფი გადაიღალა. მას მომავალ უქმეებამდე სულის მოთქმა სურს. საეჭვოა ჰამბურგელი **რაფაელ ვან დერ ვაარტის** ასპარეზობა. ვან ბასტენმა ოთხი ახალი ფეხბურთელი - მეკარე **ჰენკ ტიმერი**, ნახევარმცველები **ნაიჯელ დე იონგი** და **ჰედვიგეს მადურო**, აგრეთვე თავდამსხმელი **კლაას იან ჰუნტელაარი** გამოიძახა.

საფრანგეთის მალუდას გარეშე

ხვალ საფრანგეთი უკრაინას ეთამაშება. B ჯგუფში ყველაფერი გარკვეულია. საფრანგეთი და იტალია ევროპის ჩემპიონატზე მიემგზავრებიან. ამიტომ კიევურ მატჩს საოქმო დანიშნულება აქვს. იმავე მიზეზის გამო ფრანგების საკადრო პრობლემებიც აღარავის აღელვებს. **რაიმონ დომენეკმა** უკრაინაში ვერ ნაიყვანა **ფლორან მალუდა**. "ჩელსის" ნახევარმცველმა მაროკოსთან ამხანაგური მატჩიც (2:2) გამოტოვა. ის ერთი კვირით ადრე, 6 ნოემბერს "შალკესთან" ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში დაშავდა. მალუდამ შეიძლება "არისტოკრატების" მომდევნო ტურის მატჩშიც ვერ ითამაშოს.

მუნდიალი 2010. შესარჩევი ტურნირი. სამხრეთი ამერიკა. III ტური

სალასის ბრწყინვალე დუგლი

ვეტერანმა ფორვარდმა ჩილეს ნაკრებში ორწლიანი პაუზის შემდეგ გაიტანა

პერუ-ბრაზილია 1:1

პერუ: პენი, გილიერმო სალასი, აკასიეტი,ალბერტო როდრიგესი, ვარგასი, ხაიო (62. მენდოსა), ლობატონი (66. დე ლა ასა), სოლანო, ფარფანი, პისარო, გერერო (46. პალასიოსი).

ბრაზილია: ჟულიო სეზარი, მაიკონი, ლუსიო,ჟუანი, ჟილბერტო, მინეირო, ჟილბერტო სილვა, კაკა, რონალდინიო, რობინიო (74. ელანო), ვაგნერ ლავი (68. ლუიშ ფაბიანო).

გოლები: 0:1 კაკა (40), 1:1 ვარგასი (71).

ურუგვაი-ჩილე 2:2

ურუგვაი: კარინი, სკოტი (60. პერეირა), ლუგანო, გოდინი, ფუსილე, დიეგო პერესი (46. არევალდო რიოსი), გარხანო, კრისტიან როდრიგესი, ვისენტე სანჩესი (64. იგნასიო გონსალესი), ლუის სუარესი, აბრეუ.

ჩილე: ბრავო, ალვარესი (60. ფუენტესი), პოსსე, რიფო, ხარა, ვიდალი, დროგეტი, მათიას ფერნანდესი, სალასი, სუასო (72. მოია), რუბიო (46. ვილიანუევა).

გოლები: 1:0 ლუის სუარესი (41), 1:1 სალასი (59), 1:2 სალასი (70), 2:2 აბრეუ (81).

2010 წლის მუნდიალის შესარჩევი ციკლის სამხრეთამერიკულ ზონაში, როგორც ყოველთვის ყველაზე დიდ ინტერესს ისევ და ისევ არგენტინისა და ბრაზილიის ნაკრებების მატჩები იწვევდა. ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში "ალბისელესტეს" მატჩის მიმოხილვა გაგაცანით. შეგახსენებთ, რომ **სერხიო აგუეროს** ეფექტური გოლისა და **ხუან რომან რიკელმეს** დუბლის წყალობით **ალფიო ბასილეს** შეგირდებმა საშინაო შეხვედრაში ბოლივია დამაჯერებლად დაამარცხეს. ბრაზილიამ კი კვირას თბილისის დროთ გვიან ღამით იასპარეზა და ლიმაში პერუს დაუზავდა. იმედია გახსოვთ, ის წინასატურო მიმოხილვა, რომელიც შესარჩევი ციკლის მესამე ტურს მივუძღვენით. **კარლოს დუნგა** პერუს ნაკრებზე ღია ტექსტით საუბრობდა და აცხადებდა, რომ მასპინძლებისგან სერიოზულ პრობლემებს ელოდა. "სელესაოს" თავკაცი განსაკუთრებით თავდასხმის ხაზს უფრთხოდა. მას ეშინოდა, საკლუბო შეხვედრებით გადაღლილ შეგირდებს მრისხანე **კლაუდიო პისაროსა** და **გერეროს** წინააღმდეგ ბრძოლა არ გასჭირვებოდათ. მართალია, მასპინძელთა გოლი **ვარგასის** ანგარიშზე ჩაინერა, მაგრამ ამით ბევრი არაფერი იცვლება. ყველას ეგონა, რომ დუნგა არაგულწრფელად საუბრობდა და მეტოქის ღირსებებზე მუდმივად ხაზის გასმით მათი ყურადღების მოდუნებას ცდილობდა, სინამდვილეში კი პერუს ნაკრები სასაცილოდაც არ ყოფნიდა. თამაშმა დაგვანახა, რომ ამგვარი განცხადებების ავტორები არაფრის გაგებაში არ ყოფილან. დუნგა ცამდე მართალი აღმოჩნდა... "სელესაოს" მცველები მართლაც დაღლილები ჩანდნენ. ყოველ შემთხვევაში, ისინი ძალიან მძიმედ თამაშობდნენ. ვერ ვიტყვით, რომ მთლიანობაში მასპინძელთა ნახევარდაცვამ და თავდასხმამ მოწინააღმდეგე დაჩაგრეს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ პენტაკამპეონთა მცველებს საქმე არ აკლდათ. თავის მხრივ, სტუმრებიც რიხიანად უტევდნენ, **კაკას, რონალდინიოს, რობინიოსა** და სხვებს რამდენინემ კარგი მომენტი გაუცუდდათ...



მიმომხილველებმა კიდევ ერთი მცდარი პროგნოზი შემოგვასაღეს. ბრაზილიელი ჟურნალისტები დარწმუნებულები იყვნენ, რომ დუნგა ფორმიდან ამოვარდნილ რონალდინიოს სათადარიგოთა სკამზე დასვამდა და საუკეთესო შემთხვევაში მეორე ტაიმში 20-25 წუთი ათამაშებდა. როგორც ხედავთ, გაუჩომ პირველიდან უკანასკნელ წუთამდე იასპარეზა. გაუჩოს ფურორი არ მოუხდენია, თუმცა სხვა შეხვედრებისგან განსხვავებით, ახლა ბევრად უფრო აქტიური იყო. ალბათ, მწვრთნელის დამსახურება იყო, რომ ბარსელონელი დაცვითი სამუშაოს შესრულებასაც არ თაკილობდა. ხშირად ვერ ნახავთ, როცა რონალდინიო მეტოქეს თავგანწირული ვარდნით ბურთს ართმევს. პერუსთან მატჩში კი ასეთი რამ ორჯერ მოხდა. როგორც მოსალოდნელი იყო, მასზე აქტიურად და სასარგებლოდ კაკამ ითამაშა. ანგარიში სწორედ მან გახსნა. მე-40 წუთზე "მილანის" ვარსკვლავი მეურვეს დაუსხლტა და დაახლოებით 30 მეტრიდან შესრულებული ფანტასტიკური დარტყმით მეკარეს შანსი არ დაუტოვა. **დიეგო პენი** აბსოლუტურად უძლური აღმოჩნდა. გოლი იმდენად ლამაზი გამოდგა, რომ კაკას პერუელმა ინჩასებმაც კი დაუკრეს ტაში. გენიალურმა ბრაზილიელმა მიმდინარე შესარჩევ რაუნდში მესამედ დალაშქრა მოწინააღმდეგეთა კარი. მასპინძლებმა წონასწორობა მეორე ტაიმში აღადგინეს. აღსანიშნავია, რომ ხუან ვარგასმაც შორეული დარტყმით გამოიჩინა თავი, თუმცა კაკამ ოდნავ უფრო შორი მანძილიდან გაისროლა. მასპინძელთა სასიხარულოდ, ვარგასმა ნავსი გატეხა. სატურნირო ცხრილში თუ ჩაიხედავთ, აღმოაჩენთ, რომ პერუს ნაკრებს წინა ორ ტურში ერთხელაც არ ჰქონდა გატანილი. სხვათა შორის, ბრაზილიელები იმ წამამდე სრულიად საპირისპირო მაჩვენებლით იწონებდნენ თავს, მათ წლევანდელ საკვალიფიკაციო ტურნირში პირველი გოლი გაუშვეს.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მისულ კარლოს დუნგას აშკარად ეტყობოდა, რომ ლიმაში ორი ქულის დაკარგვა მეტისმეტად მტკივნეულად აღიქვა. აი, რა განაცხადა მან: *"პირველ ტაიმში მშვენივრად გამოვიყურებოდით, მაგრამ სამწუხაროდ, შესვენების შემდეგ ინიციატივა ისე დავთმეთ, რომ ჩვენთვის ეს არავის უოძულება. ყველაფერი საკუთარ თავს უნდა დავაბრალოთ. ნახევარდაცვა სერიოზულ შეცდომებს უშვებდა. მოედნის ცენტრში ბურთს ხშირად ვკარგავდით და მეტოქეს იერიშების ორგანიზების შესაძლებლობას ვაძლევდით. არადა, მეტი თავდადებით რომ გვეთამაშა, ორთაბრძოლებს ასე უმონყალოდ არ ნავაგებდით და თამაშს მოედნის საპირისპირო მხარეს გადავიტანდით. მიუხედავად ყველაფრისა, მიმაჩნია, რომ ხარისხის თვალსაზრისით ბრაზილამ გაცილებით უკეთ ითამაშა. თუმცა ეს დიდი არაფერი ნუგეშია. ლამაზი ფეხბურთი სასურველი შედეგის გარეშე არაფერია. ჩვენთვის კი სასურველი შედეგი მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვება იყო. ასე რომ, დასახულ მიზანს ვერ მივაღწიეთ. არ დაგიმალავთ, ძალიან უკმაყოფილო ვარ. შეგირდებისგან ბევრად მეტს ველოდი."*

და მაინც, ბრაზილიას გამარჯვების რეალური შანსი ჰქონდა. საფინალო სასტვენამდე მცირე ხნით ადრე რონალდინიომ საჯარიმო შეასრულა. მან მეკარის სიახლოვეს ჩაკიდა, **ჟუანმა** ყველას დაასწრო, დროულად ახტა, მაგრამ მისმა თავურმა მიზანს ვერ მიაღწია, ბურთი ძელს მოხვდა...

ცხოვრებამ დაგვანახა, რომ ორწლიანი პაუზის შემდეგ ჩილეს ნაკრებში **მარსელო სალასის** დაბრუნება გამართლებული გადაწყვეტილება იყო. ვეტერანმა ფორვარდმა ურუგვაისთან მატჩში საუცხოოდ ითამაშა. საქმე მხოლოდ ორი გოლით არ შემოიფარგლება. ყოველ წამს იგრძნობოდა, რომ სტუმართა თავდასხმაში უდიდესი გამოცდილების მქონე ფორვარდი ირჯებოდა. სალასი ხელსაყრელ პოზიციაზე განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე გადიოდა და **კარინის** სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა. სალასი თავისუფლად შეგვიძლია, ამ თამაშის გმირად მოვნათლოთ... ისე კი საკვირაო დაპირისპირებაში მასპინძლები დომინირებდნენ. ეს განსაკუთრებით პირველ ტაიმზე ითქმის. თავად განსაჯეთ, **ლუის სუარესმა** და **სებასტიან აბრეუმ** ანგარიშის გახსნის რეალური შესაძლებლობა ოთხჯერ გაუშვეს ხელიდან. "სელესტეს" გულშემატკივრები ტაიმის ფრედ დასრულების იდეას ის ის იყო შეეგუენ, რომ სუარესმა 41-ე წუთზე **ვისენტე სანჩესის** შესანიშნავი პასი მიიღო და **კლაუდიო ბრავოს** კარი დალაშქრა.

შესვენების შემდეგ სტუმართა დამრიგებელმა **მარსელო ბიელსამ კარლოს ვილიანუევა** გამოიყვანა. ფეხბურთელმა მწვრთნელის იმედები ბოლომდე გაამართლა. 59-ე წუთზე ვილიანუევამ ჩინებული დრიბლინგი განახორციელა და სალასი დროული პასით ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა. გამოცდილმა მარსელომ კი ლამაზი თავურით წონასწორობა აღადგინა. ზუსტად 11 წუთში "ლაციოსა" და "იუვენტუსის" ყოფილმა ფორვარდმა დუბლი შეასრულა. ურუგვაის კაპიტანმა **მათიას ფერნანდესი** საჯარიმოში წესების დარღვევით შეაჩერა და პენალტი აიკიდა. 11-მეტრიანი სალასმა ზუსტად შეასრულა. გუშინწინდელი დუბლის შემდეგ ჩილეს ეროვნულ გუნდში მას 37 გოლი დაუგროვდა. "სელესტე" მტკივნეული საშინაო მარცხისგან პირველ ტაიმში არაერთხელ ხელმოცარულმა სებასტიან აბრეუმ იხსნა. ქომაგება ძალიან კი გაიხარეს, მაგრამ ემოციების დაცხრომის შემდეგ ყველა მიხვდა, რომ "სენტენარიოზე" მიღწეული ყაიმი სერიოზული წარუმატებლობა იყო. მასპინძელთა თავკაცი **ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესი**, რა თქმა უნდა, მეტად უკმაყოფილო დარჩა: *"სალასი გენიალური ბიჭია, მაგრამ უნდა განვაცხადო, რომ ორი ქულა არა მისი დუბლის, არამედ ჩვენი დაუდევრობის გამო დავკარგეთ. ძალიან მტკივნეულია, ის რაც მოხდა. საშინაო შეხვედრებში ქულების განაავება დაუშვებელია. გულშემატკივრები სრულიად სამართლიანად და ლოგიკურად 2010 წლის მუნდიალის საგზურის მოპოვებას გვთხოვენ. ასე თუ გავაგრძელებთ, მათ შეკვეთას ვერ შევასრულებთ. მრავალი შეცდომის მიუხედავად, ეფექრობ, გამარჯვებას ვიმსახურებდით. ურუგვაი ბევრად უფრო გამართულად თამაშობდა."*

ტაბარესის შეფასებას მარსელო ბიელსა ვაუკაცურად დაეთანხმა: *"ჩემი აზრით, დღევანდელ შეხვედრაში ფრე ჩილეს ნაკრებისთვის მაქსიმალური შედეგი იყო. რომ მოგვეგო ვიტყოდი, რომ სამ ქულას არ ვიმსახურებდით. მასპინძლებლა ბევრი მოენტი ვერ გამოიყენეს. რა თქმა უნდა, ამით ძალიან გახარებული ვარ, მაგრამ ობიექტურობას ვერ დავკარგავ. მოკლედ, ურუგვაიმ თამაშით გვაჯობა, მაგრამ ფეხბურთს უფრო დიდი უსამართლობაც უნახავს. მსურს, მარსელო სალასის შესანიშნავ თამაშს ხაზი გავუსვა. ბედნიერი ვარ, რომ ნაკრებში მან გოლების გატანა განახლა. იმედია, მომდევნო ტურებში უკეთ ვითამაშებთ. "სელესტეს" მსგავსად ჩვენც 2010 წლის მუნდიალის საგზურს ვუიმზნებთ."*

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. არგენტინა	3	3	0	0	7-0	6
2. პარაგვაი	3	2	1	0	6-1	7
3. ბრაზილია	3	1	2	0	6-1	5
4. კოლუმბია	3	1	2	0	1-0	5
5. ურუგვაი	3	1	1	1	7-3	4
6. ჩილე	3	1	1	1	4-4	4
7. ვენესუელა	3	1	0	2	1-2	3
8. პერუ	3	0	2	1	1-3	2
9. ბოლივია	3	0	1	2	0-8	1
10. ეკვადორი	3	0	0	3	1-11	0

ბრაზილიელთა შორის ისევ კაკა გამოირჩა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განუწყვეტელი კრიტიკის მიუხედავად, ლუის არაგონესი მუშაობას მშვიდად აგრძელებს

ESპანეთის ნაკრები

ეიფორიის დასასრული

მადრიდული გამოცემის სტატიამ საზოგადოებას ევრო 2008-ს საგზური დაავიწყა და სერიოზულად ჩააფიძრა...

შვედეთის ნაკრების დამარცხებითა და ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის ფინალური სტადიის საგზურის მოპოვებით ესპანეთის ნაკრების გულშემატკივრები, ნაწილობრივ თავად ფეხბურთელებიც დიდმა ეიფორიამ მოიცვა. გასაკვირი არ არის, რომ მძიმედ დაწყებული საკვალიფიკაციო რაუნდის წარმატებით დასრულებამ ყველა გააახარა, თუმცა "დიარიო მარკას" გუშინდელმა სტატიამ ხსენებული ეიფორია უკვალოდ გააქრო. ლუის არაგონესის მოსისხლე მტრად ქცეულმა მადრიდულმა გაზეთმა ფრიად საინტერესო გარემოებაზე გაამახვილა ყურადღება.

ᲐᲘ, ᲠᲐᲨᲘ საქმე: მიუხედავად იმისა, რომ "სელექსიონმა" შვედეთს დიდი ანგარიშით მოუგო და F ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლის რეალური შანსი მოიპოვა (მნიშვნელობა არ აქვს, ასეც რომ მოხდეს) ესპანეთის ეროვნული გუნდი 2 დეკემბერს ევროპის ჩემპიონატის ფინალური სტადიის კენჭისყრაში ფავორიტების ეგრეთ წოდებულ კალათაში მაინც ვერ მოხვდება. მოგეხსენებათ, შვეიცარიისა და ავსტრიის სტადიონებზე კონტინენტის 16 საუკეთესო ნაკრები იასპარეზებს. მასპინძლები ტურნირზე ყოველგვარი საკვალიფიკაციო რაუნდის გარეშე, ავტომატურად მოხვდნენ. მათი ჩათვლით 12 ფინალისტი უკვე გარკვეულია. ბოლო ტურის შემდეგ უკანასკნელი 4 საგზურის მფლობელის ვინაობასაც შევიტყობთ. მოკლედ, უეფას მესვეურები 16 კოლექტივს ოთხ კალათაში გაამწესებენ. სარეიტინგო ქულებს ისინი ჯგუფში ჩატარებული მატჩების რაოდენობისა და ბოლო ორი შესარჩევი ტურნირის (2006 წლის მუნდიალი, 2008 წლის ევროპის პირველობა) განმავლობაში მიღწეული შედეგების მიხედვით მოიპოვებენ. მასპინძლის სტატუსიდან გამომდინარე შვეიცარია და ავსტრია პირველ კალათაში აღმოჩნდებიან. ისევე როგორც საბერძნეთი. მოგეხსენებათ, **ოტო რეჰაგელის** ბიჭები ბებერი კონტინენტის მოქმედი ჩემპიონები არიან. უეფას გადაწყვეტილებით, სარეიტინგო მაჩვენებელზე შესარჩევ ჯგუფში დაკავებული ადგილი ფაქტობრივად, არანაირ გავლენას არ იქონიებს, მთავარი ბოლო წლებში მოგებული შეხვედრების რაოდენობაა. ამ თვალსაზრისით კი ესპანეთი აშკარად მოიკოჭლებს. "დიარიო მარკას" გამოთვლით, "სელექსიონს" მეორე კალათაში მოხვედრის თეორიული შანსიც არ გააჩნია. საუკეთესო შემთხვევაში ისინი მესამე კალათაში აღმოჩნდებიან, თუმცა ამისათვის საკმაოდ რთული კომბინაციის გათამაშებაა საჭირო. ხვალ ესპანეთმა ჩრდილოეთ ირლანდია უნდა დაამარცხოს და ამავდროულად იოცნებოს, რომ საფრანგეთმა, რუმინეთმა და პოლონეთმა არ გაიმარჯვონ. ჩამოთვლილთაგან რომელიმე თუ მოიგებს, სარეიტინგო ქულებით ესპანეთს გადაასწრებს და "სელექსიონი" ავტომატურად ბოლო მეოთხე კალათაში აღმოჩნდება. ეს კი უდიდეს ალბათობას შეიცავს, რომ **ლუის არაგონესის** გუნდს ევროპის ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე კონტინენტის ერთ, ან ორ უძლიერეს კოლექტივთან მოუწევს შერკინება.

როგორც მოგახსენეთ, "დიარიო მარკა" არაგონესს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდა. დედაქალაქურმა გამოცემამ მისი გადაყენების მოთხოვნით არაერთი აქცია წამოიწყო, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. ესპანეთის ნაკრების წინა ორთაბრძოლამ "დიარიო მარკას" ჟურნალისტებს მხრცოვანი სპეციალისტის გაკრიტიკების შანსი მოუსპო. გუნდმა ფანტასტიკურად ითამაშა, დიდი ანგარიშით მოიგო და ამ პირობებში მწვრთნელის ლანძღვას ვერავინ გაიგებდა... მაგრამ ჩვენმა კოლეგებმა ქექეს, ქექეს და რაღაც მაინც იპოვნეს. საგულისხმოა, რომ მათ სტატიას საზოგადოებაში საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა. გულშემატკივრები შეშფოთებულები არიან და სატელევიზიო ინტერვიუებში არაორაზროვნად ამბობენ, სარეიტინგო ქულების დაკარგვაც და საერთოდ ყველა სანაკრებო უბედურება მხოლოდ და მხოლოდ ერთი კაცის, ლუის არაგონესის ბრალიაო. მეტი დამაჯერებლობისთვის "დიარიო მარკამ" საკუთარი ვებგვერდის საშუალებით სახელდახელო გამოკითხვა მოაწყო. გამოკითხვაში 178 654 გულშემატკივარმა მიიღო მონაწილეობა. მათი 89 პროცენტი ხელს სწორედ არაგონესისკენ იშვერს და აცხადებს, ჯიუტ მწვრთნელს **რაული** ფეხებზე რომ არ დაეკიდა, ახლა პირველ კალათაში ადგილი გარანტირებული გვექნებოდაო.

GერმანIის ნაკრები

პოლდი შვაინის კონკურენტად?

ლიოვის ახალი იდეა და სამი კითხვის ნიშანი საევროპოდ...

პოდოლსკი და შვაინშტაიგერი საუკეთესო მეგობრები არიან. უკვე კონკურენტებიც?

შაბათს გერმანიის ნაკრებმა კვიპროსს 4:0 მოუგო, რაც არავის გაჰკვირვებია. სამაგიეროდ, გასაკვირი გახლდათ ბუნდესმწვრთნელ **იოახიმ ლიოვის** ერთი ექსპერიმენტი, რომელმაც 100 პროცენტით გაამართლა! ლიოვმა ხსენებულ შეხვედრაში **ლუკას პოდოლსკის** ახალი პოზიცია გამოუნახა და რაკი **ბასტიან შვაინშტაიგერი** ტრავმირებული იყო, ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე პოლდი ათამაშა. ეს კი სიურპრიზი გახლდათ, რადგან პოდოლსკის ამ პოზიციაზე არასდროს უთამაშია – ბოლო წლებში სულ ფორვარდი იყო, მანამდე კი, გამთამაშებლადაც უასპარეზია. ერთი სიტყვით, იოგის ექსპერიმენტმა გაამართლა – პოდოლსკი ახალ ამპლუაში მთელი 90 წუთის განმავლობაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო: ერთი გოლი თვითონ გაიტანა, ორიც თანაგუნდელებს გაატანინა.

შესაბამისად, „ბილდი" გერმანიის ნაკრებში ახალ კონკურენციაზე წერს. თუკი ლიოვი პოდოლსკის მომავალშიც ამ პოზიციაზე ათამაშებს, შაშინ ლუკასი შვაინშტაიგერის კონკურენტი გახდება. მოგეხსენებათ, პოლდი და შვაინი საუკეთესო მეგობრები არიან. და რა მოხდება თუ ისინი ერთი ადგილისთვის დაიწყებენ ბრძოლას? ბოლო დროს ორივე მათგანს კრიზისული პერიოდი უდგას. პოდოლსკისაც და შვაინშტაიგერსაც ყველა ექსპერტი აკრიტიკებს იმის გამო, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ორივემ ძალიან მოუკლო. არადა მუნდიალის დროს, „პოლდი" და „შვაინი" გერმანელთათვის უსაყვარლესი სიტყვები იყო.

ლუკასმა რომ შესანიშნავად ითამაშა, ეს ყველამ დაინახა, მაგრამ „ბაიერნის" მენეჯერი **ული ჰაინესი** პირდაპირ ამბობს: *„არ უნდა დაგვაეიწყდეს: ეს მხოლოდ და მხოლოდ კვიპროსი იყო და მეტი არაფერი. შესაბამისად, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ყველანი უნდა გავგიჟდეთ!"* რეკორდმაისტერის შეფი გაკვირვებას ვერ მალავდა იმის გამო, რომ ლიოვმა პოლდი მარცხენა ნახევარმცველად ათამაშა. *„და ორმაგად გასაკვირი იყო ის, რომ ლუკასმა ახალ ამოცანას თავი კარგად გაართვა."* – დაამატა ულიმ. ლიოვმა მას მატჩამდე სამი დღით ადრე უთხრა, რომ მარცხენა ფლანგზე უპირებდა გამწესებას და სწორედ სამ დღეში მოასწრო პოლდიმ იმ ყველაფრის შესწავლა, რაც ფლანგის მოთამაშეს სჭირდება. მოასწრო და **ფილიპ ლამთან** ერთად, მარცხენა ფლანგზე ჰარმონიული დუეტიც შექმნა.

რამდენად დიდია იმის შანსი, რომ პოლდი მარცხენა ნახევარმცველად გარდაიქმნას? თვითონ ფეხბურთელი ამბობს: *„ეს მხოლოდ ერთი თამაში იყო და ცხადია, ნაადრევი და უადგილოა იმაზე საუბარი, რომ ამიერიდან ფლანგის ნახევარმცველი ვარ. სამაგიეროდ, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ყველაფერი ისევ ძალიან კარგადაა. ეს მატჩი კრიზისის დაძლევაში დამეხმარება და მგონი, ნავსიც გავტეხე!"*

მიმომხილველები დარწმუნებულები არიან, რომ ოთხშაბათს, უელსთან შეხვედრაში, ლიოვი პოლდის ისევ თავდასხმაში დააბრუნებს, მაგრამ ამით ლუკასის თემა არ ამოწურულა. ჩნდება კითხვა, რომელიც მთელს საფეხბურთო გერმანიას დიდი ხანია, უტრიალებს: რატომ თამაშობს პოლდი ბუნდესგუნდში ყოველთვის კარგად და რატომ ვერ ახერხებს ამას „ბაიერნში"? *„აქ თავს ყოველთვის ძალიან კარგად ვგრძნობ, თანაც, მწვრთნელი მუდმივად მენდობა. ნდობა არც ჰიტცფელდისგან მაკლია, მაგრამ ფაქტია, რომ „ბაიერნში" მოდანზე გაცილებით ცოტა ხანს ვარ ხოლმე,"* – ამბობს პოდოლსკი.

„ჩემთვის პოდოლსკი ჯერ კიდევ თავდამსხმელია, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ უახლოეს მომავალში "ბაიერნშიც" გამოვცადო მარცხენა ნახევარმცველად," – ეს კი „ბაიერნის" დამრიგებლის, **ოტმარ ჰიტცფელდის** სიტყვები გახლავთ. აქვე გეტყვით იმასაც, რომ რეკორდმაისტერის პრეზიდენტისა და გერმანული ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდის, **ფრანც ბეკენბაუერის** აზრით, პოდოლსკის ადგილი ნახევარდაცვაში არ არის.

ᲙᲕᲘᲞᲠᲝᲡᲗᲐᲜ თამაშით ბევრ საკითხზე ვერ იმსჯელებს კაცი, მაგრამ საერთო ჯამში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის ნაკრების ძირითადი ბირთვი გამოკვეთილია. მეტიც, უკვე თითქმის ცნობილია ის 8 ფეხბურთელი, რომლებიც ევროპის ჩემპიონატზე (თუ ტრავმა არ მიიღეს) ბუნდესგუნდის ძირითად შემადგენლობაში იასპარეზებენ. გასარკვევი კი მხოლოდ სამი პოზიცია დარჩა.

მეკარის საკითხი ჯერ ისევ გაურკვეველია. მართალია, ლიოვი **იენს ლემანს** ნდობას უცხადებს, მაგრამ ცნობილია, რომ თუ ეს უკანასკნელი „არსენალის" ძირითად შემადგენლობაში ადგილს ვერ დაიბრუნებს, ავსტრიასა და შვეიცარიაში გერმანიის კარი სხვამ უნდა დაიცვას. შესაბამისად, სამი კითხვის ნიშნიდან ერთი სწორედ მეკარის პოზიციას ეკუთვნის.

დაცვაში ყველაფერი გარკვეულია: მარჯვენა ფლანგზე **ფილიპ ლამს** აქვს ადგილი დაჯავშნილი, ცენტრში **პერ მერტეზაკერი** და **კრისტოფ მეტცელდერი** დგანან, მარცხნივ კი **მარსელ იანსენის** ადგილია. ცნობისათვის, მეტცელდერისთვის მნიშვნელობა არა აქვს, მოახერხებს თუ არა ლემანი „არსენალის" ძირითად შემადგენლობაში დაბრუნებას, კრისტოფის აზრით, ბუნდესგუნდის პირველი მეკრე მიუხედავად ყველაფრისა, მაინც იენსი უნდა იყოს.

ნახევარდაცვაში სამი ადგილი ამთავითვე გარანტირებულია: **მიხაელ ბალაკს**, მიუხედავად იმისა, რომ აპრილს აქეთ აღარ უთამაშია, თავისი ადგილი განაღდებული აქვს, რადგან ბალაკი გუნდის კაპიტანი და შეუცვლელი ფიგურაა. მთლად ბალაკის დარად ვერა, მაგრამ საკმაოდ მყარი ადგილები აქვთ საყრდენ ნახევარმცველ **ტორსტენ ფრინგსს** და მარჯვენა ნახევარმცველ **ბერნდ შნაიდერს**. აი, მარცხენა შუამარბის საკითხი კი ღიად რჩება და ამ პოზიციაზე, შვაინშტაიგერისა და როგორც გამოჩნდა, პოდოლსკის გარდა, **ტიმ ბოროვსკისაც** შეუძლია თამაში და **პიოტრ ტროხოვსკისაც**, თუმცა ამ უკანასკნელის შანსები, შეიძლება ითქვას, რომ მიზერულია. ესეც მეორე კითხვის ნიშანი: ვინ იქნება მარცხენა ნახევარმცველი?

...და რაც შეეხება მესამეს: ეს არის ერთი ადგილი თავდასხმაში, **მიროსლავ კლოზეს** გვერდით. ვინ იქნება მეორე ფორვარდი? **კევინ კურანი** თუ **მარიო გომესი**, ან იქნებ ისევ პოდოლსკი?

„რაც მეტი კითხვის ნიშანი იარსებებს, მით უკეთესი, რადგან ეს იმას ნიშნავს, რომ გუნდში დიდი კონკურენციაა. როცა ზოგიერთი ფეხბურთელიუ ლაზარეთიდან დაბრუნდება, კონკურენცია კიდევ უფრო გამძაფრდება. მიყვარს ეს პერიოდი," – აცხადებს ლიოვი. მეორეხარისხოვანი ნახევარმცველებიდან შანსები აქვთ **სიმონ როლფესსა** და **თომას ჰიტცლშპერგერს**, ასევე **რობერტო ჰილბერტს**.

გოტფრიდ ᲚᲔᲜᲪᲘ

ᲚᲔᲛᲐᲜᲛᲐ ᲤᲐᲜᲔᲑᲘ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝ?

ᲕᲘᲜ ᲘᲧᲝ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘ ᲛᲔᲙᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲐᲓᲠᲔᲡᲐᲢᲘ? ᲒᲘᲚᲓᲘ ᲝᲗᲮ ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲫᲕᲔᲧᲜᲔᲑᲡ...

ამ ფოტოზე წესიერად ისიც კი არ ჩანს, აღმართია თუ არა იენს ლემანმა შუა თითი

ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ გერმანიამ კვიპროსს უმასპინძლა. გერმანელებს ევროპის ჩემპიონატის საგზური უკვე ჯიბეში ედოთ. ამ შეხვედრას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. **იოგი ლიოვის** შეგირდებმა მაინც არ დაიზარეს და მეტოქე ოთხი უპასუხო გოლი დაასაჩუქრეს. ნამატჩევს დიდი სკანდალი ატყდა. მიმომხილველები ამტკიცებდნენ, **იენს ლემანმა** ფანებს შუა თითი უჩვენა და შეურაცხყოო. "არსენალის" კარის დარაჯი ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს. შაბათს მან 50-ე სანაკრებო მატჩი ჩაატარა. ლემანს ბევრი საქმე არ ჰქონია. მან თითქმის მთელი თამაში მაყურებლის როლში გაატარა. საბრალო იენსს ჰანოველელი გულშემატკივარი აგრესიულად შეხვდა. ტრიბუნები განუწყვეტლივ **რობერტ ენკეს** სახელს სკანდირებდნენ. ენკე "ჰანოვერის" გოლკიპერია. ის ადგილობრივი ფანების ერთ-ერთი საყვარელი ფეხბურთელი გახლავთ. შაბათს ენკე თადარიგში იჯდა. მწვრთნელების გადაწყვეტილებით, უმნიშვნელო შეხვედრაშიც კი კარის დაცვა ვეტერან ლემანს ანდეს.

და მაინც, შეურაცხყო თუ არა ლემანმა მაყურებელი? იენსი ამბობს, რომ ეს ხელოვნურად აგორებულია სკანდალია. "ბილდმა" ინციდენტის ამსახველი ფოტო გამოაქვეყნა. ამ სურათით დასკვნის გამოტანა შეუძლებელია. იქნებ გოლკიპერი ოფლს იწმენდს და უბამსი ჟესტი არაფერ შუაშია? გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა **თეო ცვანციგერმა** ფეხბურთელს მხარდაჭერა გამოუცხადა. იენსი უღირსად არ მოიქცეოდაო, თქვა მან. "ბილდს" ეჭვი არ ეპარება, რომ ლემანს შუა თითი მიზანმიმართულად აქვს აღმართული. ტაბლოიდს აინტერესებს, რას უნდა ნიშნავდეს მეკარის ჟესტი. აი, ოთხი შესაძლო პასუხი: 1) ლემანი ამბობს, რომ ის პირველი მეკარეა, თუმცა რატომღაც საჩვენებელი კი არა, შუა თითი აქვს აღმართული; 2) ლემანმა შუა თითი უჩვენა ფანებს, რომლებიც ენკეს გულშემატკივრობენ და სურთ, გერმანიის ნაკრების პირველი მეკარე ის იყოს; 3) ლემანმა უმისამართოდ, ყველას ერთიანად უჩვენა შუა თითი; 4) და ბოლოს, იენსმა არსენ ვენგერი მოიკითხა, რომელიც მას თადარიგში ამყოფებს და ძირითადში ესპანელ მანუელ ალმუნიას ათამაშებს. დასკვნები მკითხველისათვის მოგვინდია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამწვრთნელო ტრანსფერი

სტევენსი ეინდჰოვენში მიდის

ჰუუბს ჰამბურგი ენანება, მაგრამ ცოლი უყვარს...

ბაიერსდორფერს (მარცხნივ) სტევენსის შემცვლელის ძებნა მოუწევს

გერმანულ პრესაში გუშინ გავრცელებულმა ინფორმაციამ „ჰამბურგის“ ქომაგები შოკში ჩააგდო: HSV-ს მთავარმა მწვრთნელმა **ჰუუბ სტევენსმა** გადაწყვიტა, რომ მომავალი სეზონიდან „ეინდჰოვენს“ უთავკაცოს, ასე რომ, სპეციალისტი, რომელმაც უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი „ჰამბურგი“ ფეხზე წამოაყენა და ისევ გუნდს დაამსგავსა, სახლის შენებას საძირკვლის გაკეთების შემდეგ წყვეტს. ჰუუბის თქმით, ის ამ სეზონს „ჰამბურგში“ ჩაამთავრებს, ზაფხულში კი, პირადი მიზეზების გამო „ეინდჰოვენში“ გადაბარგდება.

თუმცა გერმანიაში სტევენსს ვერავინ გაკიცხავს, რადგან ყველამ იცის, თუ რატომ მიიღო მწვრთნელმა ასეთი გადაწყვეტილება და რომ ეს მიზეზი საპატიოა. საქმე იმაში გახლავთ, რომ სტევენსის მეუღლე **ტოოსს** უკვე დიდი ხანია, ავთვისებიანი სიმსივნე სტანჯავს. ჰუუბის მეუღლე სწორედ ეინდჰოვენშია - იქ მკურნალობს, იქ ცხოვრობს. შესაბამისად, როცა სტევენსი პსვ-ს მწვრთნელი გახდება, მეუღლისთვის უფრო მეტი დრო ექნება, ვიდრე ახლა. ტოოსს უახლოეს მომავალში კიდევ ერთი ოპერაცია უნდა გაუკეთონ და სტევენსსაც უნდა, რომ მუდმივად მეუღლის გვერდით იყოს, რადგან იცის, რომ შესაძლოა, ტოოსმა დიდხანს ვეღარ იცოცხლოს.

ამრიგად, სტევენსი ჰოლანდიის ჩემპიონთან, რომელთან ერთადაც 1978 წელს უეფას თასი მოიგო, კონტრაქტს 2010 წლამდე გააფორმებს. სტევენსი „ეინდჰოფვენის“ თავკაცის პოსტზე **რონალდ კუმანს** შეცვლის, რომელმაც „ვალენსიას“ მიაშურა. მართალია, სეზონის დასრულებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა დარჩენილი, მაგრამ „ეინდჰოვენის“ ხელმძღვანელები სტევენსს ადგილს შეუნახავენ – ზაფხულამდე პსვ-ს ჯერ **იან ვოუტერსი** (იანვრამდე), მერე კი **ზეფ ვერგოსენი** (ივნისამდე) უხელმძღვანელებს. ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა ჯერ კიდევ 2 კვირის წინათ გაავრცელეს ინფორმაცია, რომ სტევენსი „ეინდჰოვენთან“ მოლაპარაკებებს ანარმოებდა, მაგრამ მაშინ მწვრთნელმა კატეგორიულად თქვა, „ჰამბურგთან“ კონტრაქტს არაფრისდიდებით არ გავწყვეტო. თუმცა მაშინვე ცხადი იყო, რომ HSV-ს ხელმძღვანელებს მისი შენარჩუნება ძალიან გაუჭირდებოდათ, რადგან „ეინდჰოვენი“ ჰუუბის მეუღლის ადგილსამყოფელის გამო მომგებიანმდგომარეობაში იყო.

ასე რომ, „ჰამბურგის“ ხელმძღვანელებმა ჰუუბის შემცვლელის ძებნა ახლავე უნდა დაიწყონ. სტევენსი გუნდში სპორტულმა დირექტორმა **დიტმარ ბაიერსდორფერმა, თომას დოლის** შემცვლელად მოიყვანა. მან კი გუნდი ფეხზე დააყენა – მეორე ბუნდესლიგაში გავარდნის კანდიდატიდან, ტოპ-კოლექტივი გამოძერწა. შეგახსენებთ, რომ ზაფხულში „ჰამბურგიდან“ წასვლას გუნდის ლიდერი **რაფაელ ვან დერ ვაარტიც** გეგმავს.

სტივ ბრუსი

სამწვრთნელო გადაადგილება

სტივ ბრუსი ვიგანში დაინიშნა

სტივ ბრუსი "ბირმინგემს" გამოეთხოვა და "ვიგანს" მიაშურა. ეს ინფორმაცია ინგლისურმა სააგენტოებმა გაავრცელეს. მოლაპარაკებები ორ კლუბს შორის შედეგიანად დასრულდა. "ვიგანის" თავმჯდომარე **დეივ უელანი** იმთავითვე დარწმუნებული იყო, რომ "მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილ ვარსკვლავს მალე გაუფორმებდა კონტრაქტს. ბატონი თავმჯდომარე საამისოდ თანხას არ იშურებდა. როგორც ამბობენ, მან ბრუსს შვიდნიშნა ხელფასი შესთავაზა. მწვრთნელს ამ წინადადებაზე უარის თქმა არ შეეძლო. ბრუსის გაშვებით "ბირმინგემმაც" იხეირებს. მას კომპენსაციის სახით 3 მილიონ გირვანქას მიუთვლიან. ცალკე მოლაპარაკებები გაიმართება მეორე მწვრთნელის **ერიკ ბლეკის** თაობაზე. ბირმინგემელებს სურთ, ბრუსის შემდეგ კლუბს ბლეკმა უხელმძღვანელოს. მისტერ სტივს კი ერთგული ასისტენტი ახალ სამსახურში სჭირდება. 2001 წელს ბრუსმა "ვიგანში" რამდენიმე თვე გაატარა. მას მერე, ექვსი წლის განმავლობაში ის "ბირმინგემ სიტის" დამრიგებელი იყო. ვიგანელებმა 12 ტურის შემდეგ მთავარ მწვრთნელ **კრის ჰათჩინგსს** კარისკენ მიუთითეს. კლუბი პრემიერლიგის ერთ-ერთი აუტსაიდერია. ინგლისის უმაღლეს დივიზიონში უკვე ხუთი გუნდის დამრიგებელი შეიცვალა: ჩელსელი **ჟოზე მოურინიო**, ტოტენჰემელი **მარტინ იოლი**, ბოლტონელი **სემი ლი**, ვიგანელი **კრის ჰათჩინგსი** და ბირმინგემელი **სტივ ბრუსი**.

ბაიერნი

ლამი ბარსას მოურიგდაო

ისმაელს მიუნხენიდან წასვლა სურს...

თუ ესპანურ გამოცემა „მარკას“ ვენდობით, „ბაიერნისა“ და გერმანიის ნაკრების ფლანგის მცველი **ფილი ლამი** 2009 წლიდან „ბარსელონას“ ფეხბურთელი გახდება. გუშინ ხსენებული გამოცემა წერდა, რომ 24 წლის გერმანელი ფეხბურთელი კატალონიური კლუბის ხელმძღვანელებს ყველაფერზე მოურიგდა და რომ 2009 წლის ივნისიდან ის „ბარსას“ მოთამაშე გახდება. შეგახსენებთ, რომ ლამს მიუნხენურ კლუბთან კონტრაქტი სწორედ 2009 წელს უმთავრდება და ამრიგად, „ბარსელონას“ მის სანაცვლოდ ერთი ცენტის გადახდაც კი არ მოუწევს, რაც იმას ნიშნავს, რომ კატალონიელებს შეუძლიათ, ფილიპს ძალიან მაღალი ხელფასი შესთავაზონ. ჩვენი ესპანელი კოლეგები ამტკიცებენ, რომ ასეც მოხდა და მხარეებმა კონსენსუსს მიაღწიეს – ოთხწლიან კონტრაქტზე შეთანხმდნენო.

„ბაიერნის“ ოფიციალური პოზიცია ჯერ-ჯერობით უცნობია. ფაქტი ის გახლავთ, რომ რეკორდმაისტერის ვიცეპრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** ყოველთვის ამბობდა, ფილიპის გაშვებას არ ვაპირებთ, სანამ კონტრაქტი დაუმთავრდება, ახალი ხელშეკრულება უნდა გავუფორმოთო. თუმცა ისიც ფაქტია, რომ "ბარსელონა" ლამს გაცილებით მაღალ ხელფასს შესთავაზებს (ან შესთავაზებდა).

გახდება ლამი ეტოოს თანაგუნდელი?

ამასობაში, „ბაიერნის“ კიდევ ერთმა მცველმა, ფრანგმა **ვალერიან ისმაელმა** ოფიციალურად დაადასტურა, რომ მიუნხენური გრანდის დატოვება უნდა. მან „კიკერთან“ ინტერვიუში განაცხადა, ზამთარში ალბათ „ბაიერნიდან“ წავალო. ისმაელის სიტყვები FCB-ს გენერალურმა მენეჯერმა **ული ჰაინესმაც** დაადასტურა. მან თქვა, რომ ისმაელს მართლაც უნდა გუნდის გამოცვლა და რომ ამის შესახებ გუნდში ყველა ხელმძღვანელი ინფორმირებულია. *„ჩვენ მას* არ *დავაკავებთ,“* – დაამატა ჰაინესმა. როგორც ირკვევა, ისმაელს წასვლა იმ ფაქტმა გადააწყვეტინა, რომ ბავარიელები ახალი მცველის (**ბრენო**) შეძენას აპირებენ (ამას წინათ ვწერდით)...

სავარაუდო ტრანსფერი

დორტმუნდმა პანტელიჩს დაუმიზნა

მარკო პანტელიჩი

დორტმუნდის „ბორუსიის“ ხელმძღვანელები ბერლინის „ჰერტას“ თავდამსხმელ **მარკო პანტელიჩს** გადაბირებაზე ფიქრობენ და როგორც „ბილდი“ იტყობინება, 29 წლის სერბ თავდამსხმელთან კონტაქტი უკვე დაამყარეს. გასულ პარასკევს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ლონდონის „ჩელსის“ პანტელიჩი ისევ აინტერესებს (არისტოკრატებს მისი შეძენა ზაფხულშიც სურდათ, მაგრამ მერე გადაიფიქრეს), პრესაში დაიწერა, რომ „ჩელსი“ მზადაა, „ჰერტას“ 3.5 მილიონი გადუხადოს. ახლა კი ირკვევა, რომ მარკოს გადაბირება BVB-საც უნდა. „ბორუსიის“ ხელმძღვანელები ზაფხულში ნაყიდი ფორვარდებით (**ნელსონ ვალდესი, დიეგო კლიმოვიჩი**) უკმაყოფილები არიან და რაკი **ალექსანდერ ფრაი** ტრავმირებულია, უნდათ, რომ ზამთარში ახალი ფორვარდი იყიდონ – ფორვარდი, რომელიც გოლებს გაიტანს. ხოლო, პანტელიჩს ეს საქმე კარგად რომ ეხერხება, იმით დაამტკიცა, რომ ბუნდესლიგაში ჩატარებულ 72 მატჩში 31 გოლი აქვს (მიმდინარე სეზონში 6).

MLS. ამერიკის საფეხბურთო ლიგა

ჩემპიონებს ყიდიან

დინამო, ოთხგზის თუ ორგზის ტრიუმფატორი?

ჰიუსტონის "დინამო" ზედიზედ მეორედ დაეუფლა MLS-ის თასს. კვირას მან "ნიუ ინგლენდ რევოლუშენს" 2:1 მოუგო. გასახდელში ენით აუწერელი სიხარული სუფევდა. მთავარი მწვრთნელი **დომინიკ კინეარი** შამპანურში აბანავეს. საყოველთაო ზეიმისას არსად ჩანდა ფინალური მატჩის უძვირფასესი მოთამაშე **დუეინ დე როსარიო**. ის არც გუნდის დაჯილდოებისას გამოჩენილა და არც ცერემონიალის მიწურულს, როცა ჩემპიონებს თასთან ერთად სურათი გადაუღეს. დე როსარიო საფინალო სასტვენისთანავე თვალს მიეფარა. მან შხაპს შეუშვირა თავი და 40 წუთი ფიქრებში გაატარა. დე როსარიო პრესკონფერენციაზე გამოაცხადა და "დინამოს" MLS-ის ისტორიაში უდიადესი გუნდი უწოდა. ფეხბურთელის შეფასება საფუძველს მოკლებული სულაც არ არის.

ჰიუსტონურ კოლექტივს საინტერესო წარსული აქვს. თავდაპირველად ის სან ხოსეში ბინადრობდა და "ერსქვიქის" სახელით ასპარეზობდა. 2001 და 2003 წლებში გუნდი ორჯერ დაეუფლა ჩემპიონის თასს. 2006 წელს ფეხბურთელები ჰიუსტონში გადაბარგდნენ და "დინამო" დაირქვეს. 2006 და 2007 წლებში "დინამომ" კიდევ ორჯერ მოიპოვა ოქროს მედლები. ოთხი ტიტული შვიდ წელინადში თუ ორი ტიტული ორ წელინადში? ჯილდოების დათვლისას მიმომხილველთა აზრები იყოფა. ზოგი მათგანი "დინამოს" ისტორიის ათვლას 2006 წლიდან იწყებს. სხვათა შორის, სან ხოსეს "ერსქვიქი" სრულიად სხვა შემადგენლობით ეს-ესაა აღდგა. მომავალი წლიდან ის MLS-ში იასპარეზებს.

ამერიკის ჩემპიონებსა და "ლოს ანჯელეს გალაქსის" ერთი კომპანია მფარველობს - "ამერიკან ერთერთეინმენტ გრუპი" (AEG). ის "გალაქსის" გაცილებით დიდ ყურადღებას აქცევს. მომავალი სეზონიდან ერთ კომპანიას ორი კლუბის შენახვა აეკრძალება. "დინამოს" გაყიდვას უწინასწარმეტყველებენ. დაინტერესებულთა ვინაობა უცნობია. ექსპერტებს ჰიუსტონურ კლუბში ფულის დაბანდებას მომგებიან პერსპექტივად მიაჩნიათ.

ატალანტა vs მილანი გადათამაშდება

"ატალანტა"-"მილანის" მატჩი ცარიელ სტადიონზე გადათამაშდება. ეს შეხვედრა გასულ უქმეებზე ტრიბუნაზე მომხდარი არეულობის გამო მეშვიდე წუთზე შეწყდა. გულშემატკივართა ერთმა ჯგუფმა მინდორზე შელნევა სცადა. მათ შუაში გამყოფი ბარიერის დამსხვრევა სცადეს. მასპინძელმა ფეხბურთელებმა ფანების დაშოშმინება მოახერხეს. თუმცა ტიფოზებმა კატეგორიულად მოითხოვეს თამაშის გადადება და მიალწიეს კიდეც მიზანს. იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა, ბერგამოს სტადიონის ჩრდილოეთი ტრიბუნა 31 მარტამდე დახუროს. ვნებათაღელვა არეცოში ლაციოელი გულშემატკივრის მკვლელობას გამოიწვია. მკითხველს მოეხსენება, რომ პოლიციელმა რომაელი ტიფოზი შემთხვევითი გასროლით გამოასალმა სიცოცხლეს. იტალიას ძალადობის მორიგმა ტალღამ გადაუარა. ქვედა დივიზიონებში ჩემპიონატი დროებით შეწყდა. ფეხბურთის ფედერაციამ სერია A-ში არდადეგების გამოცხადებისაგან თავი შეიკავა. "ატალანტა"-"მილანის" გადათამაშების თარიღი უცნობია. სამაგიეროდ, გადაწყდა, რომ იმავე მკვლელობის გამო გადადებული "ინტერი"-"ლაციოსა" და "რომა"-"კალიარის" მატჩები 5 დეკემბერს გაიმართება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივერპულური ტრანსფერები

„ლივერპული“ **კლაას იან ჰუნტელაარით** დაინტერესდა. ამ ფეხბურთელზე კიდევ ოთხი ინგლისური კლუბი აცხადებს პრეტენზიას: „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ჩელსი“, „არსენალი“ და „მანჩესტერ სიტი“. ამსტერდამული კლუბი 24 წლის ფეხბურთელს 22 მილიონ ევროდ აფასებს. ჰუნტელაარით ასეთი დაინტერესება გარანტირებულად მაღალ სატრანსფერო შემოსავალს ნიშნავს. ესპანური სააგენტოების ცნობით, მერსისაიდელებს ბილბაოელი ნახევარმცველი **ხავი მარტინესიც** სურთ. ის ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელია. მარტინესი მომო სისოკოს შემცელელად განიხილება. ეს ფეხბურთელი ლივერპულს შეიძლება იანვრის ტრანსფერებისას გამოეთხოვოს. ხავის ბასკური კონტრაქტი 2012 წელს ეწურება. ჰუნტელაარის მსგავსად, მასშიც 22 მილიონ ევროს ითხოვენ. „ლივერპულთან“ დაკავშირებით იმასაც გეტყვით, **სკოტ კარსონითა** და **პიტერ კრაუჩით** „ასტონ ვილა“ დაინტერესდა. ბირმინგემელებმა მოლაპარაკებების დაწყების სურვილი გამოთქვეს. „ინდეპენდენტის“ ცნობით, „ვილა“ 20 მილიონ გირვანქას ამზადებს. ამ თანხად მას კრაუჩის შეძენა და კარსონთან საიჯარო კონტრაქტის გაგრძელების იმედი აქვს (მეკარე „ვილაშია“ მივლინებული). კრაუჩი „მანჩესტერ სიტისაც“ სურს.

რეინჯერსიდან მანჩესტერში?

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ „რეინჯერსის“ მარჯვენა მცველის **ალან ჰატონის** შეძენა გადაწყვიტა. ამ ინფორმაცია „ნიუს ოფ ზე უორლდი“ ავრცელებს. პოპულარული ტაბლოიდის მტკიცებით, „ეშმაკები“ ჰატონს **გარი ნევილის** შემცვლელად განიხილავენ. ვეტერანი მცველი დაშავებულია. ტრავმის გამო მიმდინარე სეზონში მას თითქმის არ უთამაშია. მომავალი წლის თებერვალში ნევილს 33 წელი შეუსრულდება. ჰატონი მასზე 11 წლით ახალგაზრდაა. ალანი შოტლანდიის ნაკრების წევრია. გასულ უქმეებზე მან იტალიელთა წინააღმდეგ ითამაშა. ჰატონმა „ლივერპულის“, „არსენალისა“ და „ტოტენჰემის“ ყურადღებაც მიიპყრო. გასული სეზონის მიწურულს მან „რეინჯერსთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. გლაზგოელები ყმაწვილს 12 მილიონ ევროდ აფასებენ.

რეალმა ამერიკისკენ გაიხედა

„რეალი“ ნიუ იორკის „რედ ბულის“ თავდამსხმელ **იოზი ალტიდორით** დაინტერესდა. ეს ინფორმაცია გაზეთ „ასში“ ამოვიკითხეთ. ამ გამოცემის მტკიცებით, მადრიდელი ემისარი **კარლოს გრიფონი** ამერიკაში გაემგზავრა. მას მოლაპარაკებების დაწყება დაევალა. ალტიდორი 18 წლისაა. შორეულ პერსპექტივაში მან შეიძლება **რუუდ ვან ნისტელროი** შეცვალოს. „ასის“ ცნობით, ალტიდორს წელინადში 85 ათას დოლარს უხდიან. „რედ ბულს“ ყმაწვილის გაყიდვა არ სურს. „რეალის“ სატრანსფერო ამბიციები ამით არ ამოიწურება. ის ლისაბონის „სპორტინგისა“ და პორტუგალიის ნაკრების საყრდენი ნახევარმცველით **მიგელ ველოსათი** დაინტერესდა. ველოსა „მანჩესტერ იუნაიტედს“, „არსენალსა“ და „იუვენტუსსაც“ სურთ.

ვილია ტოტენჰემში ბერბატოვის ნაცვლად?

„ტოტენჰემის“ თავკაცი **ხუანდე რამოსი** ვალენსიელ თავდამსხმელ **დავიდ ვილიას** ეპატიჟება. ინგლისური სააგენტოების ცნობით, რამოსი მზადაა, 30 მილიონი გირვანქა გადაიხადოს. ტრანსფერის შემთხვევაში, ვილია **დიმიტარ ბერბატოვის** ადგილს დაიჭერს. ბულგარელ ფორვარდს ვერ გადაუწყვეტია, დარჩეს თუ არა „უაით ჰართ ლეინზე“. იანვრის ტრანსფერებისას მის აბარგებას წინასწარმეტყველებენ. დავიდ ვილიას აგენტი ხოსე **ლუის ტამარგო** ამბობს, რომ მის კლიენტს სარფიანი წინადადებები არ აკლია. ის „ტოტენჰემის“ ვარიანტს საინტერესოდ მიიჩნევს. თუ ლონდონელები თანამშრომლობას შემოგვთავაზებენ, მათ წინადადებას აუცილებლად განვიხილავთო.

სოლარი ინტერის შეთავაზებას ელოდება

„ინტერს“ **სანტიაგო სოლარისათვის** ახალი კონტრაქტი ჯერ არ შეუთავაზებია. სეზონის ბოლოს არგენტინელი ნახევარმცველი თავისუფალი აგენტი ხდება, იანვრიდან კი დაინტერესებულ კლუბებთან მოლაპარაკების დაწყება წეიძლება. უცნობია, რომელ კლუბს სურს სოლარისთან თანამშრომლობა. ფეხბურთელი სხვა ვარიანტების განხილვას არ ჩქარობს. მას „ინტერთან“ ერთად სკუდეტოსა და ჩემპიონთა თასის მოგება უნდა. გულის სიღრმეში კი მილანელებთან თანამშრომლობის გაგრძელების იმედსაც არ კარგავს.

მერკის 50-ე და უკანასკნელი

გერმანელ არბიტრ **მარკუს მერკს** მსაჯებზე დანესებული ასაკობრივი შეზღუდვა დისკრიმინაციად მიაჩნია. მერკი 45 წლისაა. მომავალი წლიდან მას უმაღლესი დონის მატჩების გაძღოლა აღარ შეეძლება. შაბათს ჰერ მარკუსი ნორვეგიისა და თურქეთის ნაკრებების შესარჩევ მატჩს გაუძღვა. ეს მისი 50-ე საერთაშორისო შეხვედრა გახლდათ და სავარაუდოდ, უკანასკნელიც. ფიფამ მერკი ორჯერ დაასახელა წლის საუკეთესო არბიტრად. „კიკერისათვის“ მიცემულ ინტერვიუში ის აღნიშნავს, რომ ფიზიკურად თავს შესანიშნავად გრძნობს, რომ უპრობლემოდ შეუძლია ნებისმიერი სირთულის ტესტის ჩაბარება, მაგრამ ასაკის გამო, საკუთარი ნების საწინააღდეგოდ, პენსიაში გასვლა უწევს. ფიფას ნარმომადგენელმა განაცხადა, რომ მსაჯებზე ასაკობრივი ლიმიტის გაუქმება დღის წესრიგში არ დგას.

გაზპრომი პარტიზანსაც დაეფინანსება?

ბელგრადის „პარტიზანს“ ფინანსური პრობლემები დაუგროვდა. დირექტორებს იმედი აქვთ, რომ პრობლემებს ხელის ერთი მოსმით მოაგვარებენ. სერბული პრესის ცნობით, „პარტიზანის“ სპონსორობით გაზის რუსული გიგანტი „გაზპრომი“ დაინტერესდა. „გაზპრომს“ ფეხბურთთან ბევრი რამ აკავშირებს. ის პეტერბურგის „ზენიტის“ მესაკუთრე კომპანიაა და ამავე დროს, ბუნდესლიგის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბ „შალკეს“ აფინანსებს. შალკესა და გაზპრომის სპონსორული კონტრაქტი ფინანსური პირობებით მხოლოდ „ბაიერნისა“ და „დოიჩე ტელეკომის“ შეთანხმებას გამოუვარდება. რუსულ კომპანიას „პარტიზანთან“ დაკავშირებით ოფიციალური კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაპირისპირება

ადრიანო ინტერს ბრაზილიიდან აკრიტიკებს

ფეხბურთელს სამშობლოში დარჩენა უნდა, სანტოსმა საიჯარო კონტრაქტი აცხადა

ადრიანო ინტერში შეიძლება აღარ დაბრუნდეს

ადრიანო თანახმაა, უარი თქვას ხელფასზე, სანამ მინდორს არ დაუბრუნდება. „ინტერის“ თავდამსხმელი მომდევნო ორ თვეს სამშობლოში, სარეაბილიტაციო კლინიკაში გაატარებს. მას ფსიქოლოგების დახმარება სჭირდება. თავდამსხმელის აგენტი **ჟილმარ რინალდი** ამბობს, რომ სოლიდურ გასამრჯელოზე უარის თქმა ფეხბურთელის ინიციატივა იყო. ამით მან დაამტკიცა, რომ „ინტერსა“ და მის ინტერესებს ყველაფერზე მაღლა აყენებს.

იტალიელ მიმომხილველებს რინალდის გულწრფელობაში ეჭვი ეპარებათ. მათ ხელთ აქვთ ადრიანოს კომენტარები, რომელიც ფეხბურთელმა ბრაზილიაში ჩასვლისას გააკეთა. ბევრმა ფორვარდის სამშობლოში გამგზავრება „ინტერთან“ შერიგებისაკენ გადადგმულ ნაბიჯად ჩათვალა. სინამდვილეში, ვითარება კარდინალურად განსხვავებულია. „ბრაზილიაში დაბრუნება მინდა,“ - ეს გახლდათ ადრიანოს პირველი განცხადება სან პაულუს აეროპორტში. „ინტერში“ *ჩემი მდგომარეობა საკალაია. მეტსაც გეტყვით, აქ იმ პირობით გამომიშვეს, რომ თქვენთვის არაფერი მეთქვა. ლაპარაკსაც კი მიკრძალავენ. რაკი მათ მოთხოვნას არ ვასრულებ, დარნმუნებული ვარ, მკაცრად დამსჯიან. ამაზე უარესი მდგომარეობის წარმოდგენა შეუძლებელია.“*

ადრიანოსა და „ინტერის“ დაპირისპირება ძველი ამბავია. საქმეში ჩახედული ადამიანები მის კომენტარებში გასაკვირს მოულოდნელს ნახავდნენ. მოულოდნელი იყო ერთი წინადადება. ადრიანომ თქვა, ბრაზილიაში დარჩენა მინდაო. ნუთუ ფეხბურთელი სამშობლოში აპირებს კარიერის გაგრძელებას? მას ევროპული კლუბებისაგან სარფიანი შეთავაზებები აქვს. „ვესტ ჰემი“ მზადაა, იანფრის ფანჯრის გახსნისთანავე მას კონტრაქტი გაფორმოს. ადრიანოს განცხადებას „სანტოსი“ წარმომადგენელი გამოეხმაურა. მან თქვა, რომ კლუბი ფეხბურთელის ტრანსფერზე იფიქრებს. „სანტოსს“ ადრიანოსთან საიჯარო ხელშეკრულების გაფორმება უნდა.



რონალდინიო, ყველაზე მდიდარი ბექჰემის შემდეგ?

ჩელსი

რონალდინიო ზაფხულში

მაკელელე ფიქრობს, იანვარში ალპეშისა და მოდრიჩის შეძენა იგეგმება

„ლიგა სპორტის“ ცნობით, „ჩელსი“ **რონალდინიოს** მსოფლიოს უმდიდრეს ფეხბურთელად აქცევს. ესპანური ტაბლოიდი იუწყება, რომ „არისტოკრატები“ ბრაზილიელს კვირაში 295 ათას ევროს გადაუხდიან (გამოცემაში რატომღაც ნახსენები არ არის **დევიდ ბექჰემის** ხელფასი, რომელიც რონალოდინოსათვის გამზადებულ თანხას აღემატება). თავდაპირველად ლონდონელები ფეხბურთელის შეძენას იანვრის ბაზარზე აპირებდნენ. მათ ეს სიამოვნება 60 მილიონი ევრო დაუჯდებოდათ. მაგრამ ახლა „ჩელსის“ ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ზაფხულამდე მოითმინოს. სეზონის ბოლოს რონალდინიოს ფასი 45 მილიონამდე შემცირდება.

სეზონის ბოლოს **კლოდ მაკელელემ**, შესაძლოა, ლონდონი დატოვოს. ამ ინფორმაციას ინგლისური სააგენტოები გვანვდიან. 34 წლის ფრანგი ნახევარმცველი ბოლო ორ სეზონში ძალიან ცუდ ფორმაში იმყოფებოდა. ამიტომ ლონდონელებს ეფიქრებოდათ, ალბათ, ჯობია, ეს ფული ახალგაზრდა ფეხბურთელებზე დახარჯონ. ამ ინფორმაციას ინგლისური სააგენტოები ადასტურებენ. ინფორმაციის მიხედვით, ჩელსი ამ ზაფხულს ბაზარზე ეძებს ახალ ფეხბურთელებს, ოღონდ ეს ფულიანი ბიზნესმენი ფულს ვერ ან არ ინანებს. ამ ინფორმაციას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ჩელსი ბოლო ორ ზაფხულში ბაზარზე ფულს ყრიდა. ამ ფულის ნაწილი ბოლოს ბრაზილიელ ფეხბურთელ **ალექსზე** ანაზღაურდა. ეს ბიჭი ბოლო ორ სეზონში ბაზელში ითამაშებს. ალექსი ბაზელს ერთ სეზონზე ნასესხებ ფეხბურთელად ითვლიდა. ბაზელი ალექსს ბოლო ორ სეზონში

ინტერვიუ ჰასან სალიჰამიჯიჩთან

გერმანიაში ფეხბურთით ერთობიან, იტალიაში ფეხბურთით ცხოვრობენ!

როცა ნეაპოლში იუვენტუსის ავტობუსს მოხუცებმაც კვერცხები დაუშინეს, ბრაცო მაშინ მიხვდა, რომ იტალიელებს ფეხბურთი სხვანაირად, ნამეტნავად უყვართ...

„ბაიერნში“ ცხრაწლიანი მოღვაწეობის შემდეგ, ბოსნიელმა ნახევარმცველმა ჰასან სალიჰამიჯიჩმა გასულ ზაფხულს ტურინის „იუვენტუსს“ მიაშურა და როგორც თვითონ ამბობს, იტალიაში ახალი, მისთვის ძალიან საინტერესო სამყარო აღმოაჩინა. 30 წლის „ბრაცო“ ყოველთვის ამბობდა, რომ ფეხბურთის თამაშის იტალიურ სტილთან შეგუება არ გაუჭირდებოდა, რადგან ისიც უაღრესად მებრძოლი და ამავე დროს, პროვოკატორი ფეხბურთელია – ასეთებს კი, იტალიაში ძალიან აფასებენ. გერმანულ „კიკერს“ სალიჰამიჯიჩი თავის იტალიურ შთაბეჭდილებებზე ესაუბრება.

- „ბრაცო“, სერია A-მ ტრაგიკული დღეები გადაიტანა და საინტერესოა, როგორ იმოქმედა თქვენზე ამ ქაოსმა?

- ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთი რამ მოხდა. მართალია, იტალიის ჩემპიონატში ყოველთვის იყო სკანდალები და ქაოსი, მაგრამ ეს მართლაც მეტისმეტი გახლდათ. სიმართლე გითხრათ, არც კი ვიცი, რა უნდა ვთქვა და როგორ უნდა შევაფასო მომხდარი. გერმანიიდან მეგობრები მირეკავდნენ და მეკითხებოდნენ, რა ხდებაო. მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ამ ყველაფრის შემდეგ, იტალიაში ყველა იმედგაცრუებული და სასოწარკვეთილია, ყველა უიმედოდ და პესიმისტურადაა განწყობილი.

- იმ ფატალურ დღეს თქვენ პარმაში თამაშობდით...

- სტადიონზე ისეთი არაფერი მომხდარა. უბრალოდ, ყველამ ვიცოდით, რომ რაღაც ძალიან ცუდი მოხდა. ყველაფერი თამაშის შემდეგ გავიგეთ, როცა ტელევიზორი ჩავრთეთ და ის საშინელი კადრები ვნახეთ.

- არაერთმა ფეხბურთელმა განაცხადა, ამიერიდან ჩვენს შვილებს სტადიონზე აღარ მივიყვანთო. თქვენ რას აპირებთ?

- ჩვენთან, ტურინში ყველაფერი შესანიშნავადაა. ჩვენს სტადიონზე გულშემატკივრების უსაფრთხოება 100 პროცენტით დაცულია, რადგან ტურინის „ოლიმპიკოს“ მოდერნიზება და რესტავრაცია ახლახან ჩაუტარდა. აი, სხვა სტადიონებზე კი უსაფრთხოება მართლაც არ არის დაცული. ცხადია, „სან სიროს“ ან რომის „ოლიმპიკოს“ არ ვგულისხმობ. დარწმუნებული ვარ, რომ გერმანიაში ასეთი რამ არასდროს მოხდებოდა, მაგრამ ეს კი იტალიაა, სადაც ყველაფერი ხდება. გერმანიაში გენიალური სტადიონებია, სადაც ხალხი ოჯახებით დადის და იციან, რომ მათ სიცოცხლეს საფრთხე არ დაემუქრება. თანაც, გერმანიაში ფანებს აბსოლუტურად სხვანაირი კულტურა აქვთ.

- იტალიაში, სტადიონზე ოჯახებით იშვიათად დადიან...

- ...და ეს ძალიან სამწუხარო ფაქტია, რადგან იტალიელები შესანიშნავი ხალხია და გულშემატკივრებსაც სულ სხვანაირად უყვართ ფეხბურთი. მე ვიტყოდი, რომ იტალიაში ფეხბურთი უფრო მეტად უყვართ, რადგან ეს რაღაც სხვაა. ტიფოზები კალჩოთი, თავიანთი საყვარელი კლუბებისთვის ცხოვრობენ და სხვა არაფერი აინტერესებთ. მათ უაღრესად ძლიერი ემოციები აქვთ – სწორედ ეს არის ის, რაც მე იტალიელებში ძალიან მომეწონა და რის გამოც ეს ერი მიყვარს, რადგან თვითონაც ასეთი ვარ. ერთი რამ დავინახე: გერმანიაში ფეხბურთით ერთობიან, იტალიაში ფეხბურთით ცხოვრობენ! მაგრამ არსებობს გარკვეული ჯგუფები, რომლებიც ყველაფერს აფუჭებენ და ამით ნამდვილ ქომაგებს სტადიონისკენ მისასვლელ გზებს უკეტავენ. ამ ხულიგნების დანახვაც კი არ მინდა, მათი დანახვა არავის არ უნდა – არც იტალიაში, არც გერმანიაში და არსად.

- როგორც ჩანს, მიუხედავად ყველაფრისა, თავს ძალიან კარგად გრძნობთ...

- რა თქმა უნდა! ცხადია, თავიდან ცოტათი გამიჭირდა – ახალი ცხოვრება, ახალი ენა, ახალი მეზობლები, ახალი მენტალიტეტი, ახალი გუნდი, მაგრამ უამრავ სიახლეს ძალიან იოლად ავუღე ალღო. საერთოდ, ამდენ სიახლესთან შეგუებასაც თავისი ხიბლი აქვს. მიუხხენში 9 შესანიშნავი წელი გავატარე და ეს ქალაქი ძალიან მიყვარს, მაგრამ მე და ჩემი ოჯახი აქ თავს ძალიან კარგად ვგრძნობთ.

- სახლი ტურინის ცენტრში გაქვთ?

- ცენტრიდან 15 წუთის სავალზეა. ახლოსაა საერთაშორისო სკოლაც, სადაც ჩემი შვილები დადიან. ექვსი წლის ქალიშვილი და 4 წლის ვაჟი იქ ინგლისურ და იტალიურ ენებს სწავლობენ. მესამე კი, როგორც იცით, ჯერ ძალიან პატარაა (წელნახევრის) და მისთვის სწავლა ჯერ ძალიან ადრეა. დაუჯერებელია, მაგრამ ჩემი ბიჭი უკვე იტალიური აქცენტით საუბრობს.

- ბავშვები უკვე „იუვენტუსის“ გულშემატკივრები არიან?

- რა თქმა უნდა! მათი ახალი მეგობრები, როგორც „იუვენტუსის“ ფეხბურთელის შვილებს, სპეციალურ სიმღერებსაც კი უმღერიან ხოლმე, „იუვეს“ ჰიმნიც ისწავლეს და ა.შ.

- თუ არსებობს ისეთი რამ, რის გამოც გერმანია გენატრებათ?

- მენატრება ის თამაშები, რასაც „ბაიერნის“ ფეხბურთელები ავტობუსში თამაშობენ, მაგრამ არა უშავს, ახალ თანაგუნდელებს ნელ-ნელა ყველაფერს შევასწავლი. თუმცა აქ სხვა სიახლეებია...

- მაგალითად?

- უპირველესყოვლისა იტალურ ამინდს და სამზარეულოს გამოვყოფ. იტალიელები როგორღაც ძალიან მსუბუქები, მეგობრულები და ბავშვების მოყვარულები არიან. იტალიელებისთვის ოჯახი უპირველესია და სწორედ ეს მხიბლავს ყველაზე მეტად. ეს არის ქვეყანა, სადაც ნებისმიერი ნორმალური ადამიანი ძალიან მალე თავს შესანიშნავად იგრძნობს.

- იტალიურს იოლად ეუფლებით?

- ენის სწავლა გერმანიაში დავიწყე და დღემდე ვაგრძელებ – საკმაოდ მარტივი ენაა და იოლად ვეუფლები. თავისუფლად ვლაპარაკობ ხოლმე. მართალია, ძალიან ბევრ შეცდომას ვუშვებ, მაგრამ ეს არ მაღელვებს - თუ შეცდომა არ დაუშვი, ისე ხომ ვერაფერს გამოასწორებ და ვერც ენას ისწავლი. აი, სხვისი საუბრის გაგება კი საკმაოდ მიჭირს, რადგან იტალიელები ყოველგვარი წერტილებისა და მძიმეების გარეშე საუბრობენ (იცინის).

- რომელი საფეხბურთო ტერმინები ისწავლეთ პირველად?

- სიტყვები, რომლებიც ფეხბურთის თამაშის დროს ყველაზე საჭიროა: წინ, უკან, sinistra, destra, ანუ, მარცხნივ, მარჯვნივ, uomo, ბოლო კაცი, et cetera... გარდა ამისა, ცუდი სიტყვებიც ვისწავლე, მაგრამ ცუდ სიტყვებს ნებისმიერ ენაში პირველად სწავლობენ ხოლმე (იცინის).

- ახალი თანაგუნდელები როგორ მოგმართავენ?

- „ბრაცოს“ მეძახიან? როცა ტურინში ჩამოვედი, ყველას ვუთხარი, „ბრაცო“ დამიძახეთ-მეთქი და მას მერე ასე მომმართავენ. ეს მეტსახელი ძალიან მიყვარს.

- „იუვე“ დიდი ფეხბურთელების გუნდია და საინტერესოა, როგორ მიგიღეს ტრეზეგემ, დელ პიერომ, ნედვედმა და ბუფონმა?

- პრობლემა არ ყოფილა, ყველაფერი ძალიან მარტივად და თბილად მოხდა. შეკრების პირველ დღეს ყველანი დავსხედით და ცოტა დავლიეთ, ახალმა ფეხბურთელებმა სწორედ იმ საღამოს გავიცანით ყველანი. ახლა კი ძალიან მინდა, რომ ერთი გრანდიოზული წვეულება გავაკეთო, სადაც მთელ გუნდს დავპატიჟებ და სადაც „იუვენტუსში“ ჩემს სრულფასოვან გაწევრიანებას აღვნიშნავთ.

- „იუვენტუსი“ იტალიაში ყველაზე საყვარელი და ამავე დროს, ყველაზე საძულველი გუნდია, რადგან „ბებერი ქალბატონს“ იტალიის ჩემპიონობა ყველაზე მეტჯერ აქვს მოგებული და რეკორდსმენია – ზუსტად ისე, როგორც „ბაიერნი“ გერმანიაში. ამ მხრივ თქვენთვის არაფერი შეცვლილა...

- დიახ, ამ მხრივ ეს გუნდები მართლად იდენტურები არიან. განსხვავება მხოლოდ შემდეგშია: როცა „ბაიერნის“ ფეხბურთელის რანგში ვმოგზაურობდი, სადაც ჩავიდოდით, ყველგან შიშით ძრწოდნენ, ოჰ, თვით „ბაიერნი“ ჩამოვიდაო. „იუვენტუსს“ კი ძალიან მტრულად ხვდებიან – ქუჩაში გამოეფინებიან ხოლმე და ავტობუსს სულ შუა თითებს უჩვენებენ, იგინებიან, ყვირიან, რაღაცეებს გვესვრიან (იცინის). თანაც, ამას მხოლოდ 20-21 წლის ბიჭები კი არ აკეთებენ, გაგიკვირდებათ, და ქუჩებში ბებიები და ბაბუები დგანან და გვაგინებენ ხოლმე. მოკლედ, გადასარევი ამბავია. სწორედ ასე იყო ნეაპოლში, სადაც ჩვენს ავტობუსს მოხუცებიც ბოთლებს და კვერცხებს ესროდნენ. რას ვიზამთ, ეს იტალიაა – აქ ან ძალიან უყვართ, ანაც ძალიან სძულთ.

- სხვა განსხვავებები თუ დაინახეთ?

- სხვამხრივ დიდი განსხვავება არაა. ერთი ის არის, რომ გერმანიაში ვარჯიშები უფრო მძიმეა, იტალიაში კი, ტაქტიკური მომზადებაა მთავარი.

- კლაუდიო რანიერი ოტმარ ჰიტცფელდისგან რით განსხვავდება?

- ყველა მწვრთნელს თავისი სტილი აქვს. ორივე მათგანი დიდი მწვრთნელი და უდიდესი მოტივატორია. რანიერი ესპანეთსა და ინგლისშიც მუშაობდა, ძალიან გამოცდილი და ძლიერი სპეციალისტია. მან სამი ენა იცის.

- ბუნდესლიგას თუ ადევნებთ თვალს?

- რა თქმა უნდა, ტურს არ ვტოვებ! ამასთან, ჩემს გერმანელ მეგობრებს მუდმივად ვეკონტაქტები – იქნება ეს იენს იერემისი, ფსიქოთერაპევტი თუ ული ჰიონესი.

- ბუნდესლიგასა და სერია A-ს შორის რა განსხვავება დაინახეთ?

- ბუნდესლიგაში ყველაზე სუსტი გუნდიც კი თამაშში აგყვება და შემოგოტევს, არ შეგეპუება. აი, იტალიაში კი, გოლის გატანა აუტსაიდერის კარშიც ძალიან ძნელია, რადგან აქ კლუბები ჩახლართული ტაქტიკით თამაშობენ და თუ მეტოქე ხვდება, რომ შენზე სუსტია, ფეხბურთს აღარ გათამაშებს და არც თვითონ თამაშობს, რადგან მხოლოდ ამაში ხედავს იმის შანსს, რომ გაუმართლოს. „იუვენტუსისთვის“ საკუთარ მოედანზე „ემპოლის“ დამარცხება უფრო ძნელია, ვიდრე „ბაიერნისთვის“ „კოტბუსისა“.

- და როგორია იტალიური მედია?

- ამ მხრივ ძალიან დიდი, უზარმაზარი განსხვავებაა! იტალიაში სამი ყოველდღიური სპორტული გაზეთია და სამივეში უმეტესად ფეხბურთზე ინერება. ცხადია, რედაქტორებმა გვერდები როგორღაც უნდა შეავსონ. შესაბამისად, გაზეთებს თუ ენდობით, „იუვენტუსი“ ყოველდღე სამ ფეხბურთელს ყიდულობს და ოთხს ყიდის. მაგრამ არავინ მიიჩნევს, რომ ეს ცუდია, რადგან ყველამ იცის, რომ ეს სპეკულაციებია და ამის გამო პრობლემა არავის ექმნება. მოსწონთ ჭორები - იციან, რომ ტყუილია, მაგრამ მაინც უნდათ!

- თუ არის ისეთი რამ, რაც ძალიან არ მოგწონთ?

- არის: გერმანიაში ღია ვარჯიშებია ხოლმე, აქ კი, ვარჯიში ყოველთვის დახურულია, ფანებს არ შვებენ, ემანდ მოწინააღმდეგე გუნდის ჯაშუშიც არ ერიოსო. რას ვიზამთ, ასეთია იტალიური ფილოსოფია.

- იტალიურ მენტალიტეტში ისიც თვალშისაცემია, რომ ადამიანები ერთმანეთს ყველაფერს პირში ეუბნებიან...

- დიახ, ასეა და მე ეს ძალიან მომწონს. მნიშვნელობა არა აქვს, სად ვარ, გასახდელში, მოედანზე, ქუჩაში თუ რესტორანში – როცა რაღაც არ მოსწონთ, პირდაპირ მეუბნებიან. მაგრამ თუ მოსწონთ, ქებით ცაში აგიყვანენ. ეს გულახდილობაა, რაც ყველა ადამიანს უხდება და სჭირდება.

- 12 ტურში 7-ჯერ ძირითად შემადგენლობაში იყავით. თქვენი თამაშით კმაყოფილი ხართ?

- აბსოლუტურად! გუნდში საკუთარი ადგილი ძალიან მაღე ვიპოვე და მიხარია, რომ „იუვენტუსს“ ვეხმარები.

- კრიტიკოსები წერენ, შეტევაში ხეირიანს ვერაფერს ქმნისო...

- რაც უნდათ, ის დაწერონ – მე ვიცი, რაც შემიძლია. ესეც არ იყოს, რანიერი უმეტესად მხოლოდ დაცვითი ფუნქციების შესრულებას მავალებს.

- არ ნაღვლობთ იმის გამო, რომ ევროტურნირებს მხოლოდ ტელევიზორში უყურებთ?

- ვნაღვლობ და მერე როგორ?! 9 წლის განმავლობაში ევროტურნირები არ გამომიტოვებია და "იუვესთან" ერთად აუცილებლად დავბრუნდები ჩემპიონთა ლიგაში. ისევ ჩავალ ლონდონში, მადრიდში, ბარსელონაში... ჩემპიონთა ლიგის მიღმა ყოფნას მხოლოდ ის პლუსი აქვს, რომ დასასვენებლად უფრო მეტი დრო მრჩება. არც ესაა ცუდი.

- გულახდილად გვითხარით, გული არ დაგწყდათ იმის გამო, რომ „ბაიერნის“ ხელმძღვანელებმა რიბერის, ტონისა და კლოზეს დარი ფეხბურთელები მხოლოდ მას მერე იყიდეს, რაც თქვენ ნახვედით?

- კარგით ერთი, ჩემ დროს უფრო გენიალური ფეხბურთელები გვყავდა: ეფენბერგი, ელბერი, შოლი, იერემისი... ახალ გუნდს კი ჯერ არაფერი მოუგია. ამ ბიჭებმა ჯერ ჩემპიონთა ლიგა მოიგონ და მერე შეგვეჯიბრონ (იცინის).

- წარმოიდგინეთ, 2009 ნელი, ჩემპიონთა ლიგის ფინალი: „იუვენტუსი“-„ბაიერნი“...

- ეს ჩემი ოცნებაა!

- ბრაცოს გადამწყვეტი გოლით, არა?

- ეს კი არარეალური ოცნებაა (იცინის).

გოტფრიდ ლენცი

გერმანიიდან იუვენტუსში

მაგნუსონიდან სალიჰამიჯიჩამდე...

ჰასან სალიჰამიჯიჩი მეშვიდე ფეხბურთელია, რომელიც ბუნდესლიგიდან პირდაპირ „იუვენტუსში“ გადავიდა. სამი ფეხბურთელი კი, გერმანიის პირველობიდან ტურინულ კლუბში შემოვლითი გზით აღმოჩნდა: ექს-კიოლნელი სანდი ოლისე ჯერ „აიაქსში“ გადავიდა, საიდანაც ტურინში მოხვდა; ექს-ლევერკუზენელმა ემერსონმა „ბებერ ქალბატონს“ „რომას“ გავლით მიაშურა; გერმანიის ნაკრების ყოფილმა წევრმა ჰელმუტ ჰალერმა კი, „იუვეში“ „ბოლონიის“ გავლით ამოყო თავი. აი, იმ ფეხბურთელთა ჩამონათვალი და ტურინული მონაგარი, რომლებიც ბუნდესლიგიდან პირდაპირ „იუვენტუსში“ გადავიდნენ.

ფეხბურთელი	საიდან	იუვეში	თ	გ
ჰასან სალიჰამიჯიჩი	ბაიერნი	2007 - ?	9	1
რობერტ კოვაჩი	ბაიერნი	2005 – 2007	35	1
ანდრეას მიულერი	აინტრახტი	1992 – 1994	56	19
შტეფან რო�ტერი	ბაიერნი	1991/1992	28	0
იურგენ კოლერი	ბაიერნი	1991-1995	102	8
თომას ჰესლერი	კიოლნი	1990/1991	32	1
როჯერ მაგნუსონი	კიოლნი	1967/1968	0	0

ჰანდბური

ლეგიონი

ცქიტიშვილი დაფრინავს

რეკორდი: სკიტა გაბრაზდა და 25-ჯერ ისროლა

„ტერამო"-"ბიელას" მატჩის მიმოხილვაში საუკეთესო შეფასება, 8.5 ქულა ორ კალათბურთელს ჰქონდა **ნიკა ცქიტიშვილსა** და **კლეი ტაკერს**. აი, რა ეწერა შეფასების გასნვრივ: *„როგორც ჩანს, ნიკოლოზ ცქიტიშვილს საუკეთესო თამაშის საჩვენებლად გაბრაზება სჭირდება. იგი „ბიელასთან" მატჩის ბოლოს აშკარად გაბრაზებული ჩანდა, ბურთის მოხსნასაც არავის უთმობდა და ერთი ტყორცნაც არ აუცილებია. სწორედ ცქიტიშვილმა მოაგებინა „ტერამოს" „ბიელასთან" მეტად პრინციპული მატჩი."*

ეს შესავალი იყო, ახლა უფრო კონკრეტულად. ტერამოელებმა მეტოქე დამატებით დროში 111:101 დაამარცხეს, თუმცა ცქიტოს თანაგუნდელებს გამარჯვება ძირითად დროშიც შეეძლოთ: სკიტამ 37-ე წუთზე ზედზედ 6 ქულა ჩააგდო და ოთხქულიანი ჩამორჩენა ორქულიან ფორად აქცია - 82:80. ერთ წუთში ნიკამ სამქულიანი ზუსტად გაისროლა და 88:87. ბოლო წუთზე ბიელელი ელდერის ორ საჯარიმოს **ჯუზეპე პოიეტმა** ერთი ქულით უპასუხა და საფინალო სირენასთან ერთად ანგარიში გაათანაბრა - 89:89. ჯუზეპეს ერთი საჯარიმოც რომ გამოეყენებინა, მატჩი დამატებით დროში არ გაგრძელდებოდა. ეს შეიძლება ზოგისთვის მიუღებელი ყოფილიყო, მაგრამ არა ქართველი ქომაგისთვის - ოვერტაიმი რომ არა, ცქიტიშვილის გვარი იტალიური პრესის პირველ გვერდებზე არ გამოჩნდებოდა. დამატებით ხუთ წუთში სკიტას შეჩერება ვერც ერთმა ბიელელმა ვერ მოახერხა. თავად განსაჯეთ: ტერამოელთა მიერ ოვერტაიმში ჩაგდებული 22 ქულიდან 14 ქულა ნიკა ცქიტიშვილის ანგარიშზე იყო. ქართველმა მხოლოდ ერთი საჯარიმო გააცუდა.

ვიდრე მატჩისშემდგომ კომენტარებს შემოგთავაზებდეთ, გეტყვით, რომ სკიტამ „ბიელასთან" პირადი რეკორდი დაამყარა - 25 ქულა ჩააგდო. ასეთი მაჩვენებელი მას არც სლოვენიაში („სლოვანში") ჰქონდა, არც იტალიაში (2001-02 წლიბში, „ბენეტონში") და არც NBA-ში. მოკლედ, 25 ქულა (9-დან 5 ორქულიანი, 1-დან 1 სამიანი და 14-დან 12 საჯარიმო) და 6 მოხსნა ცქიტომ სულ რაღაც 27 წუთში ჩააგდო. მარგი ქმედების კოეფიციანტიც შესაბამისი ჰქონდა - 31.

ნიკა ცქიტიშვილი

მკკ-ს იდენტური მაჩვენებელი მოუგროვდა ნიკას თანაგუნდელ ტაკერს, რომელმაც 40 წუთში 35 ქულა ჩააგდო.

მატჩის შემდეგ კომენტარი ხალისით გააკეთა „ტერამოს" მწვრთნელმა მასიმო ბიანკიმ: *„პირველ ტაიმში, დაცვაში ისეთი შეცდომები დავუშვით, როგორსაც ქალთა გუნდებიც აღარ უშვებენ. მეორე ნახევარში თუქერისა და ცქიტიშვილის გამოცოცხლების შედეგად თამაში გამოვასწორეთ და მნიშვნელოვანი გამარჯვება ჩავიქერეთ. სკიტამ კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა, რომ მაღალი კლასის კალათბურთელია. მას გადამწყვეტ მომენტში ხელი არ აჰკანკალებია."*

„ტერამოს" პრეზიდენტმა ქართველ მეფარეზე საუბარს ერთი აბზაცი დაუთმო: *"ცქიტიშვილი სამაგალითო იყო. მეორე ტაიმში იგი მთლიანად შეიცვალა და დაცვაშიც არავის ატარებდა, შეტევაში კი თქვენც ნახეთ, ტყორცნა არ გაუცუდებია. მოკლედ, ასეთი უნდა იყოს ნამდვილი ლიდერი. მჯერა, რომ ყოველ კვირას ასეთ სკიტას ვიხილავთ."*

10 მატჩის შემდეგ „ტერამოს" 6 მოგება აქვს და მესამე-მეხუთე ადგილებს „ბიელასთან" და „ორლანდინოსთან" იყოფს.



მანუჩარ მარკოიშვილი (მარჯვნივ)

სპარტაკი გამოსწორების გზაზეა

ვლადიმერ ბოისას „სპარტაკ-პრიმორიე" რუსეთის ჩემპიონატში თამაშს ნელ ნელა აუმჯობესებს. თუ ვლადივოსტოკელები აქამდე გასვლით მატჩებში სამარცხვინოდ აგებდნენ, ბოლო ტურში „პრიმორიელებს" მოსკოვში „დინამოსთან" გამარჯვების შანსიც ჰქონდათ. თუმცა, ბოლო ქუთებზე მაინც მასპინძლებმა იყოჩაღეს და ზღვისპირელები 88:81 დაამარცხეს.

ურიგოდ არ უთამაშია სასტარტო შემადგენლობაში გამოჩენილ **ვლადო ბოისას**. მან თამაშიდან ტყორცნების 50 პროცენტი გამოიყენა (4-დან 2 ორქულიანი, 2-დან 1 სამიანი) და 9 ქულას 5 მოხსნა და 1 პასი მიამატა.

მანუს მიულოცეს

უკრაინის ჩემპიონატში მეშვიდე გამარჯვება ჩაიწერა **მანუჩარ მარკოიშვილის** „კიევმა". დედაქალაქელებმა „ბუდიველნიკს" 85:49 გადაუარეს.

მოდით შეხვედრის უკრაინულ მიმოხილვას გავეცნოთ: *„მატჩის დაწყებამდე კიეველებმა სავსე დარბაზთან ერთად მანუჩარ მარკოიშვილს დაბადებს დღე მიულოცეს. როგორც ჩანს ამან ქართველ ფორვარდს ძალები შემატა და მატჩის გმირადაც იქცა. მანუ შეტევისთვისაც იცლიდა და დაცვაშიც დიდი მოცულობის სამუშაოს ასრულებდა. სწორედ დაცვა გახდა ტომო მაჰორიჩის გუნდის გამარჯვების საწინდარი - მეორე მეოთხედი 25:4 მოიგო..."*

იუბილარმა 19 ქულა 2-2 მოხსნაპასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. 7 ტურის შემდეგ 7-7 მოგებით უკრაინის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილს „კიევი და „აზოვმაში" ლიდერობენ.

კახა ელისი არაა

ტაირონ ელისმა ესპანეთის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩი მაღალ დონეზე ჩაატარა - 37 წუთში 18 ქულა, 6 მოხსნა და 2 პასი ჩაინერა.

...მაგრამ, როგორც წესი, მისმა „კახამ" კვლავ წააგო. ამჯერად სტუმრად „მენორკასთან" - 80:102.

სევილიელები ესპანეთის პირველობის თვრამეტგუნდიან ცხრილში მე-15 პოზიციაზე არიან (2 მოგება, 6 ნაგება). „მენორკა" ერთი საფეხურით უკანაა.

როკი ჩაირთო

გიორგი ცინცაძის „ტარტუ როკმა" ესტონეთის ლიგაში თერთმეტიდან მეათე მატჩი მოიგო, „რაკვერეს" 108:71 აჯობა. გიორგიმ 26 წუთში 10 ქულა ჩააგდო, ზედაც 6 შედეგიანი გადაცემა და 1 მოხსნა მიამატა.

ვაჟა სიმონიშვილი

გამოძახილი.
მურმან ქურიძის განცხადება

მსაჯი შეცდა, ფედერაციაც

ჩემი გაოცება გამოინვია გადაწყვეტილებამ, რომელიც ამასწინათ იქნა გამოტანილი „ავიამშენი"-თსუს მატჩის არბიტრების მიმართ.

იმ შეხვედრის კომისარი ვიყავი და ვაფიქსირებ, რომ ერთ-ერთმა მსაჯმა, **დავით არეშიძემ** უკანასკნელ წუთებზე არ დააფიქსირა მნიშვნელოვანი მომენტი. ამაზე განაწყენებულმა მწვრთნელებმა მატჩის შემდეგ მასზე იერიში მიიტანეს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. საბოლოოდ მწვრთნელებს სადისციპლინო კომისიამ საკადრისი სასჯელი გამოუტანა.

რაც შეეხება მსაჯს, მის გადაწყვეტილებას შედეგზე გავლენა რომ არ მოეხდინა ეს საკითხი მსჯელობის საგნად არც იქცეოდა. მატჩი დაძაბული იყო, ჩემი შეხედულებით, დავით არეშიძეს არავითარი მიკერძოება არ გამოუვლენია, ხოლო ის შეცდომა ან შეხვედრის სირთულიდან გამომდინარე, ან პრაქტიკის უქონლობის გამო დაუშვა.

მსაჯებთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი პირველ რიგში კომისრის და მსაჯთა ასოციაციის მსჯელობის საკითხი უნდა გახდეს, რომელი ორგანიზაციის ხელმძღვანელიც გახლავართ.

ბოლო 35 წლის მანძილზე ამ საქმეში არც ერთი კონფლიქტური საკითხის განხილვას უჩემოდ არ ჩაუვლია. ისმის კითხვა - არეშიძეკუპატაძის დასჯის გადაწყვეტილება პირველ რიგში მსაჯთა ასოციაციას უნდა მიეღო, თუ არა? რა ხდება, ჩვენი კომპეტენცია საკმარისი არ არის? თუ ამ გადაწყვეტილების მიმღები ვერ ხვდება, ვის უნდა მიეღო იგი, მაშინ მოვითხოვ ფედერაციის შეკრებას და ამ გადაწყვეტილების განხილვას.

ჩნდება კიდევ არაერთი კითხვა. მაგალითად, თუ არეშიძემ დააშავა (დაშავებასა და შეცდომას შორის დიდი სხვაობაა), შეფასება სწორედ მის მოქმედებას უნდა მიეცეს. საკვირველია რატომ დაისაჯა მეორე არბიტრი, მაკა კუპატაძე, რომლის ზონაშიც ეს არ მომხდარა?

მურმან ქურიძე
მსაჯთა ასოციაციის პრეზიდენტი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი, საქართველოს პარლამენტის წევრი

ჩოგბური

ლაბაძეს ერთი ქულა დარჩა

გუშინ გამოქვეყნდა ATP-ის ახალი რეიტინგ-ლისტი, რომელშიც სულ ხუთი ქართველია. **ლადო ჩიხლაძე** 94 ქულით კვლავ 355-ე ადგილზეა. წყვილთა თანრიგში ლადო ზუსტად მე-700 პოზიციაზეა. საქართველოს მეორე ჩოგანი უკვე **ნოდარ ითონიშვილია**, რომელსაც მხოლოდ 3 სარეიტინგო ქულა აქვს. ითონიშვილი 1252-ე ჩოგანია. დანარჩენ სამ ქართველს თითო ქულა აქვს, **ირაკლი ლაბაძეს, გიორგი ხრიკაძეს** და **გიორგი ჭანტურია** რეიტინგში 1461-ე პოზიცია უკავიათ. ირალი ლაბაძე კიდევ 88 საფეხურით დაქვეითდა. ჩოგბურთელი, რომელსაც კარიერაში მილიონ 200 ათასი დოლარი უშოვნია, მაგრამ წლეულს ტრავმის გამო არ უთამაშია, ორშაბათს იმ ერთ ქულასაც დაკარგავს და სიიდან ამოვარდება.

ამ კვირაში ქართველ ვაჟ ჩოგბურთელთაგან მხოლოდ ნოდარ ითონიშვილი თამაშობს. ნოდარი ესპანეთში ბარსელონას თიხნარზე ცდის ბედს. ნოდარ ითონიშვილი საკვალიფკაციო ბადეში მე-9 ნომრად განთესეს. პირველ წრეში მან ესპანელი **სერხიო ბარბერანი** დაამარცხა - 6:3, 6:4. მეორეში ქართველმა ჰოლანდიელ **მარკ ვერფორტს** აჯობა - 6:3, 6:4. ძირითად ბადეში გასასვლელად ითონიშვილმა ესპანელი **დავიდ ოლივეირი** დაამარცხა სამ სეტში - 6:3, 1:6, 6:4. ძირითადი ბადის პირველ წრეში ქართველი ჩოგბრთელი „უაილდ ქარდით" მინვეულ ესპანელ **ინიგო სერვანტესს** შეხვდება.

ქალ ჩოგბურთელთა რეიტინგში სამი საფეხურით დაქვეითდა საქართველოს პირველი ჩოგანი **მაკა ჩახნაშვილი**, მაკა 189,50 ქულით მსოფლიოს 168-ე ჩოგანია. 92 ქულა აქვს 17 წლის **ანა ტატიშვილს**, ანამ ერთ კვირაში ხუთი ადგილით წაინია წინ და მსოფლიოს 273-ე ჩოგანი გახდა. მცირე პროგრესი აქვს **სოფიო შაფათავასაც**, რომელსაც 46 ქულა აქვს და კლასიფიკაციაში 402-ე (+4) ადგილზეა. **თინათინ ყავლაშვილს** 31 ქულა აქვს, 20 წლის ჩოგბურთელი კარიერის საუკეთესო ნიშნულზეა, ის მსოფლიოს 514-ე (+5) ჩოგანია. სხვები: 587 (-11) **სალომე დევიძე** - 22 ქულა; 625 (+11) **მანანა შაფაქიძე** – 19; 639 (-29) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 18; 736 (+5) **სოფიო ქვაცაბაია** - 13; 797 (+13) **ეკა გორგოძე** - 10; 844 (-20) **სოფიო მელიქიშვილი** - 9. მანანა შაფაქიძემ და სოფიო ქვაცაბაიამ, თინათინ ყავლაშვილის დარად, კარიერის საუკეთესო ადგილი აჩვენეს.

ბარსელონაში ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირიც მიმდინარეობს. საკვალიფიკაციო ბადიდან ეგრევე გავარდა **მაგდა ოქრუაშვილი**, სოფიო ქვაცაბაიამ კი პირველი წრის გავლის მერე მეორეშიც გამარჯვებული დარჩა, მან ესპანელ **ლუსია ვასკესს** აჯობა - 6:1, 6:2. ფინალურ საკვალიფიკაციო წრეში ქვაცაბაიას მეტოქე ესპანელი **მარტა ესპიგადოა**, რომელსაც ქართველმა ერთი კვირის წინათ მალიორკაში ძალზე იოლად სძლია. მანანა შაფაქიძე კი მომავალ მეტოქეს უკვე ძირითად ბადეში ელის. სავსებით შესაძლებელია ეს მეტოქე სწორედ სოფიო ქვაცაბაია იყოს, რადგან კენჭისყრის მიხედვით მანანა საკვალიფიკაციო წრიდან გამოსულს უნდა შეხვდეს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

2007 წლის 21 დეკემბერს გაიმართება საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია.

კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად, გთხოვთ 20 დეკემბრამდე გაიაროთ წინასწარი რეგისტრაცია. სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციაში განევრიანების მსურველებს ვთხოვთ ასევე 20 დეკემბრამდე წარმოადგინონ შესაბამისი საბუთები.

ველით თქვენს წინადადებებს კონფერენციის დღის წესრიგთან დაკავშირებით. ნესდების შესაბამისად, ასოციაციის ხელმძღვანელ ორგანოებში ასარჩევად კანდიდატურები შეგიძლიათ წარმოადგინოთ 6 დეკემბრამდე.

თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 49ბ.
ტელეფონი: 42 12 88, 23 26 34.
მობ. 877 48 88 44.

სსჟა-ს ალმასკოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელბურთი

იუბილარი

იმედო ფხაკაძე: 50 წელი ხელბურთში



იმედო ფხაკაძე 60-იანი წლების ქართველ ხელბურთელთა იმ "ოქროს თაობას" ეკუთვნის, რომლებიც საკავშირო თუ საერთაშორისო არენაზე ბრწყინავდნენ. ხელბურთელობისა და მწვრთნელობისას, მას არც ტიტულები აკლდა და არც გულშემატკივრის სიყვარული. შემდეგ კი მართალია, სხვა სფეროში გადაბარგდა, მაგრამ მუდამ ხელბურთის გვერდითაა. და რაც ყველაზე მთავარია, წლებმა ვერ დაჩრდილეს მისი ღვაწლი – ქართული ხელბურთის ქომაგებს კვლავაც ახსოვთ და აფასებენ.

დღეს, იმედო ფხაკაძეს 65 წელი შეუსრულდა. როგორც ამბობს, განვლილ წლებს რომ თვალს გადაავლებს, გული არაფერზე სწყდება – ტრაბახში არ ჩამომართვათ, მაგრამ

საკმაოდ წარმატებული კარიერა მქონდა და უკმაყოფილების საბაბი არ მაქვო. დღევანდელ იუბილარს გუშინ გავესაუბრეთ და ინტერვიუ ჩამოვართვით.

- ბატონო იმედო, სულ თავიდან დავიწყოთ. როგორ აღმოჩნდით ხელბურთში?

- სპორტში ვარჯიში 13 წლის ასაკში, მძლეოსნობით და ჭიდაობით დავიწყე. სერიოზული წარმატებები მქონდა, მაგრამ 15 წლისამ, ხელბურთი ვნახე, მომეწონა და ჩემი თავი ბოლომდე ამ სახეობას მივუძღვენი. ხელბურთის ანაბანას მაშინდელი კიროვის ქარხნის მიმდებარე ტერიტორიასთან არსებულ მოედანზე ვეზიარე, ვლადიმერ არაქელოვთან...

- შემდეგ იყო 11-წლიანი კარიერა "ბურევესტნიკში"...

- იქამდე, მოსწავლეთა პირველობაზე ვიასპარეზე ზაპოროჟიეში, სადაც საუკეთესო ბომბარდირი გავხდი. შესაბამისად, მოვექეცი "ბურევესტნიკის" (შემდგომში "ქარიშხალა") მწვრთნელთა ყურადღების არეში და მალე 19 წლის ბიჭი, აღმოვჩნდი ქართული ხელბურთის ფლაგმანში. აქედან მეორე სეზონშივე – 1962 წელს, გავხდით საბჭოთა კავშირის ჩემპიონები და ეს მიღწევა 1964 წელსაც გავიმეორეთ. ამას გარდა, ვიყავით სამგზის ვერცხლის პრიზიორები, ერთხელ კი ბრინჯაოს მედალი მოვიპოვეთ. პარალელურად, წარმატებით ვთამაშობდი საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც, რომლის ღირსებასაც 1972 წლამდე ვიცავდი. 1968 წელს, გავხდი მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონი, ხოლო მსოფლიო ჩემპიონატზე, ჩემი ხელბურთელობის დროს, ყველაზე მაღალი შედეგი მეოთხე ადგილი გვქონდა.

1972 წელს, მიუნხენის ოლიმპიადაზე, ხელბურთს დებიუტი ჰქონდა. ამისათვის გულმოდგინედ ვემზადებოდი, მაგრამ საოლიმპიადედ, ნაკრებს მიღმა დამტოვეს და 30 წლისამ, კარიერის დასრულება გადავწყვიტე.

- არანაკლები წარმატებები გქონდათ სამწვრთნელო კარიერაშიც.

- 1973 წელს, "ქარიშხალას" მწვრთნელად დავუბრუნდი. იქამდე, გუნდს ჰქონდა რამდენიმეწლიანი ჩავარდნა. ჩემი მწვრთნელობის პერიოდში კი წამოვიდა ახალი, ძალიან ნიჭიერი თაობა – ანპოლოგოვი, ძმები ბერიაშვილები, დვალიშვილი, ნარიმანიძე, დოლიძე, ჭყონია, ტაბიძე... შესაბამისად, მოვიდა შედეგებიც. "ბურევესტნიკი" კვლავ გაერია საბჭოეთის უძლიერესი გუნდების მარაქაში და პრიზიორთა რიგებს დავუბრუნდით.

1979 წელს, საბჭოთა კავშირის რამდენიმე წარმატებული მწვრთნელი, სპორტულად და ეკონომიკურად გვარიანად ჩამორჩენილ აფრიკულ ქვეყანაში მალიში გაგვიშვეს, რათა აფრიკელებს ხელბურთის განვითარებაში დავხმარებოდით. პროექტის თანახმად, უნდა ჩატარებულიყო აფრიკის პირველობები და სხვადასხვა შეჯიბრებები, მაგრამ ისე შოხდა, რომ ორი წელიწადი ტყუილუბრალოდ მოვცდით იქ, თამაშები არ გვქონია და შეგვრჩა მხოლოდ აფრიკული ეგზოტიკის დათვალიერება...

განათლებით ეკონომისტი ვარ და მალიდან დაბრუნების შემდეგ, საკუთარი პროფესიით მუშაობას შევუდექი. ბოლო 20 წლის განმავლობაში, ვარ განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური სპორტული სკოლის დირექტორი.

აქვე ისიც მინდა აღვნიშნო, რომ აქტიური ხელბურთელისა და სამწვრთნელო კარიერის დამთავრების შემდეგ, ერთი დღეც კი არ მიცხოვრია ხელბურთისა და სპორტის გარეშე. ვმუშაობდი სპორტკომიტეტში, სისტემატურად ვარ ხელბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი.

ახლახან კი, საქართველოს ხელბურთის ფედერაციის თხოვნით, ეროვნულ ნაკრებს კონსულტანტობა გაეუწიე "ჩელენჯ ტროფიზე". ამას გარდა, ფედერაციამ დამავალა ნაკრების მომავალი წლის სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება, რომელსაც დღეს ან ხვალ წარვადგენ. 20 იანვარს, ნორვეგიაში "ჩელენჯ ტროფის" ფინალი გვაქვს, რომელიც კიდევ ერთხელ ნათლად გამოაჩენს, რამდენად მზად ვართ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის, რომელიც 2008 წლის შემოდგომით დაიწყება. სწორედ ამ საკვალიფიკაციო ციკლზეა მიმართული ჩვენი მთავარი ყურადღება.

- მივადექით თანაშედროვე ქართულ ხელბურთსაც. რას იტყვით ჩვენი ხელბურთის სადღეისო ყოფაზე?

- სამწუხაროდ, ქართულ ხელბურთს არც ისე ულხინს. ეროვნულ ჩემპიონატში მხოლოდ 4 გუნდი გვყავს და აქედანაც ორია კონკურენტუნარიანი. 6-8 გუნდი მაინც თუ გვეყოლება, ეს უკვე კარგი იქნება. სახელმწიფო ადრინდელივით ვეღარ აფინანსებს კლუბებს, თავად კლუბებს კი სპონსორების გამონახვა უჭირთ. მიუხედავად იმისა, ნიჭიერი თაობა კვლავაც მოდის...

ჩვენი ჩემპიონატის დაბალ დონეზე ისიც მეტყველებს, რომ ლეგიონერები აქ მოთამაშეებზე გაცილებით ძლიერები არიან. ამიტომაც, სანამ კლუბები და ჩემპიონატი მოგვიმძლავრდება, როგორმე უნდა მოვახერხოთ, რომ საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ხელბურთელები ლეგიონერების დონეს მივუახლოვოთ.

P.S. საუბრის დასასრულ, იმედო ფხაკაძემ გვთხოვა – ხვალ ლეგენდარულ მოჭიდავე ვახტანგ ბალავაძესაც აქვს დაბადების დღე, ვისარგებლებთ შემთხვევით და თქვენი გაზეთის მეშვეობით მივულოცავო. მასთან ერთად, ჩვენც ვულოცავთ ბატონ ვახტანგს იუბილეს.

კობა ხატისაშვილი

ლეგიონერები

ჭანჭურიას შანსი და რუსიას კოშმარი

ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასზე მესამე რაუნდის პირველი მატჩები გაიმართა. ჩვენს ინტერესს ინვევდა **ვლადიმერ რუსიას** რუმინული "დინამოსა" და **რეზო ჭანტურიას** მაკედონიის "მეტალურგის" შეხვედრები.

ცუდი ამბით დავიწყოთ, რომელიც რუსიას გუნდს გადახდა თავს. "დინამომ" უნგრეთში, "დუნაფერთან" უშანსოდ წააგო (22:33) და ფაქტობრივად, დაკარგა მერვედფინალში გასვლის შანსი. ძნელი წარმოსადგენია, რომ უნგრელებმა 11-ბურთიანი უპირატესობა გაანიავონ...

სამაგიეროდ, საკუთარ მოედანზე შვედურ "სავეჰოფს" მოუგო "მეტალურგმა" (22:18), რითაც მერვედფინალში გასვლის კარგი შანსი გაუჩნდა. თუმცა, ოთხბურთიანი ფორა მთლად საიმედო არ არის და ყველაფერი შვედეთში, განმეორებით მატჩში გადაწყდება. საპასუხო შეხვედრები 25 ნოემბერს შედგება.

თეჯრიღი

სულიკო თორთლაძე. 20.11.1919, ქუთაისი - 04.05.1982, იქვე. კალათბურთი. თამაშობდა ქუთაისის „დინამოსა" (1938-40, 44) და თბილისის „დინამოში" (1945-52). სსრკ ჩემპიონი (1950), მეორე (1947) და მესამე (1948) პრიზიორი, სსრკ თასის მფლობელი (1949). ბავშვთა კალათბურთის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი. მისი აღზრდილები არიან: ზურაბ საკანდელიძე, მიხეილ ქორქია, ნიკოლოზ დერიუგინი, ზურაბ გრძელიძე და გელა დარსაძე. სსრკ დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე.

ვახტანგ ბალავაძე. 20.11.1927, ღანირი, სამტრედია. თავისუფალი ჭიდაობა (73 კგ). მსოფლიო ორგზის ჩემპიონი (1954, 57) და მეორე პრიზიორი (1959). 1956 წლის მელბურნის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი და 1960 წლის რომის ოლიმპიადის მონაწილე. სსრკ ხუთგზის ჩემპიონი (1952-55, 57), სსრკ ხალხთა I და II სპარტაკიადების მეორე პრიზიორი (1956, 59). სამბოში სსრკ ჩემპიონი (1952) და მეორე პრიზიორი (1951). ახალგაზრდობის საერთაშორისო თამაშებში გამარჯვებული (1953). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი და დამსახურებული მწვრთნელი, უმაღლესი კატეგორიის მსაჯი. თბილისის საპატიო მოქალაქე. ფილას, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენების კავალერი.

იმედო ფხაკაძე. დაიბადა 20.11.1942, თბილისი. ხელბურთი. თამაშობდა თბილისის „ბურევესტნიკსა" (1962-74) და სსრკ ნაკრებში (1963-71). მსოფლიოს სტუდენტთა თამაშების ჩემპიონი (1968), სსრკ ორგზის ჩემპიონი (1962, 64), სამგზის მეორე (1965, 66, 67) და მესამე (1963) პრიზიორი. სსრკ ნაკრებში ჩაატარა 68 (193 გოლი). იყო თბილისის „ბურევესტნიკის" მთავარი მწვრთნელი (1974-78). მისი ხელმძღვანელობით „ბურევესტნიკი" სსრკ ხალხთა VI სპარტაკიადასა (1975) და სსრკ ჩემპიონატში (1977) მესამე საპრიზიო ადგილზე გავიდა. მცირე ხნით ავარჯიშებდა იორდანიის ნაკრებს (1976). საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

სუმო

მარცხი ესტონელთან

გუშინ კიუშუს ბაშოს მეცხრე დღეს საინტერესო ბრძოლა გაიმართა, ქართველი **კოკაი** ესტონელ **ბარუტოს** შეხვდა. ეს ორი რიკიში პირველად დაუპირისპირდა ერთმანეთს, კოკაიმ დოჰიოს კიდემდე განდევნა ბარუტო, თუმცა ესტონელმა ბოლო მომენტში შეძლო მარჯვნიდან შეტევა და ქართველის დოჰიოდან გაყვანა. კოკაის (5-4) კვლავ დადებითი ბლანსის დაბეევებისთვის მოუწევს ბრძოლა, ბარუტო (7-2) კი ლიდერებში გაერია. დღეს ქართველი ფალავანი მეცხრე მაეგაშირა **ტამაკასუგას** შეხვდება, რომელიც 35 წლისაა. უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში კოკაი ტამაკასუგას ორჯერ შეხვდა, ერთხელ მოუგო და ერთხელ დამარცხდა.

ბაშოს ერთპიროვნულად 31 წლის ოძეკი **ჩიოტაიკაი** ლიდერობს (8-1), რომელიც სწორედ კუნძულ კიუშუდან არის წარმოშობით. ჩიოტაიკაიმ მონღოლი **ასასეკირიუ** დაამარცხა. მოიგო დიდმა ჩემპიონმა (იოკოძუნა) **ჰაკუჰომ**, მონღოლმა სექტემბრის ბაშოზე განცდილი მარცხისთვის შური იძია ყველაზე დაბალ სუმოისტ **ტოიონოშიმაზე**. ბაშოს ტრავმების გამო ორი რიკიში დააკლდა **ტაკამისაკარი** და ბულგარელი ოძეკი **კოტოოშუ**.

კიუშუს ბაშოზე პირველი მარცხი ინვნია მაკუშიტას დივიზიონის პირველმა ნომერმა **ლევან გორგაძემ** (**ტოჩინოშინი**). ლევანმა მე-12 მაკუშიტა **ვაკატერნოსთან** წააგო და 4-1 ბალანსი გაუხდა. მარცხის მიუხედავად, ტოჩინოშინს ძურიოს დივიზიონის საგზური განაღდებული აქვს. სანდანმეს დივიზიონში მოასპარეზე ქართველი **თეიმურაზ ჯუღელი** (**გაგამარუ**) დღეს ორორას შეხვდება, მისი ბალანსი 3-1-ია.

ნიკოლოზ ნეფარიძე

კიუშუს ბაშო

ნოემბრის სუპერტურნირი

11-25 ნოემბერი, ფუკუოკა (იაპონია)

IX დღე. **მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი-ბარუტო 0:1 (ცუკიოტოში), ჰაკუჰო-ტოიონოშიმა 1:0, კოტომიცუკი-ტაკეკაძე 1:0, ჩიოტაიკაი-ასასეკირიუ 1:0, ტოკიტენკუ-კაიო 1:0, კისენოსატო-ამინიშიკი 1:0, მიაბიამა-ამა 1:0, კოტოშოგიკუ-ჰომაშო 1:0, დეჯიმა-კაკურიუ 1:0, კასუგაო-კიოკუტენჰო 1:0, ჰოკუტორიკი-გოეიდო 1:0, ტოჩინონადა-როჰო 1:0, ვაკანოსატო-ჰაკუროძანი 1:0.**

სატურნირო მდგომარეობა. 8-1: ჩიოტაიკაი (ოძეკი); 7-2: ჰაკუჰო (იოკოძუნა), კოტომიცუკი (ოძეკი), დეჯიმა (მაეგაშირა 2), ვაკანოსატო (მ 8), ბარუტო (მ 16); 6-3: კოტოშოგიკუ (კომუსუბი), ტოკიტენკუ (მ 3), ტოიონოშიმა (მ 4), გოეიდო (მ 6), ტოჩინონადა (მ 7), ვაკაკირინი (მ 15).

X **დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი-ტამაკასუგა, ჰაკუჰო-კიოკუტენჰო, ჩიოტაიკაი-ტოკიტენკუ, კაიო-ტოიონოშიმა, კოტომიცუკი-ასასეკირიუ, ამინიშიკი-გოეიდო, კოტოშოგიკუ-კაკურიუ, ამა-დეჯიმა, მიაბიამა-ჰომაშო, ტოჩინონადა-ჰოკუტორიკი, ვაკანოსატო-ბარუტო, ჰოკუტორიკი-ტოჩინონადა.**



ბარუტომ კოკაი წრიდან გააგდო

ჭადრაკი

მსოფლიოს ასაკოვანთა ჩემპიონატი

26 მოგება პირველ ტურში

ანთალიაში გუშინ დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატი 8-დან 18 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შორის. ქართველი გოგო-ბიჭების უჩვეულო რაოდენობაა ტურნირზე - 33. ამათგან, ცხადია, ყველას წარმატების იმედი არა გვაქვს, მაგრამ ფავორიტთა შორის საკმაოდ ბევრი ჩვენებურია და სასიამოვნოა, რომ პირველ ტურში ყველამ გაიმარჯვა. ერთადერთი მოულოდნელი შედეგი **დავით ლომსაძის** თეთრებით მარცხი გახლდათ, რომელმაც თურქ ერკმენ აიდოღლუსთან წააგო. დავითიც შეიძლება ფავორიტთა ჯგუფს მივაკუთვნოთ, თურქი კი ვერაფრი ჩაეწერება ამ სიაში - ძალიან დაბალი რეიტინგი აქვს... აშკარაა, ქართველმა მოჭადრაკემ უყურადღებობით წააგო და უხეში შეცდომა დაუშვა.

16 წლამდე გოგონებში შავებით ყაიმით ითაშაშა **სალომე მელიამ**. მისი მეტოქე ირანელი გულნაზ ჯაფარი იყო ირანში ჭადრაკი აღმავლობას კი განიცდის, მაგრამ მაინც ქალველის გამარჯვებას ვფიქრობდით. ასე არ მოხდა და ამასაც „დაუგეგმავ" დანაკარგს მივათვლით.

სხვაფრივ, ყველაფერი ლოგიკურად დასრულდა - ვინც წააგო, ალბათ უნდა წაეგო, მოგებულებს კი უნდა გაემარჯვათ.

სულ 33 ქართველიდან 26-მა იმარჯვა, ხუთმა წაგო და ორმა ყაიმით ითამაშა. აქედან 19 პარტიაში თეთრებით ვიყავით. გამოსარჩევია 18 წლამდელთა შედეგი: ვაუებში მხოლოდ ერთი წარმომადგენელი გვყავს - **გიორგი მარგველაშვილი**, გოგონებში კი - სამი: **მირანდა მიქაძე, მერი ჟორჟოლიანი** და **ქრისტინე მჟავია**. ყველამ მოიგო. ასეთივე შედეგი ჰქონდათ 14 წლამდელ გოგონებს, ხუთი ქართველი ასპარეზობს: **ნაზი პაიკიძე, მერი არაბიძე, მარიამ დანელია, ნათია ჯალაბაძე** და **ლელა უგულავა**.

ზვიად შათირიშვილი

მონ დე მარსანი თამაშის წინ. მარჯვნივ - ირაკლი მაჩხანელი

ავტოსპორტი

საქართველოს ჩემპიონატი. წრიული რბოლა

მოჭიდავეები საჭესთან

კვირას რუსთავის ავტოდრომზე წრიულ რბოლაში საქართველოს ჩემპიონატის VIII ეტაპი გაიმართა და სეზონის მთავარი საკითხი გადაწყვიტა. **არჩილ ბიძინაშვილმა** (ჰონდა სივიკი) რბოლა მოიგო და ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა. გასამართი დარჩა აღმართის ჩქაროსნული დაძლევა მუხათწყაროში, რომელიც 25 ნოემბერს აბსოლუტურ ჩათვლაში ჩემპიონს დაასახლებს. 8 დეკემბერს კი საჩვენებელი ჩემპიონთა რბოლა გაიმართება.

ბიძინაშვილს მედგარი წინააღმდეგობა შეხვდა მეტოქე-მეგობრების **ოთარ თავართქილაძის, ზურაბ ბეჟაშვილის** და **მამუკა მელაძის** (სამივე - ჰონდა სივიკი) მხრიდან. სეზონის განმავლობაში პოდიუმს **დათა ქაჯაიაც** (ჰონდა CRX) გაუშინაურდა. მან ეს კვირასაც დაამტკიცა, როცა ორივე რბოლის ჯამში მესამე ადგილზე გავიდა. თავართქილაძემ მეორე ადგილი დაიკავა რბოლაშიც და ჩემპიონატშიც, ბეჟაშვილი კი საერთო მესამე ადგილს დასჯერდა.

წელს ერთგვარად გადახალისდა ჩემპიონატში მონაწილეთა შემადგენლობა. „გამოცდილი პილოტების გვერდით გამოჩნდნენ ახალგაზრდებიც. არენაზე გამოდის ავტომრბოლთა ახალი თაობა, რომელიც ჯერ იუნიორთა კლასში ასპარეზობს, მაგრამ მალე უფროსებს შეუერთდება. ასეთი სამია: **დიმიტრი ქობულია, დავით მენთეშაშვილი** და **გიორგი კოდუა**.

ბოლო ხანებში ქართულ ავტოსპორტში ერთი საინტერესო ტენდენცია შეინიშნებოდა. სხვა სახეობაში წარმატებულმა სპორტსმენებმა ავტოსპორტშუ სცადეს ბედი. ამის ნათელი მაგალითია **მამუკა მელაძე**, მოჭიდავე, რომელმაც მოახერხა და ავტოსპორტით დაინტერესა არჩილ ბიძინაშვილი, ასევე მოჭიდავე. მალე მათ გვერდით აღმოჩნდა **კახა ჩადუნელიც**. ყველა ძლიერ პილოტად ითვლება. შესაძლოა მომავალში მოჭიდავე-ავტომრბოლთა რიცხვი უფრო გაიზარდოს, რადგან ცნობილია, რომ ბევრ მოჭიდავეს მოსწონს ავტორბოლა.

დავით ჩუბინიძე

ეროვნული

ლეგიონერები

მაჩხანელის ლელო

ევროპულ სარაგბო ტურნირებში მე-2 ტურის შეხვედრები გაიმართა. ჰაინეკენის თასის გათამაშებაში ქართველ მორაგბეთა ერთადერთი გუნდი, **გოდერძი შველიძისა** და **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი" გასვლით მატჩში დამარცხდა ირლანდიურ „მანსტერთან" 36:13.

ირლანდიელებმა მატჩის სადავეები თავიდანვე იგდეს ხელთ და ჩვენებურების გუნდს მოგების იოტისოდენა შანსიც არ ჰქონია. ზირაქაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა, ძირითად შემადგენლობაში იყო შველიძეც, რომელიც 45-ე წუთზე შეცვალეს. ამავე E ჯგუფში ინგლისურმა „ვოსფსმა" სტუმრად, უელსში დაამარცხა „ჰლანეჰლი" 33:17. E ჯგუფი: ვოსფსი - 9 ქულა, მანსტერი - 6, კლერმონი - 5, ჰლანეჰლი - 0

ჩელენჯ კაპის გათამაშებაში მონაწილე ქართველ მორაგბეთა 6 გუნდიდან მეორე ტურში გამარჯვებას მხოლოდ სამმა მიაღწია A ჯგუფში **მამუკა მაგრაქველიძის** „ოშმა" გასვლით შეხვედრაში სძლია „ალბის"31:30. მაგრაქველიძემ ძირითად შემადგენლობაში ითამაშა და 63-ე წუთზე შეცვალეს. ამავე ჯგუფში ინგლისურმა „ბასმა" შინ დაამარცხა მშრალი ანგარიშით იტალიური „ოვერმაკი" 28:0. **ბასი - 9 ქულა, ალბი - 6, ოში - 5, ოვერმაკი - 1**

C ჯგუფში **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივი" სტუმრად დამარცხდა „ნიუკასლთან" 19:25. ხინჩაგიშვილს ტრავმა ჯერაც არ მოუშუშებია. ირლანდიურმა „ქონოთმა" როგორც მოსალოდნელი იყო გათამაშების დებიუტანტი, ესპანეთის „ელ სალვადორი" გაანადგურა 75:8. ნიუკასლი - 9 ქულა, ქონოთი - 5, ბრივი - 5, ელ სალვადორი - 0

D ჯგუფში **მამუკა გორგოძის** „მონპელიემ" შინ დაამარცხა **ავთანდილ კოპალიანის** „ბაიონი" 18:12. გორგოძე ტრავმირებულია, კოპალიანი ძირითად შემადგენლობაში იყო და 41-ე წუთზე შეცვალეს. ამავე ჯგუფში ინგლისურმა „სეილ შარქსმა" სტუმრად სძლია იტალიურ „პადოვას" 53:14. სეილ შარკსი - 10 ქულა, ბაიონი - 6, მონპელიე - 4, პადოვა - 0

ორი „ქართული" გუნდი თამაშობს E ჯგუფში. **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრმა" შინ მიიღო იტალიური „კალვიზანო" და 61:28 დაამარცხა. „გლობუსა" ძირითად შემადგენლობაში იყო და 48-ე წუთზე შეცვალეს. მისი უმცროსი ძმის, **ირაკლი გიორგაძის** „დაქსმა" კი ზედიზედ მეორე მარცხი იგემა, ამჯერად შინ ინგლისურ „ლიდსთან" შეხვედრაში 20:33. ირაკლი 64-ე წუთზე შეცვალეს. ლიდსი - 9 ქულა, კასტრი - 5, კალვიზანო - 5, დაქსი – 1

საფრანგეთის ჩემპიონატის მე-2 დივიზიონში ოთხი ტურია გამართული. **გია ლაბაძის** „ტულონი" გათამაშებას ერთპიროვნულად ლიდერობს და ერთადერთია, რომელიც დაუმარცხებლად აგრძელებს ასპარეზობას. ტულონელებმა მეოთხე ტურში ძნელი გამარჯვება მოიპოვეს სტუმრად **იგორ ბარბაქაძის** „ტარბთან" 39:34. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში ჩეხმა გარემარბმა **მარტინ იაგრმა** ოთხი ლელო გაიტანა, ბოლო გამარჯვების მომტანი - 77-ე წუთზე. ლაბაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა.

მეორე ადგილზეა **ირაკლი მაჩხანელის** „მონ დე მარსანი", რომელმაც საკუთარ მოედანზე „მეტრო რასინგი" დაამარცხა 22:11. ამ გამარჯვებაში წვლილი მაჩხანელმაც შეიტანა, მან თავიდან ბოლომდე ითამაშა და 65-ე წუთზე ლელო გაიტანა.

მესამე „ქართული" გუნდი, რომელიც ლიდერთა შორისაა, **გიორგი კუთარაშვილის** „ნარბონია". ჩვენებურის გუნდმა ამჯერად სტუმრად შეძლო „ბლანიაკის" დამარცხება 19:12. კუთარაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა.

საკუთარ მოედანზე დაამარცხა **დავით აშვეთიას** „ოიონაქსმა" **მალხაზ ურჯუკაშვილის** „ორიიაკი" 28:20. აშვეთია ძირითად შემადგენლობაში იყო და 50-ე წუთზე შეცვალეს. ურჯუკაშვილი ტრავმირებულია. სტუმრად დამარცხდა "ბეზიესთან" **მერაბ კვირიკაშვილის** „პო" 19:26. მეკო განაცხადში არ იყო. უჩვეულო ანგარიშით 3:6 დამარცხდა **ლევან ღვაბერიძის** „გრენობლი" სტუმრად „ლიონთან". ღვაბერიძეს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია.

საფრანგეთი. II დივიზიონი. IV ტური. აჟენი-ლიმოჟი 62:0, ბეზიე-პო 26:19, ლიონი-გრენობლი 6:3, ოიონაქსი-ორიაკი 28:20, მონ დე მარსანი-მეტრო რასინგი 22:11, ბორდო-ლა როშელი 12:11, ტარბი-ტულონი 34:39

საფრანგეთის: **1. ტულონი - 18 ქულა, 2. მონ დე მარსანი - 13,** 3. აჟენი - 13, **4. ნარბონი - 12,** 5. მეტრო რასინგი - 12, **6. პო - 11, 7. ორიაკი - 9,** 8. ლიონი - 9, 9. **ოიონაქსი - 9,** 10. ლა როშელი - 9, 11. ბეზიე - 9, **12. გრენობლი - 9,** 13. ბორდო - 6, 14. ბლანიაკი - 3, **15. ტარბი - 3,** 16. ლიმოჟი - 3

ბესიკ ჯანგავაძე

ეროვნული

მალაიზიაში ლიცენზიისთვის

შეხვედრა სპორტის დეპარტამენტში

პარაოლიმპიური თამაშები საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პატრონაჟით ტარდება იმავე ქალაქში, იმავე ბაზებზე და პირობებში, როგორშიც იმართება ზაფხულის თუ ზამთრის ოლიმპიადები. ცხადია, შეზღუდული შესაძლებლობების სპორტსმენებისთვის შეჯიბრები სპეციალური ოლიმპიური პროგრამით ტარდება. შეჯიბრებები კი ძირითადი ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ იწყება.

გვეყოლება თუ არა პარაოლიმპიადაზე მონაწილე გაისად პეკინში? პასუხი ამ კითხვაზე უნდა გასცემს ათლეტიზმში, კერძოდ, წოლჭიმში „მსოფლიო თასის" გათამაშებამ, რომელიც 29 ნოემბრიდან 6 დეკემბრის ჩათვლით გაიმართება მალაიზიის დედაქალაქ კუალა ლუმპურში. სწორედ აქ გაიცემა მომავალი ოლიმპიადის ლიცენზიები ამ სახეობაში.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში თავმჯდომარის მოადგილესთან გია გალდავასთან საქართველოს პარაოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელებმა (თავმჯდომარე დ. მაისურაძე), ზემოხსენებულ „მსოფლიო თასზე" ჩვენი წარმომადგენლის მონაწილეობის საკითხზე იმსჯელეს.

ადრინდელი კანდიდატი **ვლადიმერ ნაზღაიძე**, ჯანმრთელობის გამო მალაიზიაში ვეღარ გაემგზავრება. მოვითხოვეთ მისი პერსპექტიული სპორტსმენით **იაგო გორგოძით** ჩანაცვლება. იმედი მაქვს პრობლემები ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში არ შეგვხვდება. დანარჩენი ჩვენზეა დამოკიდებული. - თქვა ი. გორგოძის მწვრთნელმა და დელეგაციის ხელმძღვანელმა **გიორგი ნასიძემ**.

კარატე გლდანში

კარატე. გლდანის დკდ-ს დარბაზში, დასრულდა A კატეგორიის საერთაშორისო ტურნირი კარატეში. შეჯიბრების ორგანიზატორი იყო საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა საერთაშორისო სპორტული ფედერაცია და მისი პრეზიდენტი **კახაბერ მარკოზაშვილი**. ართველებთან ერთად, ტურნირზე თავი მოიყარეს რუსმა, უკრაინელმა, აზერბაიჯანელმა, ირანელმა და ინდოელმა სპორტსმენებმა.

ყველაზე დიდ ინტერესს ინვევდა პროფესიონალთა ორთაბრძოლები, სადაც ორ წონაში გათამაშდა ქამარი. 70 კილოგრამ წონით კატეგორიაში, ქართული ფინალი შედგა **რეზო ქელდიშვილსა** და **ლევან შაიშმელაშვილს** შორის, რომელში გამარჯვებაც ქელდიშვილს დარჩა.

80 კილოგრამში კი პირველობა არავის დაანება უკრაინელმა **არტიომ შეგლოვმა**. მან ფინალში **რატი ნითელაძეს** მოუგო.

23 დეკემბერს, სპორტის სასახლე უფრო მაღალი დონის - სუპერკატეგორიის შეჯიბრებას უმასპინძლებს, სადაც ჩამოვლენ აზერბაიჯანელი, ირანელი, რუსი, უკრაინელი, თურქი, ბელორუსი და ეგვიპტელი კარატისტები. 2008 წლის დასაწყისში კი ჩვენი პროფესიონალები უკრაინულ ტურნირზე იბრძოლებენ.

მარგველაშვილი მუნდიალისთვის

პროფესიული კრივი. ქართველი გულშემატკივრებისთვის უცნობია პროფესიონალი მოკრივე **ნუგზარ მარგველაშვილი**, არადა მან ახლახან შოტლანდიაში დიდ წარმატებას მიაღწია. მარგველაშვილი 22 წლის მოკრივეა, რომელსაც დღეისათვის 16 ბრძოლა აქვს გამართული პროფესიულ რინგზე და აქედან 14 მოგებული (4 ნოკაუტით). შაბათს გლაზგოს „პელაჰიუსტონის" დარბაზში ნუგზარ მგალობლიშვილი ბრიტანელ **ბარი ჰიუზს** ხვდებოდა WBU-ის ვერსიით მსუბუქ წონაში ვაკანტური საერთაშორისო ქამრისათვის. ჰიუზი გლაზგოელია და, ბუნებრივია, დარბაზიც მისკენ იყო, თუმცა მარგველაშვილმა 10-რაუნდიანი ორთაბრძოლა ოთხ რაუნდში დასრულა, რეფერომ ბრძოლა შეწყვიტა, რადგან ჰიუზს ქართველმა სერიოზული ტრავმა მიაყენა. ქართველმა სარტყელი მოიპოვა და ამით ჰიუზს მსოფლიო ჩემპიონობის ტიტულისთვის **ლი მაკალისტერთან** ბრძოლის შანსი მოუსპო. ახლა ამის პრეტენზია თავად ქართველ მოკრივეს გაუჩნდა. „ჩემს კარიერაში ასეთი დიდი გამარჯვება არ მიზეიმია. ლი მაკალისტერთან ბრძოლაზე თუ ვფიქრობ? რატომაც არა! კარგია, რომ ჰიუზთან მატჩი ტელევიზიით არ გადაუციათ, თორემ მაკალისტერი შეშინდებოდა". - იხუმრა ნუგზარ მარგველაშვილმა გამარჯვების შემდეგ. ქართველის მენეჯერი უკვე დაუკავშირდა მსოფლიო ჩემპიონის მენეჯერ **ჯონ ინგლს** და მომავალი ბრძოლის შესახებ ესაუბრა.

ეროვნული

დღეს: ლიგამუსი-ყოჩები

საქართველოს სარაგბო ჩემპიონატის შესარჩევი ფინალის შეხვედრა „ლიგამუსსა" და „ყოჩებს" შორის რომელიც ორშაბათს იყო დანიშნული, რაგბის კავშირმა დღეისთვის გადაიტანა. მატჩის ადილი და დაწყების დრო უცვლელია. „შევარდენის" სტადიონი, 15:30 წუთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ჩიკაგოს დენგი გამოაკლდა

უახლოესი 7-10 დღე, „ჩიკაგო ბულზს თავისი ერთ-ერთი ლიდერის, **ლუოლ დენგის** გარეშე მოუწევს თამაში. ბრიტანელმა კალათბურთელმა ზურგის ტრავმა „ლოს ანჯელეს კლიპერსთან“ მატჩის დროს მიიღო.

დენგი, რომელიც ამ სეზონში საშუალოდ 14.6 ქულას აგროვებს, დღეს გაივლის სამედიცინო გამოკვლევას და უფრო ზუსტად გახდება ცნობილი მისი ტრავმის ხარისხი - იუწყება სააგენტო AP.

პოლმა ფეხი იტკინა

ასევე თავისი ლიდერის გარეშე დარჩა „ნიუ ორლეან ჰორნეთსი“. „მემფისთან“ მატჩში, გასული სეზონის საუკეთესო დებიუტანტმა **კრის პოლმა** მარჯვენა ფეხი დაიზიანა, რის გამოც მას რეგულარული ჩემპიონატის რამდენიმე ტურის გამოტოვება მოუწევს.

პოლმა ტრავმა იმ ინციდენტის დროს მიიღო, როცა ის „მემფისის“ ესპანელ ლეგიონერ **პაუ გასოლს** შეეჯახა.

მბენგა მეოთხრეებში გაპრია

„გოლდენ სტეიტ უორიორზმა“ შემადგენლობა ცენტრალური თავდამსხმელით, **დიდიე ილუნგა მბენგათი** შეავსო. ეს კალათბურთელი შარშან „დალას მავერიქსის“ ღირსებას იცავდა.

„მავერიქსმა“ მბენგა წლევანდელი სეზონის წინ დააყენა ტრანსფერზე და ცენტრს მხოლოდ ახლა გამოუჩნდა მსურველი. შარშან, აფრიკელის სტატისტიკური მონაცემები 1.9 ქულასა და 0.9 მოხსნას უტოლდებოდა.

პანტერს ოპერაცია სჭირდება

„დენვერ ნაგეტსის“ ცენტრალურ თავდამსხმელ **სტივენ ჰანტერს** უახლოეს დღეებში ოპერაციას გაუკეთებენ.

როგორც სააგენტო „როიტერი“ იტყობინება, ჰანტერმა ტრავმა წლევანდელი სეზონის სტარტზე მიიღო და ამის გამო, ჯამში მოედანზე მხოლოდ ხუთი წუთი დაპყო.

არაფერია ცნობილი კალათბურთელის მოედანზე დაბრუნების ვადებზე. ექიმების განცხადებით, ისინი ამასთან დაკავშირებით პროგნოზს ქირურგიული ჩარევის შემდეგ გააკეთებენ.

სიეტლმა რიდნური დაკარგა

სერიოზული დანაკლისი განიცადა „სიეტლ სუპერსონიქსმა“. ამ გუნდს დაახლოებით 2-4 კვირით გამოაკლდა გამთამაშებელი **ლუკ რიდნური**, რომელმაც რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთ ბოლო ტურში კუნთის ტრავმა მიიღო.

ჯერჯერობით რიდნურის მოედანზე დაბრუნების ზუსტი თარიღი.

საკრამენტომ გრინი გაუშვა

„საკრამენტო კინგზმა“ კონტრაქტი განყვიტა მცველ **ორიენ გრინთან**. 25 წლის ფორვარდმა რეგულარური ჩემპიონატი მოკრძალებული სტატისტიკით დაიწყო. 7 მატჩში ის საშუალოდ 0.9 ქულასა და 0.9 მოხსნას აგროვებდა.

სხვათა შორის, ამ სეზონის ორი მატჩში გრინი „კინგზის“ სასტარტო ხუთეულის წევრი იყო - ძირითადში ის ტრავმირებულ **მაიკ ბიბის** ცვლიდა.

ნესტეროვიჩი ორი კვირა დაისვენებს

„ტორონტო რეპტორზი“ სერბი ცენტრალური თავდამსხმელის **რაშო ნესტეროვიჩის** გარეშე დარჩა. კანადელთა ლეგიონერმა გასულ უიქ ენდზე დაიზიანა ფეხი და როგორც ექიმები ვარაუდობენ, ის 1-2 კვირა ვერ გავა მოედანზე.

ნესტეროვიჩი არ გაპყვა გუნდს დალასსა და მემფისში სათამაშოდ. მის ადგილს სასტარტო ხუთეულში **მასეო ბასტონი** დაიკავებს.

მაიამი პარკერს გაუშვებს

„მაიამი ჰიტის“ ხელმძღვანელობა უკმაყოფილოა მცველ **სმაშ პარკერის** დაბალი შედეგიანობით და ამ კალათბურთელის სხვა კლუბში გაშვება აქვს განზრახული.

26 წლის პარკერმა „მაიამის“ შემადგენლობა ამ სეზონის წინ შეავსო. მანამდე ეს მცველი „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ღირსებას იცავდა.

წელს, პარკერმა 6 მატჩი ჩაატარა და მისი საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები 4.7 ქულას, 2.0 მოხსნასა და 2.0 შედეგიან გადაცემას ითვლის. ყველაზე საგანგაშო თამაშიდან ტყორცნების რეალიზაციის პროცენტული მაჩვენებელია, რომელიც 28.2 პროცენტს უტოლდება.

ბენეტონს მაპმუთი გაწვრთნის

იტალიის „ბენეტონს“ ახალი მთავარი მწვრთნელი ეყოლება. ერთი კვირის წინ განთავისუფლებულ **ალესანდრო რამალის** თურქი **ოქთაი მაპმუთი** შეცვლის, რომელმაც ტრევიზოელებთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ბოლო ექვსი წელი, მაპმუთი „ეფეს პილსენის“ მთავარი მწვრთნელი იყო და ეს გუნდი ოთხჯერ გახადა თურქეთის ჩემპიონი და ამდენივეჯერ მოაპოვებინა თურქეთის თასი.

ამჯერად ვან დენ შპიგელი

ევროლიგის ჯგუფური ეტაპის მეოთხე ტურის საუკეთესო მოთამაშედ პოლონეთის „სოპოტის“ ცენტრალური თავდამსხმელი **ტომას ვან დენ შპიგელი** დასახელდა.

მოსკოვის ცსკა-ს ყოფილმა კალათბურთელმა ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა იმაში, რომ მისმა გუნდმა ევროლიგაზე პირველ გამარჯვებას მიაღწია (ბოლონიის ვირტუსთან 87:75). 29 წლის ცენტრმა თავის აქტივში 27 ქულა და 14 მოხსნა ჩაიწერა, ხოლო იტალიელი კალათბურთელები მასზე 11-ჯერ დაჯარიმდნენ.

მეოთხე ტურის MVP-ის ტიტულზე ასევე პრეტენზიას აცხადებდნენ „უალგირისის“ მცველი **მარკუს ბრაუნი** და „რუანი“ ფორვარდი **მარკ სალიერსი**.

ბულერი ჭრაპმირებულია

„მილანის“ გამოცდილი მცველი **მასიმო ბულერი** ევროლიგის რამდენიმე მატჩს გამოტოვებს. კალათბურთელს ფეხი აქვს დაზიანებული.

მილანელებისთვის ეს სერიოზული დანაკლისია, ვინაიდან ბულერი კლუბის საუკეთესო სნაიპერი გახლავთ. წლევანდელ ევროლიგაზე ვეტერანი კალათბურთელის საშუალო სტატისტიკური მონაგარი 13.3 ქულას შეადგენს.

ოლიმპიაკოსმა გრირი დაკარგა

ორი კვირა ვერ შეძლებს თამაშს „ოლიმპიაკოსის“ ერთ-ერთი ლიდერი **ლინ გრირი**. როგორც euroleague.net იუწყება, ამერიკელმა მცველმა ევროლიგის მეოთხე ტურში, ცსკა-სთან მატჩის დროს მიიღო ტრავმა.

აღსანიშნავია, რომ იმ შეხვედრაში (79:88) გრირი ბერძენთა რიგებში საუკეთესო კალათბურთელი იყო - მან 27 ქულა მიითვალა.

NBA რეგულარული ჩემპიონატი

ბოსტონიც მოკვდავია

ადრე თუ გვიან, "ბოსტონ სელტიქსსაც" უნდა წაეგო და ალრგიკური ნამდვილად არ იყო, რომ ლიგის 16-გზის ჩემპიონი ბწრყინვალე ფორმაში მყოფ "მეჯიქთან" დამარცხდა.

სეზონის სტარტი ზოგი გუნდისთვის უმნიშნველოვანესია, ზოგისთვის კი ძირითადად, ახალი მოთამაშეებისთვის ადაპტაციის გასავლელად გამოიყენება. პირველთა რიცხვშია "ორლანდო", რომელსაც შარშანაც არაჩვეულებრივი სტარტი გამოუვიდა, მერე და მერე კი ფლორიდელებმა მოუკლეს მოგებებს და რვა საუკეთესოშიც სხვისი უხეირობის გამო მოხვდნენ.

"მეჯიქის" ულაპარაკო ლიდერი **დუაიტ ჰოვარდი** ფენომენალურ კალათბურთს თამაშობს და თუ ასე გაგრძელებს, MVP -ის მოპოვების ფავორიტთა შორისაც იოლად უნდა აღმოჩნდეს. აღნიშნულ შეხვედრაში მას დაცვაშიცა და შეტევაშიც **კევინ გარნეტის** წინააღმდეგ ჯახი ელოდა და ახალგაზრდა ცენტრმა ტესტი ფრიადზე ჩაბარა.

"ცხადია, 82 მატჩის მოგებას არ ვგემავდით და ადრე თუ გვიან, ჩვენც უნდა წაგვეგო. სეზონი გრძელი და დამქანცველია და ენერგიეს გადანაწილება ცუდი ნაღდად არ იქნება. დღეს საკმაოდ კარგ, პროგრესირებად გუნდთან დავმარცხდით", - ამბობდა ნამატჩევს გამართულ პრეს-კონფერენციაზე გარნეტი, რომელმაც თავიდანვე აკრიფა ფოლები და საბოლოოდ, 37 წუთში ერთი საჯარიმოპაც არ შეუსრულებია და შეხვედრა ერთადერთი შედეგიანი გადაცემით დაასრულა.

მასპინძლებმა დიდებულად ჩაატარეს პირველი ნახევარი და მეორე ტაიმში კონცენტრაცია რომ არ გაფანტვოდათ, შეხვედრის დარჩენილი ნაწილი ფორმალობად უნდა ქცეულიყო. თუმცა, "სელტიქსმა" მოუმატა, **პოლ პირსმა** 4-წუთიან მონაკვეთში 11 ქულა გააკეთა და მატჩიც დაიძაბა.

ამ მატჩამდე გარნეტი, პირსი და **რეი ალენი** საშუალოდ 20 ქულაზე მეტს უყრიდნენ თავს, მაგრამ 20 და მეტი ქულით მშეხვედრის დასრულება მხოლოდ პირსმა შეძლო, ალენის მონაგარი კი უკანასკნელ 12-წუთეულამდე ოდენ 8 ქულა იყო. მსროლელს იქამდე თამაშიდან 12-დან მხოლოდ ოთხი სროლა გამოეყენებინა.

"მეჯიქი" გახდა პირველი გუნდი ამ სეზონშI, რომელმაც "სელტიქსთან" შეხვედრაში სროლების 50 პროცენტი გამოიყენა და მიუხედავად იმისა, რომ სტუმრებმა მოხსნებში 41:28 იმარჯვეს, გამარჯვება დარჩა იმას, ვინც ამას მეტად იმსახურებდა. ამასთან ერთად, "სელტიქსს" აღნიშნულ დაპირისპირებამდე არასოდეს მიუტანია ბოლო მეოთხედისთვის ჩამორჩენილის რანგში.

სტუმარი 20 ქულასაც კი აგებდა, მაგრამ ძალები მოიკრიფა და ბოლო მეოთხედში, **ჯეიმს პოუსისა** და **ედი ჰაუსის** ზუსტი სამიანებით 88:87 გავიდა წინ.

შეხვედრის დასკვნითმა ნაწილმა მაგარ ბრძოლაში ჩაიარა. "ორლანდო" **ჯამეერ ნელსონის** საჯარიმოებით 101:97 გადის წინ, მერე კი **რაშარდ ლიუისი** ზუსტი საშUუალო სროლა და შეხვედრის ბედიც, თითქოსდა გადაწყვეტილია.

ამას ალენის სამიანი და პირსის ნახევარკაუჭი მოსდევს და ძირითადის დასრულებამდე 7.7 წამით ადრე სხვაობა მინიმუმადე (103:102) მცირდება.

მერე კი იმავე ლიუისმა ორიდან ერთი საჯარიმო გამოიყენა და "სელტიქსის" უკანასკნელი სროლა სტუმრებმა პოლ პირსს მიანდეს, რომლის მცდელობა არაზუსტი გამოდგა, ჰოვარდმა მოხსნა ბურთი და საფინალო სირენაც გაისმა.

მაშ ასე, "სელტიქსმა" ვერ გაიმეორა 1972-73 წლების ლეგენდარული "ბოსტონის" მიღევა და მიჯრით 10 გამარჯვებით სეზონი ვერ დაიწყო. მიუხედავად ამისა, "სელტიქსი", რომელსაც 8-დან 6 გამარჯვება 11 და მეტი ქულის სხვაობით აქვს მოპოპვებული, ამ ეტაპზე აღმოსავლეთის საუკეთესო გუნდია და ვნახოთ, იქნებ დასავლელებსაც მაგრად ეომოს.

* * *

ნელ-ნელა მოდის მადაზე **დონ ნელსონის** "უორიორზიც", რომელმაც ზედიზედ მეორე გამარჯვება ჩაიწერა აქტივში და ეს 7-მატჩიანი დისკვალიფიკაციის მერე დაბრუნებულ **სტივენ ჯექსონთან** ერთად გააკეთა. კალიფორნიელები იქამდეც ბევრისთვის უხერხულ ოპონენტად ითვლებოდნენ, კაპიტნით გაძლიერებულები კი ლიგის პირველ ათეულში ულაპარაკოდ შევლენ.

ჯექსონი მებრძოლია, რომელიც კარგად თამაშობს დაცვას და თუ დისციპლინასაც იცავს, მაშI6 მას და **ბაირონ დევისს** ნებისმიერი გუნდისთვის სერიოზული პრობლემების შექმნა ძალუძთ. ამას დაუმატეთ მატჩიდან მატჩამდე პროგრესირებადი **ანდრის ბიედრინსი**, რომელმაც ამჯერადაც ორმაგი დუბლით ჩაამთავრა შეხვედრა და პირწმინდად თუ ვერ აჯობა ვარსკვლავ **კრის ბოშს**, ყოველ შემთხვევაში, კანადელთა ლიდერს სივრცე მაქსიმალურად შეუზღუდა.

"რეპტორზთან" გასვლით მატჩში სტუმართა სასტარტოს ხუთივე წევრმა 10-ქულიანი ბარიერი გადალახა და ზედიზედ 6 წაგების მერე, კიდევ უფრო გამოიკეთა განწყობა.

ნელსონი ნელ-ნელა უშინაურებს გუნდს ვეტერან **ოსტინ კროშერსაც**, რომელსაც სწორი გამოყენების შემთხვევაში, გუნდისთვის სარგებლის მოტანა ნაღდად შეუძლია. ასე იყო ამჯერად, როდესაც კროშერმა 16 წუთში 9 ქულა და 6 მოხსნა დააგროვა და მატჩი უშეცდომოდ დაასრულა.

"გუნდში ტყუილად არავის ავიყვანთ და ეს ყველამ მშვენივრად იცის. ოსტინი ყოველთვის კარგი, საიმედო ბიჭი იყო და მასზე დიდ იმედებს ვამყარებთ", ამბობს ბებერი დონი, რომლის გუნდმაც მატჩი 29 სამიანიდან მხოლოდ რვის გამოყენებით დაასრულა, მაგრამ მაინც იმარჯვა.

ბოში, რომელიც ერთი-ერთზე პრობლემებს ხშIრად გარნეტსა და **ტიმ დანკანსაც** უქმნის, ბიედრინსის ხაფანგებში რომ გაეხვა, მატჩი 12-დან მხოლოდ ოთხი ზუსტი სროლით მიიყვანა ბოლომდე და მის საბოლოო სტატისტიკას ვერც 6 (!) შეცდომა და 4 პერსონალური ჯარიმა შეალამაზებდა.

"იგი (ბიედრინსი) უმატებს და მალე საშუალოზე მაღალი დონის მოთამაშეც გახდება", - შეაქო ლატვიელი ცაცია ბოშმა, ანდრისმა კი მასთან ჭიდილში 34 წუთში მხოლოდ 2 პერსონალური შენიშვნა მიიღო.

ზურაბ თალაკვაძე

ტორონტო-გ. სტეიტი 100:106

29:32, 32:26, 27:22, 12:26

ტორონტო: ტი. ჯეი. ფორდი (29 ქ. 9 პ. 2 ჩ), ბარნიანი (12 ქ), ბოში (11 ქ. 11 მ. 2 დ), კაპონო (11 ქ).

გოლდენ სტეიტი: ს. ჯექსონი (17 ქ. 5 პ. 2 დ), ბ. დევისი (16 ქ. 9 მ. 7 პ), აზუბუიკე (16 ქ. 5 მ), ბიედრინსი (15 ქ. 14 მ), მ. პიეტრუსი (11 ქ), ე. ჰარინგტონი (10 ქ).

ორლანდო-ბოსტონი 104:102

28:17, 30:24, 25:35, 21:26

ორლანდო: დ. ჰოვარდი (24 ქ. 6 მ. 3 ჩ. 3 დ. 2 პ), რ. ლიუისი (22 ქ), ნელსონი (18 ქ. 6 პ. 5 მ), თურქოღლუ (16 ქ), ბოგანსი (10 ქ. 2 ჩ).

ბოსტონი: პირსი (28 ქ. 6 პ. 5 მ. 2 ჩ), რ. ალენი (19 ქ. 5 მ), რონდო (18 ქ. 5 მ), გარნეტი (14 ქ. 11 მ).

საკრამენტო-დეტროიტი 105:95

22:31, 30:27, 23:14, 30:23

საკრამენტო: ბ. უდრიხი (23 ქ. 6 პ), კევინ მარტინი (19 ქ. 8 მ. 4 პ), არტესტი (16 ქ. 5 პ. 2 ჩ), ბ. მილერი (15 ქ. 9 მ. 4 პ), მ. ბეტერი (10 ქ. 9 მ), გარსია (10 ქ).

დეტროიტი: პრინსი (19 ქ), რ. უოლასი (17 ქ. 12 მ), რ. ჰამილტონი (16 ქ), ბილაპსი (14 ქ. 9 პ), ჯ. ჰეიესი (10 ქ).

დენვერი-ჩიკაგო 106:78

16:21, 29:25, 30:14, 31:18

ლეიკერსი: ბრაიანტი (18 ქ. 5 მ. 3 ჩ), ბინუმი (14 ქ. 10 მ), ფარმარი (14 ქ. 8 პ. 4 მ. 3 ჩ), მიმი (11 ქ. 7 მ), რადმანოვიჩი (11 ქ), უოლტონი (10 ქ. 5 მ. 4 პ).

ჩიკაგო: გორდონი (20 ქ. 3 პ. 3 ჩ), ნოჩიონი (14 ქ. 6 მ), სეფოლოშა (9 ქ).



ანდრის ბიედრინსი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი



ოსგუდმა მორიგი მატჩი მოიგო

ᲙᲝᲚᲐᲛᲑᲣᲡᲘ-ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ 4:5 (Გ)

1:2, 2:1, 1:1, 0:0

გოლები: 1:0 უესკოტი-1 (ჰეინსი-8, ნეში-8), 1:1 ლიდსტრიომი-3 (დაციუკი-16, რაფალსკი-13), 1:2 ჰოლმსტრიომი-11 (ლიდსტრიომი-15, რაფალსკი-14), 2:2 ფიოდოროვი-5 (ჟერდიოვი-8, ჰეინსი-9), 2:3 ლებდა-2 (ფილპულა-9, ჰოლმსტრიომი-9), 3:3 ნეში-14 (ჟერდიოვი-9, ლეკლერი-1), 4:3 ჟერდიოვი-6 (ნეში-9, ნოვოტნი-6), 4:4 დაციუკი-4 (ზეტერბერგი-16, ლიდსტრიომი-16).

ბულიტები გაიტანეს: დაციუკი (დეტროიტი), ჟერდიოვი (კოლამბუსი), ჰუდლერი (დეტროიტი), ნეში (კოლამბუსი), ფრანცენი (დეტროიტი).

ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ-ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲓᲝ 4:1

1:0, 3:1, 0:0

გოლები: 1:0 ვოროსი-2 (ფოი-1, შეპარდი-4), 2:0 ფოი-1 (შეპარდი-5, ფოსტერი-5), 3:0 ვეილო-3 (სკოულა-2), 3:1 ჰეიდუკი-5, 4:1 ბერნსი-5 (როლსტონი-7, ბუშარი-13).

ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠᲘ-ᲙᲐᲚᲒᲐᲠᲘ 4:1

1:1, 2:0, 1:0

გოლები: 1:0 ჰ. სედინი-5, 1:1 ა. ოკუანი-2 (ლენგკოუ-11), 2:1 ვ. მიტჩელი-1 (ნესლუნდი-8, დ. სედინი-10), 3:1 ნესლუნდი-6 (ჰ. სედინი-14, დ. სედინი-11), 4:1 ისბისტერი-1 (კესლერი-7, პიატი-4).

ᲟᲣᲠᲜᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ

- „დეტროიტ რედ უინგზმა“ შეწყვიტა სამმატჩიანი წაგებათა სერია.

- სტუმართა კარში **დომინიკ ჰაშეკის** დუბლიორი **კრის ოსგუდი** იდგა. მან 36 დარტყმა მოიგერია და ამ სეზონში თავისი მეათე მატჩიდან მეცხრედ მოიგო.

- „კოლამბუსმა“ ბოლო შვიდი მატჩიდან მეექვსედ წააგო, აქედან ორჯერ ბულიტების სერიით.

- მასპინძლებმა სამი გოლი გაიტანეს რიცხობრივი უპირატესობის დროს, არადა მანამდე, „კოლამბუსს“ 44-დან მხოლოდ სამჯერ ჰქონდა გამოყენებული ზედმეტი ჰოკეისტი.

- „კოლამბუსს“ ამ სეზონში 4-დან ოთხჯერ აქვს წაგებული ბულიტების სერია.

■ ■ ■

- მინესოტელმა **მეტ ფოიმ** 2005 წლის 12 ოქტომბრის შემდეგ პირველი გოლი გაიტანა.

- **აარონ ვოროსმა** თავის კარიერაში მეორე მატჩი ჩაატარა და მეორე შაიბა შეაგდო. მან თავის პირველ ორ გოლს მხოლოდ სამი დარტყმა მოანდომა.

- „კოლორადომ“ ზედიზედ მეორე მატჩი წააგო, არადა მანამდე, მას ბოლო 9 თამაშში 7 ჰქონდა მოგებული.

- ამ გამარჯვებით, „მინესოტამ“ „კოლორადოს“ ჩრდილოდასავლეთ დივიზიონში ლიდერობა ჩამოართვა.

- „მინესოტას“ ტრავმების გამო ორი წამყვანი ჰოკეისტი - **პავოლ დემიტრა** და **მიკო კოივუ** აკლდა.

■ ■ ■

- „ვანკუვერ კენაქსმა“ ბოლო ექვს მატჩში მეხუთედ მოიგო.

- „კალგარიმ“ შეწყვიტა ორმატჩიანი მოგებათა სერია. ამ გუნდს ბოლო რვა შეხვედრაში ექვსი წაგება აქვს.

- „ვანკუვერს“ სამი წამყვანი მცველი აკლია - ტრავმირებულ **სამი სალოსა** და **კევინ ბიეკსას** დისკვალიფიცირებული **მატიას ოლუნდი** დაემატა. სხვათა შორის, სალოსა და ბიეკსას გარეშე, „კენაქსმა“ ექვსიდან ხუთ შეხვედრაში იმარჯვა.

- „ვანკუვერის“ ჩრდილოდასავლეთ დივიზიონში თამაშობს და თანადივიზიონელებთან 12 მატჩში 8 წაგება აქვს, სამაგიეროდ, ამ გუნდმა სხვა დივიზიონის გუნდებს 9-დან 8 მატჩი მოუგო.

20 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ. ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ

HTB-ᲞᲚᲣᲡᲘ (ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი.
15:15 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. მაკედონია-ხორვატია.
17:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:20 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი.
19:15 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ნორვეგია-თურქეთი.
21:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:25 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. შოტლანდია-იტალია.
23:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:30 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ჩეხეთი-სლოვაკეთი.

SPORT 1 (ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ)

08:45 სპორტდოსიე. გოლფი.
09:12 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტამპა ბეი-ვაშინგტონი.
11:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ნორვეგია-თურქეთი.
12:47 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგის ჟურნალი.
13:16 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
13:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. უელსი-ირლანდია.
15:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
16:00 ჩოგბურთი. PEOPLEnet CUP. ფინალი.
18:02 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ჰოლანდია-ლუქსემბურგი.
19:45 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-ჩიკაგო.
21:31 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
21:58 ჩოგბურთი. PEOPLEnet CUP. ნყვილები. ფინალი.
00:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი.
02:00 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. მიმოხილვა.
02:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. უელსი-ირლანდია.
04:17 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგის ჟურნალი.
04:46 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
05:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ჰოლანდია-ლუქსემბურგი.
07:02 სპორტდოსიე. გოლფი.
07:30 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. მიმოხილვა.

EUROSPORT

11:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
11:45 მულტისპორტი.
12:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
14:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შოტლანდია-იტალია.
15:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ნორვეგია-თურქეთი.
16:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ჰოლანდია-ბელგია.
17:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ჰოლანდია-ლუქსემბურგი.
17:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
19:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ბულგარეთის გრან-პრი.
20:00 სუმო.
21:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
22:30 სუმო.
23:30 პროფესიული კრივი. გერმანია.
00:00 პროფესიული კრივი. პორტუგალია (LIVE).
02:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში.
02:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ირლანდია.
03:30 რალი. IRC-ს ახალი სერია. ჩინეთი.
03:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
04:00 მულტისპორტი.

EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. V ტური. გუმერსბახი (გერმანია)-რეიკიავიკი (ისლანდია).
14:00 მინი-ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. უკრაინა-რუსეთი. პორტუგალია.
15:00 ახალი ამბები.
17:00 ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. V ტური. გუმერსბახი (გერმანია)-რეიკიავიკი (ისლანდია).
18:00 ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ლარვიკი (ნორვეგია)-ნიდეროსტერაიხი (ავსტრია).
19:00 მინი-ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-სერბეთი. პორტუგალია.
19:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ჰოლანდია-ლუქსემბურგი.
20:30 ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
21:00 ახალი ამბები.
21:15 კალათბურთი. ULEB-ის თასი. რეგულარული სეზონი. III ტური. დინამო (რუსეთი)-ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) (LIVE).
23:15 ახალი ამბები.
23:30 კალათბურთი. ULEB-ის თასი. რეგულარული სეზონი. III ტური. ჰაპოელი (ი, ისრაელი)-ყაზანი (რუსეთი).
01:00 მინი-ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. უკრაინა-რუსეთი. პორტუგალია.
02:00 ახალი ამბები.
02:15 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. მალი-ალჟირი.
04:00 ახალი ამბები.

ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲔᲑᲘ

ATP-ᲘᲡ ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘ

1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც)	7180
2(2). რაფაელ ნადალი (ესპ)	5735
3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	4470
4(4). ნიკოლაი დავიდენკო (რუს)	2825
5(6). დავიდ ფერერი (ესპ)	2750
6(5). ენდი როდიკი (აშშ)	2530
7(7). ფერნანდო გონსალესი (ჩილ)	2005
8(8). რიშარ გასკე (საფ)	1930
9(9). დავიდ ნალბანდიანი (არგ)	1775
10(10). ტომი როგრედო (ესპ)	1765
11(11). ენდი მარეი (გრიტ)	1755
12(12). ტომი ჰაასი (გერ)	1720
13(13). ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	1710
14(14). ტომას ბერდიხი (ჩეხ)	1685
15(15). გილერმო კანიასი (არგ)	1685
16(16). მარკოს ბაღდატისი (კვი)	1600
17(17). კარლოს მოია (ესპ)	1585
18(18). ივან ლუბიჩიჩი (ხორ)	1580
19(19). მიხაილ იუჟნი (რუს)	1570
20(20). ხუან იგნასიო ჩელა (არგ)	1425

ATP-ᲘᲡ ᲡᲐᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲝ ᲠᲐᲒᲠᲚᲐ

1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც)	1436
2(2). რაფაელ ნადალი (ესპ)	1147
3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	894
4(4). ნიკოლაი დავიდენკო (რუს)	565
5(6). დავიდ ფერერი (ესპ)	550
6(5). ენდი როდიკი (აშშ)	506
7(7). ფერნანდო გონსალესი (ჩილ)	401
8(8). რიშარ გასკე (საფ)	386
9(9). დავიდ ნალბანდიანი (არგ)	355
10(10). ტომი როგრედო (ესპ)	353
11(11). ენდი მარეი (გრიტ)	351
12(12). ტომი ჰაასი (გერ)	344
13(13). ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	342
14(14). ტომას ბერდიხი (ჩეხ)	337
15(15). მარკოს ბაღდატისი (კვი)	320
16(16). კარლოს მოია (ესპ)	317
17(17). ივან ლუბიჩიჩი (ხორ)	316
18(18). გილერმო კანიასი (არგ)	314
19(19). მიხაილ იუჟნი (რუს)	314
20(20). ხუან იგნასიო ჩელა (არგ)	285

ᲤᲣᲚᲐᲓᲘ ᲛᲝᲜᲐᲒᲐᲠᲘ

1. როჯერ ფედერერი (შვეიც)	10 130 620
2. რაფაელ ნადალი (ესპ)	5 646 935
3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	3 927 700
4. ნიკოლაი დავიდენკო (რუს)	2 051 775
5. დავიდ ფერერი (ესპ)	1 955 252
6. ენდი როდიკი (აშშ)	1 532 070
7. ფერნანდო გონსალესი (ჩილ)	1 437 130
8. რიშარ გასკე (საფ)	1 284 790
9. დავიდ ნალბანდიანი (არგ)	1 230 465
10. ტომას ბერდიხი (ჩეხ)	1 126 070
11. მიხაილ იუჟნი (რუს)	1 028 900
12. ტომი როგრედო (ესპ)	1 027 147
13. ხუან იგნასიო ჩელა (არგ)	987 765
14. ტომი ჰაასი (გერ)	974 350
15. ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	966 585
16. ივან ლუბიჩიჩი (ხორ)	963 445
17. გილერმო კანიასი (არგ)	919 940
18. მაიკ გრაიანი (აშშ)	894 035
19. მარკოს ბაღდატისი (კვი)	890 330
20. ბობ გრაიანი (აშშ)	890 210

ᲡᲮᲔᲚᲘ ᲮᲔᲤᲖᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

სტეინი-სტოკპორტი	გადადები

ᲞᲝᲚᲘᲔᲗᲘ

ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ

ბრუნანი-სიოდერტალე	1:3
მორა-შეერესტადი	1:4
იუგმორდენ-აგ 71	2:8

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

ს. იულიანეი-ავანგარდი	5:2
აკ ბარსი-ლოკომოტივი	5:3
ნეფტიხიმიკი-სევერსტალი	4:2
ტორპედო-ამური	4:2
სიბირი-დინამო	5:2
ლოდა-სპარტაკი	2:2 პენ.3:2
სკა-ვვდ	3:3 პენ 4:3

ᲛᲘᲜᲘ-ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

რუსეთი-უკრაინა	1:4
ესპანეთი-სერბეთი	1:1

ATP-ᲘᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ. 2007 ᲬᲚᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ

თარიღი	ტურნირი	გამარჯვებული
01.01-06.01	Qatar ExxonMobil Open. დოჰა (კატარი)	ივან ლუბიჩიჩი (ხორვატია)
01.01-07.01	Chennai Open. ჩენაი (ინდოეთი)	ფაბრიზიო ზილინი (ბელგია)
01.01-07.01	Next Generation. ადელაიდა (ავსტრალია)	ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)
07.01-13.01	Heineken Open. ოკლენდი (ახალი ზელანდია)	დავიდ ფერერი (ესპანეთი)
07.01-13.01	Medibank International. სიდნეი (ავსტრალია)	ჯეიმს ბლეიკი (აშშ)
14.01-28.01	ავსტრალიის ღია პირველობა	როჯერ ფედერერი (შვეიცარია)
29.01-04.02	Movistar Open. ვინა დელ მარი (ჩილე)	ლუის ორნა (პერუ)
29.01-04.02	PBZ Zagreb. ზაგრები (ხორვატია)	მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი)
30.01-05.02	International Championships. პალერმო (იტალია)	ფაბრიზიო ზილინი (ბელგია)
12.02-18.02	Open 13. მარსელი (საფრანგეთი)	ჟილ სიმონი (საფრანგეთი)
12.02-18.02	Brasil Open. ქუჩატა დო საუნიე (ბრაზილია)	გილერმო კანიასი (არგენტინა)
12.02-18.02	SAP Open. სან ხოსე (აშშ)	ენდი მარეი (გრიტანეთი)
19.02-25.02	ABN/AMRO Tennis Tournament. როტერდამი (ჰოლანდია)	მიხაილ იუჟნი (რუსეთი)
19.02-25.02	Copa Telmex. ბუენოს აირესი (არგენტინა)	ხუან მონაკო (არგენტინა)
19.02-25.02	Regions Morgan Keegan Championships. მემფისი (აშშ)	ტომი ჰაასი (გერმანია)
26.02-03.03	Dubai Tennis Championships. დუბაი (საემიროები)	როჯერ ფედერერი (შვეიცარია)
26.02-03.03	Abierto Mexicano Telcel. აკაპულკო (მეხიკო)	იგნასიო ჩელა (არგენტინა)
09.03-18.03	Pacific Life Open. ინდიან უელსი (აშშ)	რაფაელ ნადალი (ესპანეთი)
21.03-01.04	Sony Ericsson Open. მაიამი (აშშ)	ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)
09.04-15.04	Open de Tenis Comunidad. ვალენსია (ესპანეთი)	ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი)
09.04-15.04	US Men's Clay Championships. ჰიუსტონი (აშშ)	ივო კარლოვიჩი (ხორვატია)
16.04-22.04	მასტერსის სერია. მონტე კარლო	რაფაელ ნადალი (ესპანეთი)
23.04-29.04	Gran Prix Hassan II. კასაბლანკა (მაროკო)	ჰოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი)
23.04-29.04	Open SEAT Godo. ბარსელონა (ესპანეთი)	რაფაელ ნადალი (ესპანეთი)
29.04-06.05	Estoril Open. ეშტორილი (პორტუგალია)	ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)
30.04-06.05	BMW Open. მიუნხენი (გერმანია)	ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია)
07.05-16.05	Internazionali BNL d'Italia. რომი (იტალია)	რაფაელ ნადალი (ესპანეთი)
14.05-20.05	მასტერსის სერია. ჰამბურგი (გერმანია)	როჯერ ფედერერი (შვეიცარია)
20.05-26.05	The Hypo Group Tennis International. პორტშახი (ავსტრია)	ხუან მონაკო (არგენტინა)
20.05-26.05	მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი. გერმანია	არგენტინა
28.05-10.06	საფრანგეთის ღია პირველობა. პარიზი	რაფაელ ნადალი (ესპანეთი)
11.06-17.06	Gerry Weber Open. ჰალე (გერმანია)	ტომას ბერდიხი (ჩეხეთი)
11.06-17.06	Stella Artois Championships. ლონდონი (ინგლისი)	ენდი როდიკი (აშშ)
18.06-24.06	Ordina Open. პერტოგენბოში (ჰოლანდია)	ივან ლუბიჩიჩი (ხორვატია)
18.06-24.06	Samsung Open. ნოტინგემი (ინგლისი)	ივო კარლოვიჩი (ხორვატია)
25.06-08.07	უიმბლდონი. ლონდონი	როჯერ ფედერერი (შვეიცარია)
09.07-15.07	Castella Swedish Open. გასტადი (შვედეთი)	დავიდ ფერერი (ესპანეთი)
09.07-15.07	Allianz Suisse Open. გშტაადი (შვეიცარია)	ჰოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი)
09.07-15.07	Hall of Fame Tennis Championship. ნიუპორტი (აშშ)	ფაბრის სანტორო (საფრანგეთი)
16.07-22.07	Mercedes Cup. შტუტგარტი (გერმანია)	რაფაელ ნადალი (ესპანეთი)
16.07-22.07	Dutch Open Tennis. ამერსფოორტი (ჰოლანდია)	სტივ დარციისი (ბელგია)
16.07-22.07	Countrywide Classic. ლოს ანჯელესი (აშშ)	რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი)
23.07-29.07	Indianapolis Tennis Championships. ინდიანაპოლისი (აშშ)	დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი)
23.07-29.07	Austrian Open. კიცბიუელი (ავსტრია)	ხუან მონაკო (არგენტინა)
23.07-29.07	Croatia Open. უმაგი (ხორვატია)	კარლოს მოია (ესპანეთი)
30.07-05.08	Legg Mason Tennis Classic. ვაშინგტონი (აშშ)	ენდი როდიკი (აშშ)
30.07-05.08	Orange Prokom Open. სოპოტი (პოლონეთი)	ტომი როგრედო (ესპანეთი)
05.08-12.08	Rogers Cup. მონრეალი (კანადა)	ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)
13.08-19.08	მასტერსის სერია. ცინცინატი (აშშ)	როჯერ ფედერერი (შვეიცარია)
20.08-26.08	Pilot Pen Tennis. ნიუ ჰევენი (აშშ)	ჯეიმს ბლეიკი (აშშ)
29.08-11.09	აშშ-ს ღია პირველობა. ნიუ იორკი	როჯერ ფედერერი (შვეიცარია)
10.09-16.09	China Open. პეკინი (ჩინეთი)	ფერნანდო გონსალესი (ჩილე)
10.09-16.09	BCR Open Romania. ბუქარესტი (რუმინეთი)	ჟილ სიმონი (საფრანგეთი)
24.09-30.09	Thailand Open. ბანგკოკი (ტაილანდი)	დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი)
24.09-30.09	Kingfisher Airlines Tennis Open. მუმბაი (ინდოეთი)	რიშარ გასკე (საფრანგეთი)
01.10-07.10	AIG Japan Open. ტოკიო (იაპონია)	ტომი როგრედო (ესპანეთი)
01.10-07.10	Open de Moselle. მეცი (საფრანგეთი)	დავიდ ფერერი (ესპანეთი)
08.10-14.10	BA-CA Tennis Trophy. ვინა (ავსტრია)	ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)
08.10-14.10	Stockholm Open. სტოკჰოლმი (შვედეთი)	ივო კარლოვიჩი (ხორვატია)
08.10-14.10	Kremlin Open. მოსკოვი (რუსეთი)	ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი)
15.10-21.10	მასტერსის სერია. მადრიდი (ესპანეთი)	დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)
22.10-28.10	St.Petersburg Open. სტ.პეტერბურგი (რუსეთი)	ენდი მარეი (გრიტანეთი)
22.10-28.10	Swiss Indoors. ბაზელი (შვეიცარია)	როჯერ ფედერერი (შვეიცარია)
22.10-28.10	Lyon Grand Prix. ლიონი (საფრანგეთი)	სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი)
29.10-04.11	BNP Paribas Masters. პარიზი (საფრანგეთი)	დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)
12.11-20.11	მასტერსის თასი. შანხაი (ჩინეთი)	როჯერ ფედერერი (შვეიცარია)

ჩოგბურთი

ნესტორი და ნოულზი გაეყარნენ

ჩინეთის ქალაქ შანხაიში, გარდა ერთეულთა თანრიგისა, წყვილთა შორისაც გაიმართა წლის შემაჯამებელი ტურნირი, რომელიც კანადელი **დანიელ ნესტორისა** და ბაჰამის კუნძულების წარმომადგენლის, **მარკ ნოულზის** ტრიუმფით დასრულდა.

ამ ორი ჩოგბურთელის თანამშრომლობა ნლევანდელი სეზონის შემდეგ დამთავრდა. ATP-ის ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით, ეს დუეტი იშლება. გაისად მარკ ნოულზი ინდოელ **მაეშ ბჰუპატისთან** ერთად ითამაშებს, ხოლო დანიელ ნესტორი სერბ **ნენად ჟიმონჟიჩს** შეუწყვილდება.

მადრიდი დოპამ შეცვალა

საბოლოოდ გაირკვა, რომ გაისად, WTA-ს ტურის შემაჯამებელი ტურნირი კატარის დედაქალაქ დოჰაში გაიმართება. ამის შესახებ, საზოგადოებას ქალ ჩოგბურთელთა ასოციაციის პრეზიდენტმა **ლარი სკოტმა** ამცნო და მან ისიც ღაამატა, რომ ამ ტურნირს კატარი სამი წლის განამვლობაში უმასპინძლებს.

„ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ კატარი ღირსეულად გაართმევს თავს ამ ჩემპიონატის მაღალ დონეზე ჩატარებას“, - განუცხადა სააგენტო „როიტერს“ სკოტმა.

შეგახსენებთ, რომ წელს საუკეთესო ქალ ჩოგბურთელებს მადრიდმა უმასპინძლა.

ჩაწყობილი თამაშები ჩოგბურთელთა ბრალია

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ (ATP) ახალი წესი შემოიღო, რომლის თანხმადაც, მოთამაშეებმა ოფიციალურ პირებს 48 საათის განმავლობაში უნდა აცნობონ ნებისმიერი ინფორმაცია ჩაწყობილი თამაშებისა და ტოტალიზატორებთან უკანონო თანამშრომლობის შესახებ. ATP-მ ეს გადაწყვეტილება შანხაიში, წლის შემაჯამებელი ტურნირის მსვლებლობის დროს მიიღო.

„ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სპორტში წესების დაცვა და პატიოსნებაა. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ გულშემატკივრები, პრესა და ყველა, ვისთვისაც ჩოგბურთი საყვარელი სახეობაა, დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ ჩოგბურთში მსგავსი შემთხვევები მხოლოდ და მხოლოდ სპორტსმენების ბრალია“, - განაცხადა ATP-ის პრეზიდენტმა **ეტიენ დი ვილიერსმა**.

ფედერერი ბერდ პიტს ირჩევს

შანხაიში, წლის შემაჯამებელი ტურნირის დროს, 26 წლის შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა** განაცხადა, რომ 35 წლამდე აპირებს აქტიურ სპორტში დარჩენას.

მსოფლიოს პირველი ჩოგანი ამბობს, რომ თუ მომავალში მასზე მხატვრულ ფილმს გადაიღებენ, მისი სურვილი იქნება, რომ ფედერერის როლი ამერიკელი კინოს ვარსკვლავმა **ბრედ პიტმა** ითამაშოს.

„ჩემს შესახებ კომედიის გადაღებაც თავისუფლად შეიძლება, მაგრამ ჩემი აზრით, ეს უნდა იყოს სერიოზული ფილმი, დაახლოებით ისეთი, რომლებშიც ბრეტ პიტს თამაშობს ხოლმე“, - განაცხადა ფედერერმა.

ფორმულა 1

გლოკი ტოიოტას დარჩა

GP2 სერიის ჩემპიონი, გერმანელი **ტიმო გლოკი** გაისად ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატზე „ტოიოტას“ ღირსებას დაიცავს.

ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც სპეციალურმა კომისიამ გლოკისა და „BMW-ზაუბერის“ საკონტრაქტო დავაში პილოტის მხარე დაიჭირა. ამ გუნდში გლოკი ტესტ-პილოტის ფუნქციებს ასრულებდა, რის შემდეგაც, მან „ტოიოტასთან“ წინასწარი კონტრაქტი გააფორმა, მაგრამ „ზაუბერის“ ხელმძღვანელობა გერმანელს იაპონურ საჯინიბოში გადასვლის ნებას არ რთავდა.

„ტოიოტას“ შეფობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ გლოკთან კონტრაქტის გაფორმება მომავალ კვირას შედგება. შეგახსენებთ, რომ გერმანელი იაპონურ საჯინიბოში თანამემამულე **რალფ შუმახერს** შეცვლის.

ზაუბერი პილოტებს ეძებს

ამასობაში, „BMW-ზაუბერის“ დირექტორი **მარიო ტიისენი** აცხადებს, რომ ამ წლის ბოლომდე დაასახელებს იმ ავტომრბოლთა გვარებს, რომლებიც მომავალ სეზონში გუნდის საპრიზო პილოტები იქნებიან.

„დეკემბერში, ხერესში გასამართ ტესტებზე ორ-სამ კანდიდატს დავაკვირდებით, რის შემდეგაც გუნდი გადაწყვეტს, ვინ დარჩება ჩვენთან მომავალი სეზონისთვის“, - ამბობს ტიისენი, რომელიც პრეტენდენტთა გვარებს ჯერ არ ასახელებს.

ღამის რბოლას სპონსორი გამოუჩნდა

როგორც ცნობილია, გაისად სექტემბერში, ფორმულა 1-ის ისტორიაში პირველად გაიმართება ღამის რბოლა, რომელსაც სინგაპური უმასპინძლებს. ამ უნიკალურ მოვლენას უკვე გამოუჩნდა ოფიციალური სპონსორი. ეს გახლავთ ადგილობრივი ტელესაკომუნიკაციო კომპანია Singapore Telecommunications Limited (SingTel). 2008 ნელს რბოლა 28 სექტემბერს გაიმართება და მისი ოფიციალური სახელწოდება იქნება - SingTel Singapore Grand Prix.

„SingTel პირველობისკენ მიისწრაფის და სარბოლო სამყაროსთან თანამშრომლობა ჩვენი კომპანიის იმიჯზე დადებითად იმოქმედებს. ღამის პირველ რბოლაში მონაწილეობა უდიდესი პატივი და პასუხისმგებლობაა ჩვენთვის“, - განაცხადა კომპანიის მთავარმა ადმინისტრატორმა **ჩუა სოკ კუნგმა**.

გორო როსოს ტაქტიკა

„ტორო როსო“ ახალ სეზონს ძველი ბოლიდებით დაიწყებს. საჯინიბოს ხელმძღვანელობა ამ გადაწყვეტილებას იმით ხსნის, რომ სეზონის სტარტზე, კონკურენტებს შესაძლოა ახალ მანქანების საიმედოობასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნათ.

„ჩვენი ძველი მანქანები სეზონის სტარტზე საიმედო შედეგებს მოგვცემენ, კონკურენტების ბოლიდებს კი, ამავე პერიოდში საიმედოობის მხრივ შესაძლოა პრობლემები შეექმნათ. საქმე ეხება ძველი ბოლიდის სამ-ოთხ რბოლაში გამოყენებას. ამით დრო გვექნება, ახალი მანქანა სრულყოფამდე მივიყვანოთ“, - აცხადებს „ტორო როსოს“ ბოსი **ფრანც ტოსტი**.

ავტოსპორტი

ჯონსონი ნასკარის ტრიუმფატორია

ამერიკელი **ჯიმი ჯონსონი** ზედიზედ მეორე წელია NASCAR-ის სარბოლო სერიის ტრიუმფატორი გახდა.

სეზონის ბოლო რბოლაში, ჯონსონმა მეშვიდე ადგილი დაიკავა, რის შემდეგაც ის უახლოესი მდევარისთვის, **ჯეფ გორდონისთვის** მიუწვდომელი გახდა.



ნისტრანდმა ბერლინში მსოფლიოს ორი რეკორდი გაუუმჯობესა

ნისტრანდის მეორე რეკორდი

ბერლინში გამართულ, მოკლე აუზის მსოფლიო თასის სერიის ტურნირის მეორე დღესაც მსოფლიოს ორი რეკორდი გაუმჯობესდა. თავი გამოიჩინეს შვედმა **სტეფან ნისტრანდმა**, ვინც პირველ დღესაც რეკორდით ისახელა თავი და ბრაზილიელმა **თიაგუ პერეირამ**. სულ ბერლინის ტურნირზე მსოფლიოს ოთხი და ევროპის სამი რეკორდი გაუმჯობესდა.

პერეირამ 200 მეტრზე შერეული სტილით ცურვაში გაიმარჯვა. მან დისტანცია წუთსა და 53.14 წამში გაცურა და 0.17 წამით გაუუმჯობესა ძველი რეკორდი, რომელიც ამერიკელ **რაიან ლოხტეს** შარშან დაუმყარებია. აღსანიშნავია, რომ გასულ სეზონში პერეირამ პან ამერიკულ თამაშებზე ოქროს ექვსი მედალი მოიპოვა.

ნისტრანდს ბადალი არ ჰყავდა 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. დისტანცია მან 20.93 წამში გაცურა და 0.05 წამით გაუუმჯობესა სამხრეთაფრიკელ **როლანდ შიომანის** მიერ შარშან დამყარებული რეკორდი. შეგახსენებთ, რომ ტურნირის პირველ დღეს შვედმა რეკორდი (რომელიც იმავე შიომანსა და ამერიკელ **იან კროკერს** ეკუთვნოდათ) 100 მეტრზე თავისუფალში გაუუმჯობესა.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო თასის წინა ზუთ ეტაპზე მსოფლიოს მხოლოდ ერთი რეკორდი გაუმჯობესდა. სულ კი, ამ სერიის არსებობის 25 წლის განმავლობაში მსოფლიოს 79 რეკორდი გაუმჯობესდა.

"ჩემი მთავარი მიზანი პეკინის ოლიმპიადაა. რა თქმა უნდა, რეკორდები იმას მოწმობს, რომ კარგ ფორმაში ვიმყოფები. ახლა კი იმაზე ვიზრუნებ, რომ ეს ფორმა შევინარჩუნო და პეკინშიც კარგი შედეგები ვაჩვენო", - ამბობს ნისტრანდი, ვისაც დიდ ტურნირებზე (მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები და ოლიმპიადები) მხოლოდ ერთი, ვერცხლის მედალი აქვს მოპოვებული და ისიც ბუდაპეშტის შარშანდელ ევროპულ ფორუმზე.

ნისტრანდი ამბობს, რომ წარუმატებლობათა გამო, ორი წლის წინ რადიკალურად შეცვალა თავისი ცხოვრების სტილი – დიეტაზე დაჯდა და მნიშვნელოვნად დატვირთა სავარჯიშო პროგრამა, რამაც შედეგი ახლაღა მოუტანა. ის იმედოვნებს, რომ ამიერიდან ყოველთვის მოწინავეთა შორის იქნება.

ჰოლანდიელი **მარლეენ ფელდჰუისი**, ვინც ბერლინური ტურნირის პირველ დღეს, 50 მეტრზე თავისუფალ სტილში დაამყარა მსოფლიო რეკორდი, ამჯერად ევროპის რეკორდს დასჯერდა, რომელიც მან 100 მეტრზე თავისუფალში გაუუმჯობესა. კვლავ პრიზიორებს შორის აღმოჩნდა 40 წლის ამერიკელი **დარა ტორესი**, ვინც ამჯერად კვარცხლბეკის მესამე საფეხური დაიკავა.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიო თასის სერია, შვიდი ეტაპისგან შედგება, რომელიც ბერლინური ტურნირი ძველესე იყო. ეს ეტაპი ბრაზილიის ქალაქი ბელუ ორიზონტი უმასპინძლებს.

მერაბ ლორთქიფანიძე

დოპინგი. WADA-ს ახალი შეფი

დოპინგთან ბრძოლას ჯონ ფეიპი გაუძღვება

პაუნდმა (მარცხნივ) WADA-ს შეფის პოსტი ფეიპის დაუთმო

მსოფლიოს დოპინგ-საწინააღმდეგო სააგენტოს (WADA) დამფუძნებელმა საბჭომ თავის ახალ ხელმძღვანელად ავსტრალიის ყოფილი ფინანსთა მინისტრი **ჯონ ფეიპი** აირჩია, რომელიც ამ პოსტზე კანადელ **დიკ პაუნდს** შეცვლის.

ამგვარად, დასრულდა რამდენიმეკვირიანი, დაძაბული მოლაპარაკებანი, რომელთა შედეგადაც, დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოს რეპუტაციაც შეელახა და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, არჩევნების შედეგით უკმაყოფილო დარჩა სააგენტოს ევროპელ აქციონერთა უმეტესობა.

პირველად არჩევნებში, ფეიპმ დამფუძნებელ საბჭოში შემავალი 17-დან 13 წევრის ხმა მიიღო, მოგვიანებით კი მის კანდიდატურას მხარი დაუჭირა ოლიმპიური მოძრაობის 18-ვე წარმომადგენელმა. ამასთან, ოლიმპიური მოძრაობის წარმომადგენლებმა გამოაცხადეს, რომ ისინი მხარს დაუჭერდნენ ნებისმიერ კანდიდატს, რომელსაც სააგენტოს დამფუძნებელმა საბჭო აირჩევდა.

სააგენტოს დამფუძნებელი საბჭოს ევროპელი წევრები ფეიპის არჩევის სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ. ისინი პაუნდისგან მოითხოვდნენ, რომ ახალი შეფის არჩევნები მინიმუმ ნახევარი ნლით გადაედო, რათა არჩევნებზე ყველა მხარისთვის სასურველი კანდიდატი გასულიყო. მაგრამ ეს მოთხოვნა პაუნდმა არჩევნებამდე რამდენიმე ნუთით ადრე უარყო.

ფეიპი არჩევნებში მას შემდეგ ჩაერთო, რაც სააგენტოს დამფუძნებელთა საბჭოს ევროპელმა შტომ WADA-ს პრეზიდენტის პოსტზე მისივე ვიცე პრეზიდენტის, ფრანგი **ჟან-ფრანსუა ლამურის** კანდიდატურა წამოაყენა. მაგრამ ლამურმა თავისი კანდიდატურა მალევე მოხსნა, რის მიზეზადაც WADA-ს არაეფექტურობა დაასახელა. ამის შემდეგ, ფეიპი უალტერნატივო კანდიდატი გახდა.

ევროპელები სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ ავსტრალიელის კანდიდატურას. კარგა ხნის მოლაპარაკებათა შემდეგ, მათ WADA-ს დროებითი პრეზიდენტის პოსტზე თავიანთ კანდიდატად ფრანგი **გი დრიუ** დაასახელეს, მაგრამ არჩევნებამდე რამდენიმე საათით ადრე, სააგენტოს დამფუძნებელთა საბჭომ ეს შეთავაზებაც უარყო. ამგვარად, ევროპელებს WADA-ს გაკონტროლების გეგმები ჩაეშალათ.

ახალი პრეზიდენტის არჩევის გარდა, სააგენტომ შეიმუშავა დოპინგთან ბრძოლის ახალი კოდექსი, რომელიც ოთხწლიან დისკვალიფიკაციას ითვალისწინებს იმ სპორტსმენებისთვის, რომლებიც დოპინგის გამოყენებაში არიან მხილებულნი და საქმეში "დამამძიმებელი გარემოებები" იკვეთება.

ახალ კოდექსს სააგენტო ქვეყნების ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებსა და დოპინგსაწინააღმდეგო ეროვნულ სააგენტოებს დაურიგებს და მათთან კონსენსუსის მიღწევის შემთხვევაში, 2009 ნლიდან აამოქმედებს.

მერაბ ლორთქიფანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაგაიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუბაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თაბაძე
პაატა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოტა ხატისაშვილი
გელიკ ჯანგბაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები
დავით ჯოხრიძე, ვახილ ბალახაძე, მერაბ ბრაქელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოტა გელაშვილი

კორექტორი
ლელა ხოფსურიძე
ლევან გიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი
დავით ვასურაძე
(დირექტორის მოადგილე)
გივი ვეშაპიძე
ქეთევან დიდგორიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაძარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 ნლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 ნლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 ნლის 19 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ

2006 ნელს გაერთიანდა გაზეთ სპორტთან

სპორტი

გამოდიოდა
2002-06 ნლებში

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ლელოს მთავარი რედაქტორები
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76)
ერეკლე მახალაშაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-84)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

მისამართი:
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დღიური, ახალი კონსტრუქცია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995. 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე. გარდა კვირისა